დანართი №5

ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის შესახებ ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა

(ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება)

სსიპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ნინიგორის საჯარო სკოლა

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე: მაია ლაპიაშვილი

წევრები:

ანნა ბედენაშვილი (ზოგადი განათლების ხარისხის უზრუნველყოფის ექსპერტი, წევრი);
ხათუნა თოიძე (საბუნებისმეტყველო მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ნანა მარღანია (საზოგადოებრივი მეცნიერებების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ნინო მოლაშხია (უცხოური ენების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
თამარ ძველაია (ესთეტიკური აღზრდის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ნათია გაგნიძე (ტექნოლოგიების საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
მზია შევარდნაძე (სახელმწიფო ენის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
მაია ჩაჩხიანი (მათემატიკის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ლია ნეფარიძე (სპორტის საგნობრივი ექსპერტი, წევრი);
ვერა სომხიშვილი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგნობრივი ექსპერტი, წევრი).

ნაწილი I. შესავალი

I. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ

ინფორმაცია დაწესებულების შესახებ	
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება	სსიპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ნინიგორის საჯარო სკოლა
ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმა	საჯარო სამართლის იურიდიული პირი
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების (გადასახადის გადამხდელის) საიდენტიფიკაციო კოდი	233137897

II. საკონტაქტო ინფორმაცია

საკონტაქტო ინფორმაცია	
მუნიციპალიტეტი (სოფელი/დაბა/ქალაქი)	სოფელი
ფაქტობრივი მისამართი	ლაგოდეხი, სოფელ ნინიგორის საჯარო სკოლა
საფოსტო ინდექსი	2700
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ვებ-გვერდი	Skolebi.emis.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ელ-ფოსტა	ninigori@mes.gov.ge
ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების ტელეფონის ნომერი	595928030

III. ინფორმაცია ვიზიტის შესახებ

ვიზიტის საფუძველი (ვიზიტის ბრძანების ნომერი და თარიღი)	სსიპ-განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2026 წლის 09 თებერვლის MES 0 26 0000132326 ბრძანება
ვიზიტის პერიოდი (თარიღი)	2026 წლის 5 და 6 მარტი

IV. ინფორმაცია ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამების შესახებ

„ზოგადი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-4 პუნქტის შესაბამისად, გთხოვთ, ასახოთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა/პროგრამები, რომლის განხორციელებაც სურს სკოლას.

N	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის საფეხური**	**ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ენა**	**სასწავლო მიზნებისთვის გამოსაყენებელი ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების ადგილი** (მუნიციპალიტეტის, ქალაქის, დაბის/სოფლის/ქუჩის და თითოეულ მისამართზე შენობა-ნაგებობების რაოდენობის მითითებით)
1	ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	დაწყებითი საფეხური	ქართული ენა	სსიპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელი ნინიგორის საჯარო სკოლა, შენობა N1
2	ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხური	ქართული ენა	სსიპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ნინიგორის საჯარო სკოლა, შენობა N1
3	ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხური	ქართული ენა	სსიპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ნინიგორის საჯარო სკოლა, შენობა N1

V. შეფასების პროცესის საერთო მიმოხილვა

მოკლედ აღწერეთ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების შეფასებასთან დაკავშირებული ძირითადი საკითხები.

2026 წლის 5 და 6 მარტს სსიპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ნინიგორის საჯარო სკოლაში განხორციელდა ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის ვიზიტი.

ვიზიტამდე ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო დაწესებულების მიერ წარმოდგენილ თვითშეფასების დოკუმენტს და ავტორიზაციის სტანდარტების შეფასებისთვის საჭირო მასალებს. წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფმა სკოლიდან გამოითხოვა დამატებითი დოკუმენტაცია, რის შემდეგაც შემუშავდა ვიზიტის დღის წესრიგი და წინასწარ გაეგზავნა სკოლას გასაცნობად.

ვიზიტი წარიმართა თანამშრომლობით, საქმიან და კონსტრუქციულ გარემოში. ვიზიტის ფარგლებში ექსპერტთა ჯგუფი გაეცნო სკოლაში მიმდინარე სასწავლო პროცესების მართვასთან დაკავშირებულ დოკუმენტაციას ავტორიზაციის ოთხივე სტანდარტის მოთხოვნების შესაბამისად და დაათვალიერა სკოლის ინფრასტრუქტურა.

ვიზიტის პროცესში ჩატარდა გასაუბრებები სკოლის დირექციის წარმომადგენლებთან, პედაგოგებთან, ადმინისტრაციულ პერსონალთან, მოსწავლეებთან და მშობლებთან. ასევე განხორციელდა სასწავლო და ადმინისტრაციული სივრცეების დათვალიერება და წარმოდგენილი მტკიცებულებების გადამოწმება.

ვიზიტის შედეგების საფუძველზე ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა სკოლაში არსებული პრაქტიკა ავტორიზაციის სტანდარტებით განსაზღვრული მოთხოვნების შესაბამისად.

VI. ინფორმაცია მოსწავლეების შესახებ

ცხრილი არ ივსება პირველად ავტორიზაციაზე.

წინა ავტორიზაციის საბჭოს მიერ განსაზღვრული მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა	აქტიურ მოსწავლეთა რაოდენობა	ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების მიერ მოთხოვნილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობა

VII. საუკეთესო გამოცდილების საერთო მიმოხილვა

გთხოვთ, ასახოთ საკითხები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების გამორჩეულ პრაქტიკაზე მეტყველებს (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

სკოლის საქმიანობის შეფასების პროცესში გამოიკვეთა რამდენიმე პრაქტიკა, რომელიც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების ჩართულობასა და სასწავლო გარემოს განვითარებას.

სკოლაში ჩამოყალიბებულია თანამშრომლობითი და მხარდაჭერაზე ორიენტირებული ორგანიზაციული კულტურა. ინტერვიუების დროს მასწავლებლებმა და ადმინისტრაციის წარმომადგენლებმა აღნიშნეს, რომ სკოლაში წახალისებულია პროფესიული საქმიანობის აღიარება. მოქმედებს საუკეთესო მასწავლებლის გამოვლენის პრაქტიკა, პედაგოგთა საქმიანობა აღინიშნება მადლობით, სხვადასხვა სახის ჯილდოებითა და გარკვეულ შემთხვევებში ფინანსური წახალისებითაც, რაც ხელს უწყობს მასწავლებელთა მოტივაციის ზრდას და პროფესიული საქმიანობის მხარდაჭერას.

სკოლა ასევე აქტიურად იყენებს სასკოლო საზოგადოებასთან კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმას - მშობელთა კრებებს, სამეურვეო საბჭოს შეხვედრებს, სოციალურ ქსელსა და სხვადასხვა სასკოლო ღონისძიებებს, რაც უზრუნველყოფს ინფორმაციის გავრცელებას და სასკოლო საზოგადოების ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში.

აღსანიშნავია, რომ სკოლა ცდილობს უსაფრთხო და მხარდამჭერი სასწავლო გარემოს შექმნას. სკოლაში ფუნქციონირებს ძალადობის პრევენციისა და შესაბამის უწყებებთან თანამშრომლობის მექანიზმები, ასევე საჭიროების შემთხვევაში გამოიყენება სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქო-სოციალური მომსახურება.

სკოლის წარმომადგენლებთან ჩატარებული ინტერვიუებით ასევე გამოიკვეთა, რომ სკოლაში მხარდაჭერილია სხვადასხვა არაფორმალური აქტივობა და სასკოლო ინიციატივები, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას სასკოლო ცხოვრებაში.

ზემოაღნიშნული პრაქტიკები მიუთითებს სკოლაში თანამშრომლობითი, მხარდამჭერი და მოსწავლეზე ორიენტირებული გარემოს არსებობაზე.

ნაწილი II: სტანდარტების შეფასება, ხარვეზები, რეკომენდაციები და რჩევები

I. ავტორიზაციის I, III და IV სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

სტანდარტი/კომპონენტი	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სტანდარტი 1 სკოლის ფილოსოფია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.1 სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 1.2 სკოლის დაგეგმვა და განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 3 სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.1 პერსონალის მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.2 პერსონალის განვითარება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება

	☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.3 პროცესების მართვა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.4 ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.5 მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.6 საინფორმაციო რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 3.7 ფინანსური რესურსები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
სტანდარტი 4 **მოსწავლეთა მხარდაჭერა**	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.1	☒ შეესაბამება

მოსწავლეთა უფლებების დაცვა	☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 4.2 მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილი მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასება

	ექსპერტთა ჯგუფი ეთანხმება ☐	**აღწერა** *(იმ შემთხვევაში, თუ ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულების სტატუსის მაძიებლის თვითშეფასების ფორმაში მოთხოვნილ მოსწავლეთა ზღვრულ რაოდენობას)*
მოსწავლეთა რაოდენობა: 300	ექსპერტთა ჯგუფი არ ეთანხმება ☒	სკოლის მიერ წარმოდგენილი მონაცემების მიხედვით, დაწესებულება გათვლილია 300 მოსწავლეზე, თუმცა ექსპერტთა ვიზიტის პროცესში განხორციელდა სასწავლო სივრცეების დათვალიერება და არსებული ინფრასტრუქტურის შეფასება. შეფასების შედეგად გამოიკვეთა, რომ ზოგიერთი ფუნქციური სივრცე (მათ შორის მეთორმეტე კლასის საკლასო ოთახი, ბიბლიოთეკა, რესურს-ოთახი და სამედიცინო კაბინეტი) მცირე ზომისაა. მიუხედავად იმისა, რომ სკოლას აქვს დამატებითი ინვენტარი და აცხადებს, რომ საჭიროების შემთხვევაში შეძლებს ორ ცვლაში მუშაობას, არსებული სასწავლო სივრცეების რაოდენობის, ფართობისა და მათი ფუნქციური დატვირთვის გათვალისწინებით, ექსპერტთა ჯგუფის შეფასებით 300 მოსწავლის განთავსება სრულფასოვანი სასწავლო გარემოს უზრუნველყოფის პირობებში რეალისტურად ვერ იქნება შესაძლებელი. ამასთან, სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია, რომ დაწესებულება ემსახურება რამდენიმე სოფლის მოსახლეობას და მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა კრიტიკულად მნიშვნელოვანია გაზრდილი მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად. სკოლის განმარტებით, სასწავლო პროცესის ორგანიზება

		შესაძლებელია ნაწილობრივ მეორე ცვლაში, რაც გაზრდის სივრცის გამოყენების ეფექტიანობას. ექსპერტთა ჯგუფი იზიარებს სკოლის აღნიშნულ პოზიციას და მიიჩნევს, რომ იმ შემთხვევაში, თუ სასწავლო პროცესი ნაწილობრივ ორგანიზებული იქნება მეორე ცვლაში, სკოლაში შესაძლებელია **250 მოსწავლის** განთავსება. შესაბამისად, მიზანშეწონილად მიიჩნევა სკოლის მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობა განისაზღვროს **250 მოსწავლით**, რაც ერთის მხრივ ითვალისწინებს სკოლის ინფრასტრუქტურულ შესაძლებლობებს, ხოლო მეორეს მხრივ - სკოლის მომსახურების არეალსა და მოთხოვნას.

III. გამოვლენილი ხარვეზების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ხარვეზი, რომელმაც გამოიწვია სტანდარტის კომპონენტის „შეუსაბამოდ“ შეფასება და მეორე სტანდარტის „ნაწილობრივ შესაბამისობა“.

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*ხარვეზი*
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*ხარვეზი*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*ხარვეზი*

სტანდარტი N2	სასკოლო კურიკულუმი *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*ხარვეზი*

IV. სტანდარტებთან შესაბამისობის რეკომენდაციების შეჯამება

გთხოვთ, გადმოიტანოთ ყველა ის რეკომენდაცია, რომელიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას მიეცა სტანდარტებთან შესაბამისობის უზრუნველსაყოფად (მეტწილი ან/და ნაწილობრივი შესაბამისობა.)[1]

სტანდარტი N1	სკოლის ფილოსოფია	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		
სტანდარტი N3	სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი 3.4.1.1.	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზ ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისა არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვ უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსი ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებ სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართ უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობებ სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთ შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგან მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაცი უსაფრთხოების შესახებ დასკვნა ან/და სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერ ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტ მიერ გაცემული წერილობითი დასტურ (სახელმწიფოს მიერ ან მისი მონაწილეობი დაფუძნებული ზოგადსაგანმანათლებლ დაწესებულების შემთხვევაში)	*სკოლამ უზრუნველყოს* *ა) საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება შესაბამ სამსახურთან;* *ბ) შენობა-ნაგებობების მდგრადობის შესახებ დასკვნის მოპოვება;* *გ) სახანძრო უსაფრთხოების დასკვნის მოპოვება* *შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში წარმოდგენილი ვადებ შესაბამისად (15/04/2027 -მდე)*
სტანდარტი N4	მოსწავლეთა მხარდაჭერა	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		

1 გარდა მეორე სტანდარტის ნაწილობრივი შესაბამისობისა.

სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*სტანდარტთან შესაბამისობის რეკომენდაცია*
ინდიკატორი N....		
ინდიკატორი N2.1.2.1.	**შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენ მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესი დაგეგმვისა და განვითარების გზას**	სკოლამ უზრუნველყოს სპორტის შესაბამისი ინფრასტრუქტურა და რესურს კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების (ტანვარჯიში, მოძრავ თამაშები, მაგიდის ჩოგბურთი) სრულფასოვნად განსახორციელებლად. ასევ I–II კლასებში თემის „გასართობი თამაშები მოძრავი თამაშების ელემენტებიდ დაზუსტება შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გაწერილი ვადებ შესაბამისად - 2026 წლის 31 დეკემბრამდე. (სპორტი).
N2.1.2.3.	**კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**	სკოლამ უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის აღჭურვა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გაწერილი ვადების შესაბამისად - 2027 წლის 15 სექტემბრამდე. (საბუნებისმეტყველო მეცნიერებები).
N2.2.2.3	**კურიკულუმში გათვალისწინებულ სწავლის შედეგების მიღწე უზრუნველყოფილია შესაბამის მატერიალური რესურსით, მოსწავლეთ ადგილების ზღვრული რაოდენობ გათვალისწინებით**	სკოლამ უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო კაბინეტი და საჭირო რეაქტივები და ინვენტარი, პრაქტიკული და კვლევითი უნარების სრულყოფილი განვითარებისთვის შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გაწერილი ვადების შესაბამისად - 2027 წლის 15 სექტემბრამდე. (საბუნებისმეტყველო მეცნიერებები).
N2.2.2.4.	**სკოლას ჰყავს კანონმდებლობ მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმ**	სკოლამ უზრუნველყოს შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოძიება დ ხელშეკრულების დადება, ვაკანსიების სისტემატიური განახლება შესაბამ

	განხორციელებისთვის საჭირო ადამიანურ რესურსი	პორტალზე შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გაწერილი ვადებ შესაბამისად - 2026 წლის 15 სექტემბრამდე.
ინდიკატორი N2.1.2.1.	**შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენ მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესი დაგეგმვისა და განვითარების გზას**	სკოლამ უზრუნველყოს სპორტის შესაბამისი ინფრასტრუქტურა და რესურს კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების (ტანვარჯიში, მოძრა თამაშები, მაგიდის ჩოგბურთი) სრულფასოვნად განსახორციელებლად. ასევ I–II კლასებში თემის „გასართობი თამაშები მოძრავი თამაშების ელემენტები დაზუსტება შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გაწერილი ვადებ შესაბამისად - 2026 წლის 31 დეკემბრამდე. (სპორტი).

V. რჩევა

გთხოვთ, გადმოიტანოთ არასავალდებულო ხასიათის რჩევები, რომლებიც ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებას შეუძლია გაითვალისწინოს საქმიანობის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტი N1	*სკოლის ფილოსოფია*	*რჩევა*
ინდიკატორი 1.1.1.2	სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორ სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს	სასურველია სკოლის მისიისა და ხედვის დოკუმენტში უფრო მკაფიოდ აისახოს სკოლის სოციო-კულტურული გარემოს თავისებურება, მათ შორის სასკოლო საზოგადოების ეთნიკური და კულტურული მრავალფეროვნება, რაც ხელს შეუწყობს სკოლის უნიკალური როლის უკეთ წარმოჩენას ადგილობრივ საზოგადოებაში.
1.2.1.1	სკოლას აქვს სტრატეგიულ განვითარებისა და სამოქმედო გეგმებ შემუშავების მეთოდოლოგია, რომელ განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოებ	სასურველია სკოლამ მეთოდოლოგიური დოკუმენტის დამტკიცებ შემდეგ უზრუნველყოს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმებ შესაბამისობაში მოყვანა აღნიშნულ მეთოდოლოგიასთან.

	პრიორიტეტებისა და ინტერესებ გათვალისწინების მექანიზმებს	
1.2.1.3	სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას	სასურველია სამოქმედო გეგმაში მკაფიოდ აისახოს, თუ რომელ თვითშეფასების შედეგებს ეფუძნება დაგეგმილი აქტივობები.
1.2.1.4	სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია	სასურველია სამოქმედო გეგმაში უფრო დეტალურად განისაზღვრ აქტივობების შესრულების გაზომვადი ინდიკატორები დ მოსალოდნელი შედეგების შეფასების კრიტერიუმები.
1.2.2.2	მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით	სასურველია სკოლამ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემდგომი განხორციელებისა და რევიზიის პროცესში უზრუნველყოს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიით განსაზღვრული მექანიზმების გამოყენება და აღნიშნული პროცესის ამსახველი მტკიცებულებების დოკუმენტირება (მაგ. სამუშაო ჯგუფის შეხვედრების ოქმები, შუალედური ანგარიშები, მონიტორინგის შედეგების ანალიზი და სხვ.).
სტანდარტი N3	**სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა**	*რჩევა*

3.1.2.1	პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად	სასურველია სკოლამ პერსონალთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებსა და სამუშაო აღწერილობებში უფრო მკაფიოდ ასახოს სხვადასხვა სტატუსის მასწავლებლებისთვის კანონმდებლობით განსაზღვრული დამატებითი ფუნქციები და პასუხისმგებლობები, რათა უზრუნველყოფილი იყოს ფუნქციების შესაბამისობა პროფესიულ სტატუსთან.
3.1.2.2	სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა	სასურველია სკოლამ დოკუმენტურად აღწეროს პერსონალის მართვასთან დაკავშირებული შესაძლო რისკები და მათზე რეაგირების მექანიზმები (მაგალითად, თანამშრომლის ხანგრძლივი არყოფნის, ვაკანტური პოზიციის ან არადამაკმაყოფილებელი საქმიანობის შემთხვევაში), რათა უზრუნველყოფილი იყოს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის სისტემური დაგეგმვა.
3.1.2.3	პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით	სასურველია სკოლამ პერსონალის პირად საქმეებში წარმოდგენილ ოფიციალური ცნობები უზრუნველყოს სათანადო დამოწმებით დ პერსონალის დატვირთვის განაწილებისას განსაკუთრებულ ყურადღება მიაქციოს შესაბამისი კვალიფიკაციისა და კომპეტენციი მქონე კადრების დასაქმებას, რათა თავიდან იქნას აცილებული მცირ საათობრივი დატვირთვის მქონე მოწვეული მასწავლებლების ჭარბ რაოდენობა.
3.2.1.1	სკოლას აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები	სასურველია სკოლამ შეიმუშაოს პერსონალის შეფასებისა დ პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის ერთიან მექანიზმი/მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს სკოლის ყველ კატეგორიის პერსონალს და უზრუნველყოფს აღნიშნული პროცესი სისტემურ განხორციელებას.

3.2.1.4	სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან	სასურველია სკოლამ თანამშრომლების სამუშაო გარემოსთან ინტეგრაციის პროცესი აღწეროს შესაბამის დოკუმენტში, რაც ხელს შეუწყობს აღნიშნული პროცესის სისტემურ განხორციელებას.
3.4.1.1	სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა	სკოლამ აიყვანოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.
3.4.1.5	სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ ჰიგიენური ნორმების დაცვას	მიზანშეწონილია სკოლამ უზრუნველყოს სადეზინფექციო და სადერატიზაციო სამუშაოების სისტემური დაგეგმვა და შესაბამისი საშუალებების გამოყენება, ასევე ნაგვის გატანის მომსახურებაზე ფორმალური ხელშეკრულების გაფორმება, რაც ადმინისტრაციულად უფრო გამჭვირვალეს გახდის პროცესს.
3.4.1.6	სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას	მიზანშეწონილია სკოლამ უზრუნველყოს პერსონალური მონაცემების დამუშავებისა და შენახვის პროცესების დამატებით დოკუმენტური რეგულირება (პოლიტიკის ან პროცედურის სახით),

		ასევე უზრუნველყოს მოსწავლეთა პირადი საქმეების დაცვა ჩაკეტილ კარადებში და საარქივო დოკუმენტაციის სისტემური აღრიცხვა.
3.4.1.7	სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები	მიზანშეწონილია სკოლამ უზრუნველყოს ინფორმაციის შენახვის სივრცეების დამატებითი დაცვა, მათ შორის მოსწავლეთა პირადი საქმეების შენახვა უფრო იზოლირებულ სივრცეში და განსაზღვროს მონაცემებზე წვდომის მკაფიო წესები. ასევე რეკომენდებულია მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტაციის საარქივო წესით წარმოება და ინფორმაციის დაცვის პროცესების დამატებით დოკუმენტური რეგულირება.
3.5.1.1	სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით	სასურველია სკოლამ განაახლოს შენობის შიდა აზომვითი ნახაზი, რათა იგი სრულად ასახავდეს რეაბილიტაციის შედეგად განხორციელებულ კონსტრუქციულ ცვლილებებს და შეესაბამებოდეს შენობის ფაქტობრივ მდგომარეობას.
3.5.1.2	დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის	სასურველია სკოლამ გადახედოს ბიბლიოთეკისა და სხვა საერთო სასწავლო სივრცეების სარგებლობის წესებს და მათში ასახოს სკოლის კონტექსტი, მათ შორის ინკლუზიური განათლების საჭიროებები, შშმ მოსწავლეთა ხელმისაწვდომობის საკითხები და სივრცეების თანაბარი გამოყენების პრინციპები.
3.5.1.3	სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით	სასურველია ბიბლიოთეკარმა შეიმუშაოს საქმიანობის წლიური გეგმა და უზრუნველყოს განხორციელებული აქტივობების რეგისტრაცია (მაგ., აქტივობების ჟურნალის წარმოება), რაც ხელს შეუწყობს საბიბლიოთეკო საქმიანობის სისტემურ დაგეგმვასა და შეფასებას. ასევე მიზანშეწონილია:

		• სკოლამ უზრუნველყოს ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის ეტაპობრივი განახლება და მოძველებული ლიტერატურის ჩამოწერა; • წარმოდგენილი იქნას წიგნადი ფონდის ფლობის სრული დოკუმენტაცია ან განხორციელდეს შესაბამისი ჩამოწერის დოკუმენტაციის წარმოება.
3.5.1.4	სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს	მიზანშეწონილია სკოლამ უზრუნველყოს ლიფტის დროული შეკეთება და ტექნიკური გამართულობა, რათა სრულად იყოს უზრუნველყოფილი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეთა გადაადგილების შესაძლებლობა სკოლის ყველა სართულზე.
სტანდარტი N4	**მოსწავლეთა მხარდაჭერა**	*რჩევა*
ინდიკატორი N....		
ინდიკატორი N4.2.1.1.	სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება	სასურველია, ცვლილება შევიდეს ტრანზიციის დებულებაში დ დაკონკრეტდეს დეზაპტაციის ნიშნები და გაიცეს შესაბამის რეკომენდაციები.
N4.2.1.5.	სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას	სასურველია, სკოლამ ვაკანსია გამოაცხადოს და ეძებოს მეორე უცხო ენ მასწავლებელი, რომ მეოთხე კლასის მოსწავლეებსა და მა მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს შესაძლებლობა მიეცეთ ო უცხო ენას შორის არჩევანის გაკეთების.

N4.2.2.1.	სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება	სასურველია, მომდევნო 2026-2027 სასწავლი წლისთვის სკოლამ ერთწლიან სამოქმედო გეგმაში გაითვალისწინოს კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურებასთან დაკავშირებული გადასადგმელი ნაბიჯები. ასევე სკოლამ შეისწავლოს კურსდამთავრებულთა სტატისტიკა, იკვლიოს საშუალო საფეხურის მოსწავლეთა ინტერესები და ამგვარად შესთავაზოს კარიერული დაგეგმვის კუთხით საინფორმაციო შეხვედრები.
N4.2.3.1	სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას	ინდივიდუალური სასწავლო გეგმის სხდომების ოქმებში შეყვანილ იქნენ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა მშობლები. ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.
N4.2.3.1	სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს	მასწავლებლებმა ინდივიდუალური სასწავლო გეგმები დაწერონ განახლებულ ინდივიდუალურ სასწავლო გეგმის ფორმაში. წლის დასაწყისშივე (სასწავლო წლის დაწყებიდან 2 კვირაში) გაწერონ მოსწავლის ორივე სემესტრის ინდივიდუალური საჭიროებები.
სტანდარტი N2	**სასკოლო კურიკულუმი** *(ასახეთ ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის დასახელება)*	*რჩევა*
ინდიკატორი N2.1.2.1.	**შემუშავებული კურიკულუმ წარმოადგენს მოსწავლეზ ორიენტირებული პროცესის დაგეგმვის და განვითარების გზას**	**რჩევა (რესურსების მრავალფეროვნება):** სასურველია, კურიკულუმში სახელმძღვანელოსთან ერთად ინტეგრირებული იყოს მრავალფეროვანი რესურსები: პირველწყაროები, ისტორიული რუკების ციფრული ვერსიები, დოკუმენტური მასალა და საგანმანათლებლო პლატფორმები (ელექტრონული ბიბლიოთეკები),

		რაც სწავლის პროცესს უფრო დინამიურს გახდის. (საზოგადოებრივი მეცნიერებები). **რჩევა (დიფერენცირებული სწავლება):** მიზანშეწონილია, კურიკულუმში უფრო დეტალურად გაიწეროს დიფერენცირებული სწავლების სტრატეგიები, რათა კომპლექსური დავალებები თანაბრად ხელმისაწვდომი იყოს სხვადასხვა აკადემიური მზაობის მქონე მოსწავლისთვის. (საზოგადოებრივი მეცნიერებები). **რჩევა (პრაქტიკული კომპონენტი):** რეკომენდებულია, „ჩვენი საქართველოსა" და გეოგრაფიის კურიკულუმებში გაიზარდოს თვალსაჩინოებებისა და პრაქტიკული სამუშაოების (მაგ: კონტურულ რუკებზე მუშაობა, ლოკალური გარემოს კვლევა) წილი, რაც აამაღლებს მოსწავლეთა მოტივაციას. (საზოგადოებრივი მეცნიერებები). **რჩევა (საშუალო საფეხური):** მიზანშეწონილია, საშუალო საფეხურზე პროექტებით სწავლება უფრო მჭიდროდ დაუკავშირდეს საგნობრივ სამიზნე ცნებებს, რათა პროექტმა არ მიიღოს მხოლოდ ერთჯერადი ღონისძიების სახე. (საზოგადოებრივი მეცნიერებები). **რჩევა (კურიკულუმის დიზაინი და სტრუქტურა):** სასურველია, საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე მოხდეს კურიკულუმის ერთიანი დიზაინისა და ფორმატის შეთანხმება. მნიშვნელოვანია, რომ დაწყებითი საფეხურიდან საშუალო საფეხურის ჩათვლით, დოკუმენტი იყოს ვიზუალურად და სტრუქტურულად თანმიმდევრული, რაც გააადვილებს მის გამოყენებას როგორც პედაგოგებისთვის, ისე მონიტორინგის პროცესისთვის. (საზოგადოებრივი მეცნიერებები).

N2.1.2.1.	**შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**	სასურველია, კათედრის მიერ შემუშავებულ კურიკულუმებში შენარჩუნებული იყოს ერთიანი კურიკულუმის ჩარჩო, რაც ხაზს გაუსვამს თანამშრომლობით მუშაობას კათედრაზე, ასევე კურიკულუმებში მრავალფეროვანი რესურსის გამოყენება (საბუნებისმეტყველო მეცნიერებები).
N2.1.2.1.	**შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**	მიზანშეწონილია კურიკულუმები შესრულებული იყოს ერთიან ფორმატში. საფეხურების შესაბამისად, ზოგიერთი კლასის კურიკულუმებში გასასწორებელია სამიზნე ცნებები (ტექსტი/ჟანრი). არ იყო წარმოდგენილი XII კლასის კურიკულუმი რუსულ ენაში, თუმცა, ინტერვიუს დროს კოლეგებს იგი წარმოდგენილი ჰქონდათ. (უცხოური ენები)
N2.1.2.1.	**შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**	დაწყებით და საბაზო საფეხურზე კურიკულუმებში დაზუსტდეს შემოქმედებითი დავალებების რაოდენობა და შინაარსი. დაწყებით და საბაზო საფეხურზე, კურიკულუმებში დაზუსტდეს სასწავლო რესურსების ჩამონათვალი და გამრავალფეროვნდეს უკვე არსებული რესურსები. (ესთეტიკური აღზრდა).
N2.1.2.1.	**შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**	სასურველია, დაწყებით და საბაზო საბაზო საფეხურებზე წარმოდგენილ კურიკულუმებში:

		მოწესრიგდეს და სწორად განისაზღვროს სტრუქტურული ერთეულების შინაარსი. კერძოდ, გაიმიჯნოს კონტექსტმაგალითები სასწავლო რესურსებისაგან და საკითხი შემოქმედებითი დავალების იდეისაგან; საბაზო საფეხურის კურიკულუმებში მითითებული ჯამური საათობრივი დატვირთვა გადაიტანონ თავფურცელში წლიური ან სემესტრული საათობრივი დატვირთვის სახით; სასურველია, დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში შენარჩუნდეს კურიკულუმის ერთიანი ჩარჩო. მაგალითისათვის - მისაღებია მე-2 კლასის ჩარჩოს ფორმა და სწორედ ასეთი ტიპის ჩარჩოზე ჰქონდეთ ორიენტაცია. (სახელმწიფო ენა)
N2.1.2.1.	**შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**	სკოლამ/კათედრამ შეიმუშაონ და შეთანხმდენენ ერთი ფორმატი საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩო -დოკუმენტზე საგნობრივ კურიკულუმის აღწერის ყველა კომპონენტის დაცვით; საგნობრივ კურიკულუმების თავფურცელი (ქუდი) შეიცავდ ინფორმაციას საგნობივი კურიკულუმის შესახებ: კურიკულუმ სახელწოდება, სასწავლო საგნის ხანგრძლივობა სემესტრის/ წლ განმავლობაში, ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი. (მათემატიკა)
N2.1.2.1.	**შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**	სასურველია, საბაზო საფეხურზე VII, VIII, და IX, XII კლასებ მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვის მიზნით, სად მთავარი აქცენტი მოსწავლის ფიზიკური თვისებების განვითარებაბაზ გადატანილი, თემებში გაიწეროს სპორტის სახეობა მძლეოსნობა. ასე

		ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კურიკულუმებში სასურველი შენარჩუნდეს კურიკულუმის ერთიანი ჩარჩო. (სპორტი)
N2.1.2.1.	**შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**	სასურველია, საგნობრივ კურიკულუმებში მრავალფეროვანი რესურსებისა და დავალებების გამოყენება, რათა გაძლიერდეს მიზნის, აქტივობისა და სასწავლო შედეგის პირდაპირი კავშირი და სწავლება გახდეს მოსწავლისთვის მეტად მოტივაციური და კონტექსტზე დაფუძნებული. (ზოგადი განათლების დაწყებით საფეხური)
N2.1.2.2.	**კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს**	სასურველია, კურიკულუმები მეტად იყოს სკოლის საჭიროებებზ მორგებული - რეალური და დაძლევადი. ყოველივე ე გაითვალისწინონ მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შექმნ დროს. (საბუნებისმეტყველო მეცნიერებები)
N2.1.2.2.	**კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს**	მიზანშეწონილია კურიკულუმში უფრო დეტალურად გაიწეროს დიფერენცირებული სწავლების სტრატეგიები, რათა სასწავლო პროცესი კიდევ უფრო მეტად იყოს ორიენტირებული სხვადასხვა საჭიროების მქონე მოსწავლეზე. რეკომენდებულია კურიკულუმის განმავითარებელი შეფასების ნაწილში დაზუსტდეს კრიტერიუმები, რომლებიც მასწავლებელს დაეხმარება მოსწავლის მიერ სამიზნე ცნების გააზრების ხარისხის უფრო ზუსტ იდენტიფიცირებაში.

		(საზოგადოებრივი მეცნიერებები)
N2.1.2.2.	**კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს**	ესთეტიკური განათლების მიმართულებით გაიწეროს აქტივობებ რომელიც სასწავლო პროცესში, ეროვნული მიზნების შესრულების, ასეე ადგილობრივი კულტურის ინტეგრირების საშუალებას მისცემ პედაგოგებს. (ესთეტიკური აღზრდა)
N2.1.2.2.	**კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს**	რიგ შემთხვევებში (მაგ.: მე-5, მე-7, მე-8 კლასი) სამიზნე ცნებებთან დ თემებთან მიმართებით შეინიშნება უზუსტობები. სასურველი სიღრმისეულად გაეცნონ სამივე საფეხურის ქართული ენისა დ ლიტერატურის სტანდარტს და კურიკულუმის შედგენისას გამოიყენო მართებულად. (სახელმწიფო ენა)
N2.1.2.2.	**კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს**	სასწავლო თემები დააზუსტონ ესგ -ის საგნობრივი სტანდარტებ მიხედვით. (ზოგადი განათლების დაყებით საფეხური)
N2.1.2.3.	**კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**	სასურველია, სკოლამ შეიმუშაოს რესურსების განახლებისა დ გამდიდრების ერთიანი მიდგომა საზოგადოებრივი მეცნიერებებ კათედრაზე, რათა ყველა საგანში თანაბრად იყოს ხელმისაწვდომ როგორც ტექსტობრივი, ისე მულტიმედიური და საძიებო რესურსებ რეკომენდებულია იმ კურიკულუმებში, სადაც მხოლო სახელმძღვანელოა მითითებული, დაემატოს მოსწავლეთა ინტერესებ და შესაძლებლობებზე მორგებული ალტერნატიული სასწავლ მასალები (მაგ: ადაპტირებული წყაროები, თემატური ვიდეორგოლებ და სხვ.) (საზოგადოებრივი მეცნიერებები)

N2.1.2.3.	**კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**	სასურველია, მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებისა და სასწავლ პროცესის საინტერესოდ წარმართვის მიზნით, განსაკუთრებით საბაზ და საშუალო საფეხურის კურიკულუმში, გაწერონ მრავალფეროვან რესურსები, რათა უზრუნველყონ კურიკულუმით გათვალისწინებულ შედეგების მიღწევა. (სახელმწიფო ენა)
N2.1.2.3.	**კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**	გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოს მითითებასთან ერთად კურიკულუმის შესაბამის კომპონენტში წარმოადგინონ სხადასხვა დამხმარე საგანმანათებლო რესურსები. (მათემატიკა)
N2.1.2.3.	**კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას**	სასურველია სამივე საფეხურზე გადაიხედოს კურიკულუმშ ჩაშენებული და მითითებილი ლინკები, რესურსებ სახელმძღვანელოები. დალაგდეს საფეხურების შესაბამისად, იყო აქტიური და შეესაბამებოდეს მოსწავლეთა ინტერესებს დ შესაძლებლობებს. (სპორტი)
N2.1.2.3.	**კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის**	კურიკულუმში ასახონ მრავალფეროვანი რესურსები. მიეთითო გამოყენებული ბმულების კონკრეტული დასახელება (ზოგადი განათლების დაწყებით საფეხური)

	საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას	
N2.1.2.4.	**სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს**	სასურველია, აქტივობები გაიწეროს იმგვარად, რომ მიმართული იყო და უზრუნველყოს სწავლის შედეგების მიღწევა. ასევე სასურველი შემაჯამებელი ან/და სადიაგნოსტიკო დავალებების პირობები შექმნისას, აგრეთვე შუალედური სასწავლო მიზნის ფორმატის კომპლექსურ დავალების/კომპლექსური ბუნების დავალების, სასწავლო პროექტების შეთავაზების დროს, უფრო მკაფიოდ გამოიკვეთოს დიფერენცირებული ან ინკლუზიური მიდგომები. (საბუნებისმეტყველო მეცნიერებები)
N2.1.2.4.	**სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს**	სასურველია, საზოგადოებრივი მეცნიერებების კურიკულუმებშ (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური) უფრო მკაფიოდ გაიწერო დიფერენცირებული სწავლების კონკრეტული სტრატეგიები (მა დავალებების სირთულის მიხედვით დაყოფა, დამხმარე მინიშნებებ გამოყენება), რაც მასწავლებელს დაეხმარება პროცესის უკეთ მართვაშ რეკომენდებულია კათედრის ფარგლებში მოხდეს საუკეთესო პრაქტიკ გაზიარება იმის შესახებ, თუ როგორ ხდება საზოგადოებრივ მეცნიერებების გაკვეთილებზე სსსმ და სხვადასხვა საჭიროების მქონ მოსწავლეთათვის გარემოსა და რესურსების ოპტიმალური მორგება. (საზოგადოებრივი მეცნიერებები)
N2.1.2.5.	**მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**	სასურველია, შეფასების სისტემის უფრო დახვეწა, კათედრამ შექმნას უფრო მრავალფეროვანი და კონკრეტულ დავალებებზე მეტად მორგებული შეფასების რუბრიკები.

		შეფასების სისტემის გასაუმჯობესებლად აუცილებელია არამარტო განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების აქტიურად გამოყენება, ასევე მოსწავლეთა თვითშეფასების და ურთიერთშეფასების რუბრიკებისაც. სამართლიანობისა და ობიექტურობის თვალსაზრისით მოსწავლეები შეაფასებენ ერთმანეთს და იმსჯელებენ ერთმანეთის გასაუმჯობესებელ შედეგებზე. მოსწავლეების ჩართულობა შეფასების რუბრიკების შემუშავების პროცესში გაზრდის სანდოობას და გამჭვირვალობის დასტური იქნება როცა მოსწავლეები და მათი მშობლები წინასწარ გაეცნობიან დავალების შეფასების რუბრიკებს. (საბუნებისმეტყველო მეცნიერებები)
N2.1.2.5.	**მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**	მიზანშეწონილია შეფასების ინსტრუმენტების (რუბრიკების) შემდგომი დახვეწა, რათა მათში უფრო მკაფიოდ აისახოს მოსწავლის პროგრესი სამიზნე ცნებების გააზრების სხვადასხვა დონეზე. (საზოგადოებრივი მეცნიერებები)
N2.1.2.5.	**მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**	შეფასების რუბრიკები, სასურველია, მორგებული იყოს კონკრეტულ დავალებებზე, რათა უფრო ნათლად გამოჩნდეს, რას აფასებენ მოლოდინები მოსწავლის შეფასებასთან დაკავშირებით ჩამოაყალიბო სამიზნე ცნებასთან მიმართებით მოსწავლის შედეგების მიღწევ ინდიკატორების მიხედვით. (სახელმწიფო ენა)
N2.1.2.5.	**მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო**	განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები გაწერილ იყოს კონკრეტული კომპლექსური დავალების პირობაზე, რომელ

	გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს	დაეფუძნება ესგ-ის მოთხოვნებს და შემუშავდება მოსწავლის შეფასებ პრინციპების, მიზნების და ამოცანების გათვალისწინებით ესგ-ი შესაბამისად. (კომპიუტერული ტექნოლოგიები)
N2.1.2.5.	**მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**	კათედრას მიეცა რჩევა, შეფასების რუბრიკების შექმნისას დაეყრდნონ მ 3 თაობის ესგ ინდიკატორებსა და იმ კონკრეტული დავალების შეფასებ კრიტერიუმებს, რომლისთვისაც იქმნება რუბრიკა, ანუ შეფასებ კრიტერიუმები იყოს მეტად მორგებული კონკრეტულ დავალებაზე დ ადვილად აღსაქმელი მოსწავლისათვის. სჯობს, შეფასებ კრიტერიუმები მიემართებოდეს გრძელვადიან შედეგებს, საფეხურ შედეგებს ან სამიზნე ცნებებს, რათა გაიზომოს ესგ მიღწევის შედეგებ არსეულ შეფასების სქემებში აისახოს კონკრეტული თემა დ გრძელვადიანი მიზანი. (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური)
N2.2.1.1	**სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**	სასურველია, კურიკულუმები მეტად იყოს სკოლის საჭიროებებ მორგებული რეალური და დაძლევადი, ყოველივე გაითვალისწინონ მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შექმნ დროს. (საბუნებისმეტყველო მეცნიერებები)
N2.2.1.1	**სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**	რეკომენდებულია კურიკულუმის განხორციელების პროცესში მეტ ყურადღება დაეთმოს შუალედური მონიტორინგის შედეგებ დოკუმენტირებასა და რეფლექსიას, რაც ხელს შეუწყობს სასწავლ პროცესის შემდგომ სრულყოფას მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებების შესაბამისად. (საზოგადოებრივი მეცნიერებები)
N2.2.1.1	**სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**	სასურველია, სკოლამ ჩართოს თემის სხვადასხვა წარმომადგენელი – მშობლები, ადგილობრივი ხელოვანები, კულტურული მემკვიდრეობ მატარებლები — სასკოლო კურიკულუმის შინაარსის განსაზღვრაში.

		ხელს შეუწყობს თემის ღირებულებების, ინტერესებისა და საჭიროებებ ინტეგრირებას საგანმანათლებლო პროცესში. სასურველია, ესთეტიკურ კათედრის კურიკულუმი ასახავდეს ადგილობრივ კულტურულ მემკვიდრეობას — მუსიკალურ, სახვით თუ გამოყენებით ხელოვნება მაგალითად, ფოლკლორისა და ტრადიციული ორნამენტების შესწავ ხელს შეუწყობს მოსწავლეთა კულტურული იდენტობის განმტკიცება სოფლის სკოლებში ხშირად შეინიშნება რესურსების ნაკლებობ სასურველია, მასწავლებლებმა მოიპოვონ მასალის მოძიებ ალტერნატიული გზები. (მაგ., ბუნებრივი საღებავები, გადამუშავებულ მასალები, თემში არსებული რესურსები). სასურველია, ხელოვნებისა დ მუსიკის გაკვეთილები ინტეგრირებული იყოს თემთან ან სოფლ სოციალურ-ეკონომიკურ კონტექსტთან. მაგალითად, ხელოვნებ გაკვეთილები დაკავშირდეს მეწარმეობასთან, ადგილობრ არქიტექტურასთან და სოფლის ბუნებრივ ლანდშაფტთან. სასურველ სკოლამ დაგეგმოს საერთო ღონისძიებები, სადაც მოსწავლეები თემ მონაწილეობით წარმოადგენენ თავიანთ ნამუშევრებს — მაგალითა ფოლკლორული კონცერტები, გამოფენები ან თემატური საღამოები. ე აძლიერებს სკოლასა და თემს შორის კავშირს. სასურველია, მოსწავლეებ მიეცეთ შესაძლებლობა გამოხატონ თავიანთი ინტერესები დ მონაწილეობა მიიღონ თემატიკის შერჩევასა და შემოქმედებ პროცესში. ეს ზრდის მათ მოტივაციასა და ჩართულობას. (ესთეტიკური აღზრდა)
N2.2.1.1	**სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**	სასურველია, კურიკულუმის შემუშავებისას გათვალისწინებული იყ სკოლაში არსებული სპორტული რესურსი, რათა სასწავლო პროცეს განხორციელდეს დაგეგმილი კურიკულუმის შესაბამისად. (სპორტი)

N2.2.1.3	**შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**	კარგი იქნება, თუ შეფასების სისტემის ვალიდურობის პრინციპ უზრუნველყოფის მიზნით შეიმუშავებენ უფრო კონკრეტულ გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებულ შეფასების რუბრიკებს. ასე სასურველია შემუშავდეს შეფასების რუბრიკების მოსწავლეებისა დ მათი მშობლებისათვის გაცნობის მექანიზმი. მოსწავლეებს წინასწა მიაწოდონ დავალების პირობა, მიზანი და შეფასების კრიტერიუმებ კათედრის წევრებმა მოლოდინების შესაბამისად გააანალიზ მოსწავლეთა ნამუშევრები შუალედურ მიზნებთან მიმართებით დ მიაწოდონ უკუკავშირი კათედრაზე შეთანხმებული ფორმითა დ ფორმატით. (საბუნებისმეტყველო მეცნიერებები)
N2.2.1.3	**შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**	მიზანშეწონილია საზოგადოებრივი მეცნიერებების შეფასებ რუბრიკების შემდგომი დახვეწა და მათი მეტი კონკრეტიზაცია სამიზ ცნებების მკვიდრ წარმოდგენებთან მიმართებით, რათა შეფასებ სისტემის ვალიდურობა და ობიექტურობა ყველა საფეხურზე თანაბრა იყოს დოკუმენტირებული და დადასტურებული. (საზოგადოებრივი მეცნიერებები)
N2.2.1.3	**შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**	სასურველია უცხოური ენების კათედრამ შეიმუშავოს კონკრეტულ თემებზე/საკითხებზე მორგებული შეფასების სქემები/რუბრიკები, რა უზრუნველყოფილი იყოს შეფასების სისტემის ვალიდურობა, სანდოობ და ობიექტურობა. (უცხოური ენები)
N2.2.1.3	**შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი**	სასურველია, შეფასების პროცესში უფრო აქტიურად ინტეგრირდ ციფრული ინსტრუმენტები – მაგალითად, მოსწავლეთა ნამუშევრებ ვიდეოფიქსაცია, ციფრული პორტფოლიოები, ონლაინ პლატფორმებ შეფასება. სასურველია, შეფასების პროცესში მოსწავლეთა როლ გაფართოვდეს არა მხოლოდ თვითშეფასებით, არამედ შეფასებ კრიტერიუმების ერთობლივი შედგენით, რაც მათ ჩართულობას დ

		პასუხისმგებლობას გაზრდის. სასურველია, მასწავლებელი პროფესიული განვითარების მხარდაჭერა შეფასების ინოვაციურ მეთოდების შესახებ პროფესიული ტრენინგების გზით, რაც ხელ შეუწყობს შეფასების პრაქტიკის გაღრმავებას და გააუმჯობესებ არსებული ინსტრუმენტების გამოყენების უნარებს. (ესთეტიკური აღზრდა)
N2.2.2.1.	**კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**	მიზანშეწონილია კათედრამ იმუშაოს რესურსების ბაზი გამდიდრებაზე, განსაკუთრებით ციფრული და თვალსაჩინო მასალებ მიმართულებით. სასურველია, მასწავლებლებმა მოახდინო გამოყენებული რესურსების ეფექტიანობის პერიოდული ანალიზი, რათ უკეთ განისაზღვროს, თუ რომელი დამხმარე მასალა უწყობს ხელ მოსწავლეთა ფუნქციური უნარების განვითარებას ყველაზე უკეთ. (საზოგადოებრივი მეცნიერებები)
N2.2.2.1.	**კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**	**სასურველია,** ესთეტიკურმა კათედრამ გაიაროს კონსულტაციები, მოახდინოს გამოკითხვა სკოლის დირექტორთან, მასწავლებლებთან, მშობლებთან და თემის წარმომადგენლებთან, რათა გამოავლინოს, რას მიიჩნევს სკოლა და საზოგადოება პრიორიტეტულად. **სასურველია,** ინტეგრირებული თემატიკის არჩევა სკოლის სპეციფიკის მიხედვით. **სასურველია,** კურიკულუმში აისახოს სკოლის გეოგრაფიული მდებარეობის, ისტორიის, კულტურული მემკვიდრეობისა და თემის პროფილის (მაგ., სოფლის მეურნეობა, ხელოვნება, მეღვინეობა) შესაბამისი თემები.

		სასურველია, დირექციამ მისცეს პედაგოგებს თავისუფლება და მხარდაჭერა, რათა მათ შეძლონ თემისთვის რელევანტური აქტივობების შემუშავება საგნობრივი სტანდარტების ფარგლებში. (ესთეტიკური აღზრდა)
N2.2.2.1.	**კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**	სასურველია ყველა კლასში კურიკულუმებში წარმოდგენილი საკითხ შესაბამისად უზრუნველყონ ელექტრონული თუ მატერიალურ რესურსების მრავალფეროვნება. (სახელმწიფო ენა)
N2.2.2.1.	**კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**	სასურველია სასწავლო პროცესში გამოყენებულ იქნას მრავალფეროვანი სასწავლო რესურსი. (მათემატიკა)
N2.2.2.1.	**კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**	სასურველია წარმოდგენილ კურიკულუმებში სასწავლო რესურ შერჩევისას გათვალისწინებული იყოს მოსწავლეთა ასაკობრივ თავისებურებები, საფეხურეობრივად მიეთითოს შესაბამისი კლას გრიფმინიჭებული წიგნები, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა აქტიუ ჩართულობას, ცოდნის გაღრმავებას და კურიკულუმი განსაზღვრული სასწავლო შედეგების მიღწევას. (სპორტი)
N2.2.2.1.	**კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**	კურიკულუმებში აისახოს ის რესურსები, რომლებსაც იყენებენ ამა თ იმ საკითხის შესაბამისად. (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური)
N2.2.2.2.	**სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**	სასურველია, რესურსების ვალიდაციის პროცესი გახდეს უფრ შინაარსობრივი და სისტემური. მიზანშეწონილია კათედრ

		რესურსების შერჩევისას მეტი ყურადღება დაუთმოს მა გამრავალფეროვნებასა და ბაზის გამდიდრებას. (საზოგადოებრივი მეცნიერებები)
N2.2.2.2.	**სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**	მიზანშეწონილია გადაიხედოს რესურსების ვალიდაციის პროცეს დაიხვეწოს მისი განხორციელების მექანიზმები. (უცხოური ენები)
N2.2.2.2.	**სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას**	მიუხედავად იმისა, რომ რესურსების შერჩევა ხორციელდება გააზრებულად, **სასურველია** მისი ფორმალიზება: მაგალითად, რესურსების გამოყენების წინასწარი დამტკიცება კათედრის სხდომაზე, ან შესაბამისი ჩანაწერის გაკეთება თემატურ-საათობრივ გეგმაში. ეს ხელს შეუწყობს პროცესის გამჭვირვალობას და ანგარიშვალდებულებას. **სასურველია,** სკოლაში გამოიყენებოდეს მხოლოდ სანდო, ავტორიტეტული წყაროებიდან მოწოდებული ელექტრონული მასალა. აუცილებელია რესურსების შინაარსობრივი გადამოწმება, რათა არ მოხდეს არარელევანტური ან არასანდო მასალის გამოყენება. **სასურველია,** შეიქმნას მუსიკისა და ხელოვნების რესურსების ელექტრონული ბაზა, რომელსაც გამოიყენებენ კათედრის მასწავლებლები. რესურსბანკში შესაძლებელია შეინახოს: სასწავლო ვიდეოები, ნოტები, ნახატების ნიმუშები, შეფასების რუბრიკები და პრეზენტაციები. დამხმარე რესურსად შესაძლოა გამოყენებულ იქნას მოსწავლეთა ნამუშევრები, წინა წლების პროექტები და პრეზენტაციები. ეს ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივაციას და ასახავს შემოქმედებითი პროცესის უწყვეტობას. კათედრაზე, დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაცია პრაქტიკაში ხორციელდება გააზრებულად და მიზანმიმართულად. ის უზრუნველყოფს სწავლების ხარისხს, მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას და საგნობრივი მიზნების

		მიღწევას. მიუხედავად დადებითი პრაქტიკისა, მნიშვნელოვანია პროცესი გახდეს უფრო ფორმალიზებული და დოკუმენტურად მოწესრიგებული, რაც კიდევ უფრო გაამყარებს რესურსის სანდოობასა და ეფექტურობას. (ესთეტიკური აღზრდა)
N2.2.2.3.	**კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**	**სასურველია**, ესთეტიკის კათედრისთვის საჭირო ინვენტარის განახლება. მიუხედავად არსებული საბაზისო რესურსისა, მიზანშეწონილია რეგულარული შევსება და განახლება სახარჯი მასალებისა (საღებავები, ფუნჯები, ქაღალდი, მუსიკალური ინსტრუმენტები), რაც მნიშვნელოვნად იმოქმედებს პრაქტიკული საქმიანობის ხარისხზე. **სასურველია,** გაძლიერებული ყურადღება დიფერენცირებულ მიდგომებზე. მოსწავლეთა რაოდენობრივი დატვირთვის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია მასწავლებლის მიერ სხვადასხვა სირთულის დავალებების შეთავაზება, რაც უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის აქტიურ მონაწილეობას და ინდივიდუალურ პროგრესს. **სასურველია,** ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრირება – იქნება ეს მხატვრული ნამუშევრების ციფრული არქივის შექმნა, მუსიკის ციფრული პროგრამების გამოყენება თუ დისტანციური რესურსების გამოყენება მრავალფეროვანი დავალებებისთვის. (ესთეტიკური აღზრდა)

VI. წინა ვიზიტის ფარგლებში გაცემული რეკომენდაციების შესრულების სტატუსი (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

VII. ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე

გთხოვთ, დეტალურად ასახოთ ინფორმაცია ექსპერტთა ჯგუფის მიერ არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების ან არ გაზიარების თაობაზე.

ექსპერტთა ჯგუფმა განიხილა დაწესებულების მიერ წარმოდგენილი არგუმენტირებული პოზიცია, რომელიც ასახულია სკოლის მიერ წარმოდგენილ ოფიციალურ წერილში და თანდართულ დოკუმენტებში.

მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის საკითხთან დაკავშირებით, სკოლამ წარმოადგინა დასაბუთება, რომლის მიხედვითაც დაწესებულება ემსახურება რამდენიმე სოფლის მოსახლეობას და არსებული დემოგრაფიული მოცემულობიდან გამომდინარე მნიშვნელოვანია უფრო მაღალი ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა. ამასთან, დოკუმენტში მითითებულია, რომ სასწავლო პროცესის ნაწილობრივ მეორე ცვლაში ორგანიზების პირობებში შესაძლებელია გაზრდილი კონტინგენტის მიღება.

ექსპერტთა ჯგუფმა შეაფასა წარმოდგენილი არგუმენტები, შეადარა ისინი სკოლის ინფრასტრუქტურულ შესაძლებლობებსა და ვიზიტის პროცესში დაფიქსირებულ ფაქტობრივ გარემოებებს და გაიზიარა სკოლის პოზიცია ნაწილობრივ. კერძოდ, ექსპერტთა ჯგუფი დაეთანხმა, რომ ორ ცვლაში სწავლების ორგანიზების შემთხვევაში შესაძლებელია მოსწავლეთა რაოდენობის გაზრდა და მიზანშეწონილად მიიჩნია ზღვრული რაოდენობის განსაზღვრა **250 მოსწავლით**, თუმცა არ გაიზიარა 300 მოსწავლის განსაზღვრის შესაძლებლობა არსებული ინფრასტრუქტურული რესურსების გათვალისწინებით.

რაც შეეხება შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმას, სკოლამ წარმოადგინა კონკრეტული აქტივობები და ვადები სხვადასხვა ხარვეზის აღმოსაფხვრელად. ექსპერტთა ჯგუფმა აღნიშნული გეგმა შეაფასა პოზიტიურად, როგორც განვითარებისკენ მიმართული ინსტრუმენტი და გაიზიარა სკოლისთვის მიცემული ვადები იმ ნაწილში, სადაც რეალისტურად იკვეთება ღონისძიებების განხორციელების შესაძლებლობა.

ზემოაღნიშნულის საფუძველზე დგინდება, რომ ექსპერტთა ჯგუფმა **გაიზიარა დაწესებულების არგუმენტირებული პოზიცია** - მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის ნაწილში (250 მოსწავლემდე) და ასევე გაიზიარა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმით განსაზღვრული აქტივობების განხორციელების საჭიროება და მიზანშეწონილობა.

ნაწილი III. სტანდარტების აღწერა და შეფასება (I, III და IV სტანდარტი)

1. სკოლის ფილოსოფია

1.1. სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები

1.1.1. სკოლას გააზრებული აქვს საკუთარი ადგილი და როლი საგანმანათლებლო სივრცესა და საზოგადოებაში

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მისია და ხედვა შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნულ მიზნებს**

სსიპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ნინიგორის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილი მისია, ხედვა და ღირებულებები შინაარსობრივად სრულად შეესაბამება ზოგადი განათლების ეროვნული მიზნების მთავარ მიმართულებებს.

მოსწავლეზე ორიენტირებული მიდგომით, მისია ხაზგასმით აღნიშნავს თითოეული მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობებისა და უნარების აღმოჩენასა და განვითარებას, შემოქმედებითი და კრიტიკული აზროვნების ხელშეწყობას, პასუხისმგებლიანი, აქტიური და მოქალაქეობრივი თვითშეგნების მქონე პიროვნების ჩამოყალიბებას. აღნიშნული აქცენტები სრულ თანხვედრაშია ეროვნული მიზნების პრიორიტეტებთან, რომლებიც ორიენტირებულია პიროვნების ჰოლისტურ განვითარებაზე და საზოგადოების წინაშე პასუხისმგებელი მოქალაქის აღზრდაზე.

სკოლის ხედვა პასუხობს თანამედროვე საგანმანათლებლო მოთხოვნებს და ასახავს მისწრაფებას, ჩამოაყალიბოს თვითრეალიზებული, მოტივირებული და კონკურენტუნარიანი კურსდამთავრებული, რომელიც მზად არის როგორც ადგილობრივ, ისე გლობალურ გამოწვევებთან გასამკლავებლად. ამით სკოლა ეხმიანება განათლების სისტემის გრძელვადიან სტრატეგიულ ამოცანებს - უზრუნველყოს ახალგაზრდების მზადყოფნა სწრაფად ცვალებად გარემოში წარმატებული ინტეგრაციისთვის და ხელი შეუწყოს მათი პოტენციალის მაქსიმალურ რეალიზაციას.

სკოლის მიერ დეკლარირებული ღირებულებები - პროფესიონალიზმი, თანამშრომლობა, ტოლერანტობა, ბავშვთა უფლებების დაცვა, ინოვაციურობა, კრიტიკული აზროვნება, ღიაობა, მიმღებლობა, უსაფრთხოება და სამართლიანობა - თანხვედრაშია განათლების პოლიტიკის ფუნდამენტურ პრინციპებთან, რომლებიც ეფუძნება დემოკრატიულობას, ინკლუზიურობას, თანასწორობასა და ყოვლისმომცველ განვითარებას.

1.1.1(1) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა მისიითა და ხედვით განსაზღვრავს საკუთარ როლს, როგორც სასკოლო საზოგადოებისთვის უსაფრთხო და პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციო-კულტურულ სივრცეს**

სკოლის მისიისა და ხედვის ანალიზი აჩვენებს, რომ დაწესებულება საკუთარ როლს განიხილავს როგორც უსაფრთხო, მხარდაჭერით და განვითარებაზე ორიენტირებული საგანმანათლებლო გარემოს შემქმნელი ინსტიტუცია. წარმოდგენილ დოკუმენტებში ყურადღება გამახვილებულია მოსწავლის ინდივიდუალური შესაძლებლობების განვითარებაზე, თანამშრომლობითი გარემოს ჩამოყალიბებაზე, ურთიერთპატივისცემასა და უსაფრთხო საგანმანათლებლო სივრცის უზრუნველყოფაზე, რაც სკოლას წარმოაჩენს როგორც პიროვნულ განვითარებაზე ორიენტირებულ სოციალურ და საგანმანათლებლო სივრცეს.

ამასთან, ვიზიტის ფარგლებში გამოვლინდა, რომ სკოლა ემსახურება რამდენიმე ადმინისტრაციულ ერთეულში მცხოვრებ მოსახლეობას და სასკოლო საზოგადოება ეთნიკურად მრავალფეროვანია. სკოლაში სწავლობენ სხვადასხვა ეთნიკური წარმომავლობის მოსწავლეები (აზერბაიჯანელი, ოსი, რუსი, უკრაინელი და სხვ.), რაც ქმნის მრავალფეროვან სოციალურ-კულტურულ გარემოს და წარმოადგენს სკოლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან თავისებურებას.

მიუხედავად ამისა, სკოლის ფილოსოფიის დოკუმენტში აღნიშნული მრავალფეროვანი სოციო-კულტურული გარემო და მისი მნიშვნელობა სასკოლო საზოგადოებისათვის მკაფიოდ არ არის ასახული. აღნიშნული გარემოება მიუთითებს, რომ სკოლას აქვს შესაძლებლობა საკუთარი უნიკალური კონტექსტი უფრო ნათლად აისახოს მისიისა და ხედვის ფორმულირებაში.

1.1.1.(2) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რჩევა:
სასურველია სკოლის მისიისა და ხედვის დოკუმენტში უფრო მკაფიოდ აისახოს სკოლის სოციო-კულტურული გარემოს თავისებურება, მათ შორის სასკოლო საზოგადოების ეთნიკური და კულტურული მრავალფეროვნება, რაც ხელს შეუწყობს სკოლის უნიკალური როლის უკეთ წარმოჩენას ადგილობრივ საზოგადოებაში.

3. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების ჩართულობით**

სკოლამ წარმოადგინა დირექტორის ბრძანება სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ, სამუშაო ჯგუფის დებულება და შესაბამისი სხდომების ოქმები, რომლებიც ადასტურებს ფილოსოფიის შემუშავების პროცესში პედაგოგიური და სამეურვეო საბჭოების ჩართულობას.

დოკუმენტაციიდან იკვეთება, რომ მისიისა და ხედვის ფორმირება განხორციელდა მონაწილეობის პრინციპით — განხილვის, უკუკავშირის და კოლეგიური გადაწყვეტილების მიღების გზით. პროცესში მონაწილეობდნენ ადმინისტრაციის წარმომადგენლები, პედაგოგები, მშობლები და მოსწავლეთა წარმომადგენლები.

არსებული მტკიცებულებები მიუთითებს, რომ ფილოსოფია ჩამოყალიბებულია სტრუქტურირებული და მონაწილეობის უზრუნველყოფაზე ორიენტირებული მექანიზმის საფუძველზე და არ წარმოადგენს ერთპიროვნულ გადაწყვეტილებას.

1.1.1(3) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ**

სკოლის მიერ წარმოდგენილია პედაგოგიური საბჭოსა და კათედრების სხდომების ოქმები, მშობელთა შეხვედრების ამსახველი ჩანაწერები და კომუნიკაციის არხები (სოციალური ქსელი, საინფორმაციო დაფა), რაც ადასტურებს, რომ მისია და ხედვა კომუნიკაციის სხვადასხვა ფორმით მიწოდებულია სასკოლო საზოგადოებისთვის.

დოკუმენტაციიდან იკვეთება, რომ ფილოსოფიური კომპონენტები განხილულია კოლეგიურ ფორმატში და გაცნობილია სკოლის თანამშრომლებისთვის. მიუხედავად იმისა, რომ ღირებულებების კულტურული ინტეგრაციის მექანიზმი ცალკე რეგლამენტირებული დოკუმენტის სახით არ არის წარმოდგენილი, არსებული პრაქტიკა მიუთითებს ინფორმაციის გავრცელებასა და გაზიარებაზე.

1.1.1(4) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. **სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები განთავსებულია საჯაროდ — სკოლის საინფორმაციო სივრცეში, ვებგვერდზე და სოციალურ ქსელში. ასევე ასახულია თვითშეფასების ფორმაში.

ხელმისაწვდომობა უზრუნველყოფს გამჭვირვალობას და შესაძლებლობას, რომ როგორც შიდა, ისე გარე დაინტერესებულმა მხარეებმა გაეცნონ სკოლის ფილოსოფიურ საფუძვლებს.

1.1.1(5) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. **სკოლის სახელწოდება შეესაბამება მისი სტატუსის აღმნიშვნელ, კანონმდებლობით დადგენილ ტერმინს**

საჯარო რეესტრის ამონაწერის საფუძველზე დგინდება, რომ სკოლის სახელწოდებაა სსიპ — ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ნინიგორის საჯარო სკოლა, რაც სრულ შესაბამისობაშია „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით განსაზღვრულ ტერმინოლოგიასთან და საჯარო სკოლის სტატუსთან.

სახელწოდება ასახავს როგორც იურიდიულ ფორმას (საჯარო სამართლის იურიდიული პირი), ისე ტერიტორიულ კუთვნილებას.

1.1.1(6) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ფილოსოფიის დოკუმენტი (მისია, ხედვა, ღირებულებები)
- დირექტორის ბრძანება სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ
- სამუშაო ჯგუფის დებულება
- პედაგოგიური საბჭოს ოქმი
- სამეურვეო საბჭოს ოქმი
- კათედრების სხდომის ოქმები
- უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნის ბრძანება
- ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა
- სკოლის შინაგანაწესი
- საჯარო რეესტრის ამონაწერი
- სკოლის სოციალური ქსელის გვერდი

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

1.2. სკოლის დაგეგმვა და განვითარება

1.2.1. სკოლას აქვს დაგეგმვის პრაქტიკა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების შემუშავების მეთოდოლოგია, რომელიც განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების პრიორიტეტებისა და ინტერესების გათვალისწინების მექანიზმებს**

ვიზიტის პროცესში სკოლამ დამატებით წარმოადგინა **სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიური დოკუმენტი**, რომელიც განსაზღვრავს სტრატეგიული დაგეგმვის პროცესის ეტაპებს, ჩართულ მხარეებს, ინფორმაციის შეგროვებისა და ანალიზის მეთოდებს, ასევე სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემუშავების, განხილვის, დამტკიცებისა და გაზიარების მექანიზმებს.

მეთოდოლოგია ადგენს სტრატეგიული დაგეგმვის ხუთ ძირითად ეტაპს: ინფორმაციის შეგროვება და ანალიზი, მისიის, ხედვისა და ღირებულებების შემუშავება, სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების ფორმირება, სამოქმედო გეგმის შემუშავება და შესრულების მონიტორინგის მექანიზმების განსაზღვრა. დოკუმენტი ასევე განსაზღვრავს სასკოლო საზოგადოების ჩართულობის პრინციპებს, მათ შორის ინფორმაციის შეგროვებას, საჯარო განხილვებსა და უკუკავშირის მიღებას.

თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ აღნიშნული მეთოდოლოგიური დოკუმენტი დამტკიცებულია **2025 წლის 24 დეკემბერს**, მაშინ როდესაც სკოლის **სტრატეგიული განვითარების გეგმა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმა დამტკიცებულია 2025 წლის 5 სექტემბერს**. შესაბამისად, წარმოდგენილი სტრატეგიული და სამოქმედო გეგმები სრულად ვერ ეფუძნება აღნიშნულ მეთოდოლოგიურ ჩარჩოს.

1.2.1.(1) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რჩევა:
სასურველია სკოლამ მეთოდოლოგიური დოკუმენტის დამტკიცების შემდეგ უზრუნველყოს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესაბამისობაში მოყვანა აღნიშნულ მეთოდოლოგიასთან.

2. **სტრატეგიული გეგმა არის შვიდწლიანი, ციკლური და ეფუძნება სკოლის მისიას, ხედვას და ღირებულებებს (ფილოსოფიას). ის შეიცავს მისიასთან თავსებად მიზნებს და მიზნების შესაბამის ამოცანებს**

სკოლამ წარმოადგინა **2025–2032 წლების სტრატეგიული განვითარების გეგმა**, რომელიც შვიდწლიან პერიოდს მოიცავს და განსაზღვრავს სკოლის განვითარების ძირითად მიმართულებებს, სტრატეგიულ მიზნებსა და ამოცანებს.

დოკუმენტი მოიცავს სკოლის მისიის, ხედვისა და ღირებულებების ფორმულირებას, ასევე SWOT ანალიზს, სტრატეგიულ მიმართულებებს, მიზნებსა და ამოცანებს, რაც უზრუნველყოფს სტრატეგიული დაგეგმვის სისტემურობას და მიზნობრივობას.

სტრატეგიული მიზნები შინაარსობრივად თანხვედრაშია სკოლის ფილოსოფიასთან და ორიენტირებულია როგორც სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესებაზე, ასევე სკოლის ორგანიზაციულ განვითარებასა და მოსწავლეთა მხარდაჭერის სისტემების გაძლიერებაზე.

1.2.1.(2) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **სამოქმედო გეგმა არის ერთწლიანი. ის ეფუძნება სკოლის სტრატეგიულ გეგმას და სკოლის ყოველწლიურ თვითშეფასებას**

სკოლამ წარმოადგინა **2025–2026 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა**, რომელიც მოიცავს კონკრეტულ აქტივობებს, პასუხისმგებელ პირებსა და განხორციელების ვადებს.

სამოქმედო გეგმა შინაარსობრივად უკავშირდება სტრატეგიულ გეგმაში განსაზღვრულ მიმართულებებს და მიზნებს.

ამასთან, წარმოდგენილ დოკუმენტაციაში პირდაპირ არ იკვეთება თვითშეფასების შედეგებზე დაფუძნებული დაგეგმვის მექანიზმის გამოყენება, თუმცა მეთოდოლოგიური დოკუმენტი უკვე ითვალისწინებს სამოქმედო გეგმის ფორმირებას სტრატეგიული გეგმისა და თვითშეფასების შედეგებზე დაყრდნობით.

1.2.1.(3) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რჩევა:
სასურველია სამოქმედო გეგმაში მკაფიოდ აისახოს, თუ რომელ თვითშეფასების შედეგებს ეფუძნება დაგეგმილი აქტივობები.

4. **სამოქმედო გეგმაში განსაზღვრულია სტრატეგიული მიზნებისა და ამოცანების შესაბამისი აქტივობები, შესრულების გაზომვადი ინდიკატორები, რეალისტური ვადები, პასუხისმგებელი პირები/სტრუქტურული ერთეულები და შესაბამისი რესურსები, რომელთა უზრუნველყოფაც რეალისტურია**

ერთწლიანი სამოქმედო გეგმა შეიცავს აქტივობების ჩამონათვალს, განხორციელების პერიოდებსა და პასუხისმგებელ პირებს, რაც უზრუნველყოფს დაგეგმილი საქმიანობების ორგანიზებულ განხორციელებას.

თუმცა წარმოდგენილ დოკუმენტში გაზომვადი შესრულების ინდიკატორები და მოსალოდნელი შედეგების შეფასების კრიტერიუმები სრულად არ არის დეტალიზებული. მეთოდოლოგიური დოკუმენტი უკვე ითვალისწინებს სამოქმედო გეგმაში გაზომვადი ინდიკატორების განსაზღვრას, რაც მომავალში ხელს შეუწყობს დაგეგმვის პროცესის უფრო შედეგზე ორიენტირებულ განხორციელებას.

1.2.1.(4) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რჩევა:
სასურველია სამოქმედო გეგმაში უფრო დეტალურად განისაზღვროს აქტივობების შესრულების გაზომვადი ინდიკატორები და მოსალოდნელი შედეგების შეფასების კრიტერიუმები.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა 2025–2032
- 2025–2026 სასწავლო წლის სამოქმედო გეგმა
- სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია
- დირექტორის ბრძანება სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ (24.12.2025)

1.2.2. სკოლაში მოქმედებს სტრატეგიული განვითარებისა და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების სისტემა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის სტრატეგიული დაგეგმარების მეთოდოლოგია მოიცავს მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს**

ვიზიტის პროცესში სკოლამ წარმოადგინა **სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიური დოკუმენტი**, რომელიც განსაზღვრავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს. დოკუმენტში აღწერილია მონიტორინგის განხორციელების პერიოდულობა, მონიტორინგზე პასუხისმგებელი პირები, ანგარიშგების პროცედურა, მონაცემთა ანალიზის მექანიზმი და მონიტორინგის შედეგებზე რეაგირების ფორმები.

მეთოდოლოგიის მიხედვით სამოქმედო გეგმის მონიტორინგი უნდა განხორციელდეს წელიწადში ორჯერ, ხოლო სტრატეგიული გეგმის შეფასება — მისი განხორციელების შუალედურ და საბოლოო ეტაპზე.

მეთოდოლოგიური დოკუმენტი დამტკიცებულია დირექტორის ბრძანებით **2025 წლის 24 დეკემბერს**.

1.2.2.(1) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **მეთოდოლოგიის შესაბამისად, სკოლა ახორციელებს სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების მონიტორინგსა და შეფასებას, მათ შორის სასკოლო საზოგადოებისა და სისტემის სხვა დაინტერესებული მხარეების უკუკავშირის გათვალისწინებით**

სკოლის მიერ წარმოდგენილი სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია განსაზღვრავს სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების მექანიზმებს, მათ შორის პასუხისმგებელი პირების ანგარიშგების, მიღებული მონაცემების ანალიზისა და შედეგების საფუძველზე რეაგირების პროცედურებს.

ვიზიტის პროცესში დადგინდა, რომ აღნიშნული მეთოდოლოგიური დოკუმენტი დამტკიცებულია **2025 წლის 24 დეკემბერს**, მაშინ როდესაც სკოლის **სტრატეგიული განვითარების გეგმა და ერთწლიანი სამოქმედო გეგმა დამტკიცებულია 2025 წლის 5 სექტემბერს**. სკოლის განმარტებით, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების დამტკიცების შემდეგ გამოვლინდა მეთოდოლოგიური დოკუმენტის შემუშავების საჭიროება, რის საფუძველზეც სკოლამ შეიმუშავა და დაამტკიცა აღნიშნული დოკუმენტი.

სკოლის განმარტებით, მომავალში სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების **რევიზიისა და მონიტორინგის პროცესში** გამოყენებული იქნება აღნიშნული მეთოდოლოგიური ჩარჩო.

1.2.2.(2) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რჩევა:
სასურველია სკოლამ სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შემდგომი განხორციელებისა და რევიზიის პროცესში უზრუნველყოს სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგიით განსაზღვრული მექანიზმების გამოყენება და აღნიშნული პროცესის ამსახველი მტკიცებულებების დოკუმენტირება (მაგ. სამუშაო ჯგუფის შეხვედრების ოქმები, შუალედური ანგარიშები, მონიტორინგის შედეგების ანალიზი და სხვ.).

3. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგები საჯაროა**

სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგების საჯაროობა უნდა დადასტურდეს საბოლოო ანგარიშების არსებობითა და მათი საჯაროდ ხელმისაწვდომობით.

ვინაიდან სკოლა იმყოფება პირველადი ავტორიზაციის პროცესში და სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელების სრული მონიტორინგის ციკლი ჯერ არ განხორციელებულა, გეგმების შესრულების საბოლოო ანგარიშები წარმოდგენილი არ არის.

1.2.2.(3) ინდიკატორი პირველადი ავტორიზაციის პირობებში ვერ შეფასდება.

4. **სტრატეგიული განვითარების და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები გამოიყენება სკოლის შემდგომი განვითარებისთვის**

აღნიშნული ინდიკატორის შეფასება ეფუძნება სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების მონიტორინგისა და შეფასების შედეგების ანალიზს და ამ ანალიზის საფუძველზე შემდგომი განვითარების აქტივობების დაგეგმვას.

ვინაიდან სკოლა პირველადი ავტორიზაციის პროცესშია და სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების განხორციელების შედეგების ანალიზი ჯერ არ განხორციელებულა, აღნიშნული ინდიკატორის შეფასება ამ ეტაპზე ვერ ხერხდება.

1.2.2.(4) ინდიკატორი პირველადი ავტორიზაციის პირობებში ვერ შეფასდება.

- სკოლის სტრატეგიული განვითარების გეგმა (2025–2032 წწ.)
- 2025–2026 სასწავლო წლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- სტრატეგიული დაგეგმარების, მონიტორინგისა და შეფასების მეთოდოლოგია
- დირექტორის ბრძანება სტრატეგიული დაგეგმარების სამუშაო ჯგუფის შექმნის შესახებ
- სტრატეგიული განვითარების გეგმის დამტკიცების შესახებ დირექტორის ბრძანება

- ერთწლიანი სამოქმედო გეგმის დამტკიცების შესახებ დირექტორის ბრძანება

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3. სასწავლო პროცესის ადმინისტრაციული და ინფრასტრუქტურული მხარდაჭერა

3.1. პერსონალის მართვა

3.1.1. სკოლის ორგანიზაციული მოწყობა უზრუნველყოფს დასახული მიზნების მიღწევას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედი სტრუქტურული ერთეულების/პირების ფუნქციები მკაფიოდაა განსაზღვრული**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, დაწესებულებას განსაზღვრული აქვს ორგანიზაციული სტრუქტურა, რომელიც მოიცავს „ზოგადი განათლების შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებულ სავალდებულო სტრუქტურულ ერთეულებს, მათ შორის: სამეურვეო საბჭოს, დირექციას, პედაგოგიურ საბჭოს, მოსწავლეთა თვითმმართველობასა და დისციპლინურ კომიტეტს.

სკოლის მიერ წარმოდგენილია ფუნქციათა აღმწერი დოკუმენტი, რომელშიც განსაზღვრულია სასწავლო პროცესის ორგანიზებასა და ადმინისტრირებაში ჩართული პირების ფუნქციები, მათ შორის დირექტორის, დირექტორის მოადგილის, დამრიგებლის, მასწავლებლისა და უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის საქმიანობა. აღნიშნული ფუნქციები ასახულია სკოლის შიდა დოკუმენტებში (შინაგანაწესი, ფუნქციათა აღმწერი დოკუმენტი, შრომითი ხელშეკრულებები და სხვა). ფუნქციების აღწერა მოიცავს პასუხისმგებლობებს, უფლებამოსილებებსა და ანგარიშვალდებულებას, რაც ხელს უწყობს სასკოლო პროცესების ორგანიზებულ და კოორდინირებულ განხორციელებას.

სკოლის მიერ წარმოდგენილია ასევე საშტატო განრიგი, რომლის მიხედვითაც განსაზღვრულია ადმინისტრაციული და პედაგოგიური პერსონალის ერთეულები. კერძოდ, დირექციაში წარმოდგენილია დირექტორის, დირექტორის მოადგილის, ბუღალტრის, საქმისმწარმოებლისა და მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორის პოზიციები. ასევე განსაზღვრულია ბიბლიოთეკარისა და მასწავლებლების საშტატო ერთეულები. სკოლაში დასაქმებულია 25 მასწავლებელი, მათ შორის 4 წამყვანი, 17 უფროსი მასწავლებელი, 3 უსტატუსო მოწვეული მასწავლებელი და 1 სპეციალური მასწავლებელი, რაც გადამოწმდა როგორც წარმოდგენილი შრომითი ხელშეკრულებების, ასევე EMIS-ის მონაცემების მიხედვით.

ამასთან, წარმოდგენილ ფუნქციათა აღმწერ დოკუმენტში მითითებულია ინფორმაციული ტექნოლოგიების მენეჯერის პოზიცია, თუმცა აღნიშნული თანამდებობა არ არის ასახული სკოლის მოქმედ საშტატო განრიგში, რაც მიუთითებს გარკვეულ შეუსაბამობაზე სტრუქტურის აღწერასა და რეალურ საშტატო ერთეულებს შორის.

ვიზიტის პერიოდში ასევე დადგინდა, რომ სკოლაში გარკვეულ საგნებში (სამოქალაქო განათლება და ხელოვნება) საათების უზრუნველსაყოფად დასაქმებულია მოწვეული მასწავლებლები მცირე საათობრივი დატვირთვით, ხოლო სკოლას გამოცხადებული აქვს შესაბამისი ვაკანსიები აღნიშნული საგნების საათების სრულად დასაკომპლექტებლად.

მიუხედავად აღნიშნული გარემოებისა, სკოლის ძირითადი სტრუქტურული ერთეულებისა და პასუხისმგებელი პირების ფუნქციები დოკუმენტურად განსაზღვრულია და უზრუნველყოფს სასკოლო პროცესების ორგანიზებას.

3.1.1.(1) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლის სტრუქტურულ ერთეულებს/პირებს შორის ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ვიზიტის პროცესში მიღებული ინფორმაციის მიხედვით, სკოლის ორგანიზაციული სტრუქტურა და ფუნქციების განაწილება უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ეფექტიან ადმინისტრირებასა და საგანმანათლებლო საქმიანობის განხორციელებას.

დირექცია უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის საერთო მართვასა და ადმინისტრირებას, მათ შორის სასკოლო დოკუმენტაციის წარმოებას, სასწავლო პროცესის დაგეგმვასა და მონიტორინგს. პედაგოგიური საბჭო მონაწილეობს სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საკითხების განხილვასა და გადაწყვეტილებების მიღებაში, ხოლო სამეურვეო საბჭო ახორციელებს სკოლის სტრატეგიულ მართვასა და მნიშვნელოვან გადაწყვეტილებებზე ზედამხედველობას.

მასწავლებლები, დამრიგებლები და სპეციალური მასწავლებელი მონაწილეობენ სასწავლო პროცესის განხორციელებაში, მოსწავლეთა აკადემიური მიღწევებისა და სოციალური განვითარების მხარდაჭერაში. დამრიგებლები უზრუნველყოფენ მოსწავლეებთან და მათ მშობლებთან კომუნიკაციას, ხოლო უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი უზრუნველყოფს სკოლის უსაფრთხო გარემოს დაცვას.

სკოლის ადმინისტრაციული პერსონალი (საქმისმწარმოებელი, ბუღალტერი, მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი, ბიბლიოთეკარი) უზრუნველყოფს სასწავლო პროცესის ადმინისტრაციულ და ინფრასტრუქტურულ მხარდაჭერას, რაც ხელს უწყობს სასწავლო გარემოს ეფექტიან ფუნქციონირებას.

ვიზიტის პროცესში დადგინდა, რომ სკოლის სხვადასხვა სტრუქტურული ერთეულის/პირების საქმიანობა ურთიერთკოორდინირებულია და მათი ფუნქციები მიმართულია სასწავლო პროცესის დაგეგმვის, განხორციელებისა და მხარდაჭერისკენ. აღნიშნული ფუნქციებისა და პასუხისმგებლობების განაწილება ხელს უწყობს სასკოლო საქმიანობის ორგანიზებულ განხორციელებას.

3.1.1.(2) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ორგანიზაციული სტრუქტურის სქემა (ორგანოგრამა)
- სკოლის შინაგანაწესი, სადაც განსაზღვრულია სტრუქტურული ერთეულებისა და პასუხისმგებელი პირების ფუნქციები
- სკოლის დებულება / ადმინისტრაციული მართვის დოკუმენტი
- სამეურვეო საბჭოს დებულება და სხდომის ოქმები
- პედაგოგიური საბჭოს დებულება და სხდომის ოქმები
- მოსწავლეთა თვითმმართველობის დებულება
- დისციპლინური კომიტეტის დებულება
- დირექტორის ბრძანებები პასუხისმგებელი პირების/ფუნქციების განსაზღვრის შესახებ (მაგ.: უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირის დანიშვნის ბრძანება)
- დამრიგებლების საქმიანობის მარეგულირებელი დოკუმენტები
- პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებები და სამუშაო აღწერილობები

3.1.2. პერსონალის მართვის პოლიტიკა უზრუნველყოფს სკოლის განვითარებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **პერსონალის მართვის პროცესები ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობისა და დაწესებულების მიერ დადგენილი პირობების შესაბამისად**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, პერსონალის მართვის პროცესები რეგულირდება სკოლის შინაგანაწესით, ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტითა და პერსონალთან გაფორმებული შრომითი ხელშეკრულებებით. წარმოდგენილი შინაგანაწესი შემუშავებულია საქართველოს კონსტიტუციის, საქართველოს ორგანული კანონის „შრომის კოდექსის" და სხვა მოქმედი კანონმდებლობის საფუძველზე და არეგულირებს შრომით ურთიერთობებთან დაკავშირებულ ძირითად საკითხებს, მათ შორის სამუშაო დროის ორგანიზებას, შვებულების მიცემის წესს, წახალისებისა და დისციპლინური პასუხისმგებლობის ფორმებს, განცხადებებისა და საჩივრების განხილვის პროცედურებს.

შინაგანაწესი ასევე განსაზღვრავს პერსონალის სამსახურში მიღების პროცედურებს, კონკურსის ჩატარების წესს, კანდიდატების შერჩევის ეტაპებს, შრომითი ხელშეკრულების გაფორმებასა და პერსონალის პირადი საქმის წარმოებას. სკოლაში დასაქმებულ ყველა პირთან გაფორმებულია ინდივიდუალური შრომითი ხელშეკრულება, რაც შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას და სკოლის შიდა რეგულაციებს.

სკოლამ დამატებით წარმოადგინა ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი, რომელიც მოიცავს პერსონალის მართვის ზოგად პრინციპებსა და პროცესებს.

ამასთან, დოკუმენტაციისა და წარმოდგენილი შრომითი ხელშეკრულებების განხილვის შედეგად გამოიკვეთა, რომ სხვადასხვა სტატუსის მასწავლებლების (მათ შორის წამყვანი მასწავლებლის) სამუშაო ფუნქციები ხელშეკრულებებში წარმოდგენილია ერთგვაროვანი ფორმით და არ ასახავს კანონმდებლობით განსაზღვრულ დამატებით ფუნქციებსა და პროფესიული საქმიანობის სპეციფიკურ მოთხოვნებს, რაც დაკავშირებულია მასწავლებლის სტატუსთან.

3.1.2.(1) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რჩევა:
სასურველია სკოლამ პერსონალთან გაფორმებულ შრომით ხელშეკრულებებსა და სამუშაო აღწერილობებში უფრო მკაფიოდ ასახოს სხვადასხვა სტატუსის მასწავლებლებისთვის კანონმდებლობით განსაზღვრული დამატებითი ფუნქციები და პასუხისმგებლობები, რათა უზრუნველყოფილი იყოს ფუნქციების შესაბამისობა პროფესიულ სტატუსთან.

2. **სკოლას აქვს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა**

ვიზიტის პროცესში მიღებული ინფორმაციისა და სკოლის წარმომადგენლებთან ინტერვიუს საფუძველზე დადგინდა, რომ სკოლაში პერსონალის მართვასთან დაკავშირებულ შესაძლო რისკებზე რეაგირება ხორციელდება პრაქტიკული გადაწყვეტილებების მიღების გზით. კერძოდ, თანამშრომლის დროებითი შრომისუუნარობის შემთხვევაში თანამშრომელი სარგებლობს კანონმდებლობით განსაზღვრული ბიულეტენით, ხოლო საჭიროების შემთხვევაში მისი ფუნქციები დროებით ნაწილდება სხვა თანამშრომელზე, რომელსაც შესაბამისი კომპეტენცია აქვს.

სკოლის ადმინისტრაციის განმარტებით, პრაქტიკაში ასევე განიხილება ვაკანტური პოზიციის შემთხვევაში კონკურსის გამოცხადების შესაძლებლობა. თუმცა ვიზიტის პერიოდში დადგინდა, რომ სკოლას არ აქვს ჩამოყალიბებული და დოკუმენტურად აღწერილი პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის პოლიტიკა, რომელშიც წინასწარ იქნებოდა განსაზღვრული შესაძლო რისკები და მათზე რეაგირების მექანიზმები.

3.1.2.(2) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რჩევა:
სასურველია სკოლამ დოკუმენტურად აღწეროს პერსონალის მართვასთან დაკავშირებული შესაძლო რისკები და მათზე რეაგირების მექანიზმები (მაგალითად, თანამშრომლის ხანგრძლივი არყოფნის, ვაკანტური პოზიციის ან არადამაკმაყოფილებელი საქმიანობის შემთხვევაში), რათა უზრუნველყოფილი იყოს საჭიროებებზე დაფუძნებული პრევენციული და ინტერვენციული პერსონალის მართვის სისტემური დაგეგმვა.

3. **პერსონალის შერჩევის პოლიტიკა და პროცედურები უზრუნველყოფს პოზიციის შესაბამისი კადრების მოზიდვასა და დასაქმებას ობიექტურობისა და გამჭვირვალეობის პრინციპების დაცვით**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ვიზიტის პროცესში მიღებული ინფორმაციის მიხედვით დადგინდა, რომ სკოლაში პერსონალის შერჩევისა და დასაქმების პროცესი რეგულირდება სკოლის შინაგანაწესითა და ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტით. აღნიშნული დოკუმენტებით განსაზღვრულია პერსონალის სამსახურში მიღების პროცედურები, საკვალიფიკაციო მოთხოვნები და საკონკურსო პროცესის ორგანიზების ძირითადი პრინციპები.

სკოლის მიერ წარმოდგენილი მასალების მიხედვით, მასწავლებლის ვაკანტური საათების შესავსებად კონკურსი ცხადდება საჯაროდ, შესაბამის პლატფორმაზე (teacherjobs.ge), სადაც ქვეყნდება ვაკანსიის პირობები და საკვალიფიკაციო მოთხოვნები. სკოლის დირექტორის ბრძანებით იქმნება საკონკურსო კომისია, რომელშიც შედიან როგორც სკოლის წარმომადგენლები, ასევე მოწვეული სპეციალისტი და ადგილობრივი საგანმანათლებლო რესურსცენტრის წარმომადგენელი. კომისია ახორციელებს კანდიდატების დოკუმენტაციის განხილვასა და გასაუბრებას, რის საფუძველზეც მიიღება გადაწყვეტილება შესაბამისი კანდიდატის შერჩევის შესახებ. წარმოდგენილია საკონკურსო პროცესის ამსახველი დოკუმენტაცია, მათ შორის დირექტორის ბრძანებები, კომისიის ოქმები და სხვა მასალები, რაც ადასტურებს პროცესის გამჭვირვალობასა და ობიექტურობას.

ამასთან, პერსონალის პირადი საქმეების გაცნობით დადგინდა, რომ თანამშრომლების დოკუმენტაციაში წარმოდგენილია კანონმდებლობით მოთხოვნილი ცნობები ნასამართლეობის შესახებ, ასევე სქესობრივი თავისუფლებისა და ხელშეუხებლობის წინააღმდეგ მიმართული დანაშაულის ჩადენისთვის ნასამართლობის არარსებობის შესახებ და სხვა საჭირო დოკუმენტები. თუმცა ცალკეულ შემთხვევებში წარმოდგენილია ელექტრონულად მიღებული ცნობების ქსეროასლები, რომლებიც არ არის სათანადოდ დამოწმებული უფლებამოსილი პირის ან ნოტარიუსის მიერ.

ვიზიტის პროცესში ასევე გამოიკვეთა, რომ სკოლაში დასაქმებულია რამდენიმე მოწვეული მასწავლებელი მცირე საათობრივი დატვირთვით. წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, მათ მიერ ჩატარებული საგნები (სამოქალაქო განათლება და ხელოვნება) ზოგიერთ შემთხვევაში არ სრულად შეესაბამება მათ დიპლომით მინიჭებულ სპეციალობას. ასევე აღინიშნა, რომ სამოქალაქო განათლების საათებზე პერიოდულად ცხადდება კონკურსი, თუმცა ვაკანსიის სრულად დაკმაყოფილებამდე არსებული მცირე საათები გადანაწილებულია რამდენიმე მოწვეულ მასწავლებელზე. სკოლის ადმინისტრაციის განმარტებით, აღნიშნული მასწავლებლები ადრე მუშაობდნენ სოფელ გურგენიანში მდებარე ოპტიმიზებულ დაწყებით სკოლაში და მათი დატვირთვის ნაწილობრივი შენარჩუნება დაკავშირებულია აღნიშნული სკოლის ოპტიმიზაციის პროცესთან.

3.1.2.(3) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რჩევა:
სასურველია სკოლამ პერსონალის პირად საქმეებში წარმოდგენილი ოფიციალური ცნობები უზრუნველყოს სათანადო დამოწმებით და პერსონალის დატვირთვის განაწილებისას განსაკუთრებული ყურადღება მიაქციოს შესაბამისი კვალიფიკაციისა და კომპეტენციის მქონე კადრების დასაქმებას, რათა თავიდან იქნას აცილებული მცირე საათობრივი დატვირთვის მქონე მოწვეული მასწავლებლების ჭარბი რაოდენობა.

4. **პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და დაწესებულების მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს**

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და პერსონალის პირადი საქმეების გაცნობის საფუძველზე დადგინდა, რომ სკოლის პედაგოგიური და ადმინისტრაციული პერსონალის კვალიფიკაცია შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობასა და სკოლის მიერ დადგენილ საკვალიფიკაციო მოთხოვნებს. მასწავლებელთა კვალიფიკაცია გადამოწმდა შესაბამისი დიპლომებისა და პროფესიული სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტების საფუძველზე, მათ შორის EMIS-ის მონაცემებთან შედარებით.

სკოლის მიერ წარმოდგენილი ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი და საკვალიფიკაციო მოთხოვნები განსაზღვრავს პოზიციებისათვის აუცილებელ პროფესიულ და საგანმანათლებლო მოთხოვნებს. აღნიშნული მოთხოვნები შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერებისა და ახალგაზრდობის მინისტრის 2019 წლის 20 აგვისტოს №174/ნ ბრძანებით დამტკიცებული „მასწავლებლის საქმიანობის დაწყებისა და შეწყვეტის წესის" მოთხოვნებს.

3.1.2.(4) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. **პერსონალის მართვის პოლიტიკა და ორგანიზაციული კულტურა ეფუძნება მონაწილეობითი და გუნდური მუშაობის პრინციპებს**

ვიზიტის პროცესში ჩატარებული ინტერვიუებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის გაცნობის შედეგად დადგინდა, რომ სკოლაში ფუნქციონირებს თანამშრომლობითი სამუშაო გარემო. პედაგოგები აქტიურად მონაწილეობენ სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საკითხების განხილვაში პედაგოგიური საბჭოს, სამუშაო შეხვედრებისა და სხვა პროფესიული კომუნიკაციის ფორმატებში.

სკოლის წარმომადგენლებთან და მასწავლებლებთან გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ სკოლაში დამკვიდრებულია გუნდური მუშაობის პრაქტიკა, რაც ხელს უწყობს გამოცდილების გაზიარებას, სასწავლო პროცესის გაუმჯობესებასა და სასკოლო გადაწყვეტილებების მიღებაში თანამშრომლების ჩართულობას.

3.1.2.(5) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. **სკოლას აქვს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და გაზიარების მექანიზმი**

ვიზიტის პროცესში ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ სკოლაში არსებობს წარმატებული გამოცდილების აღიარებისა და წახალისების პრაქტიკა. მასწავლებლების განმარტებით, მათი პროფესიული საქმიანობა აღინიშნება სხვადასხვა ფორმით, მათ შორის მადლობის გამოცხადებით, სიგელებით, საუკეთესო მასწავლებლის გამოვლენის პრაქტიკითა და ზოგიერთ შემთხვევაში ფინანსური წახალისებით. აღნიშნული პრაქტიკა ხელს უწყობს პედაგოგთა მოტივაციის გაზრდასა და პროფესიული საქმიანობის მხარდაჭერას.

ამასთან, სკოლის შინაგანაწესი განსაზღვრავს დასაქმებულთა წახალისების ფორმებს (მადლობა, სიგელი, საჩუქარი, პრემია და სხვა), რაც ქმნის წარმატებული საქმიანობის აღიარების საფუძვლებს.

3.1.2.(6) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
- სკოლის შინაგანაწესი;
- სკოლის ორგანიზაციული სტრუქტურის სქემა და ფუნქციათა აღმწერი დოკუმენტი;
- პერსონალის შრომითი ხელშეკრულებები;
- პერსონალის პირადი საქმეები (დიპლომები, სტატუსის დამადასტურებელი დოკუმენტები, ნასამართლეობისა და სხვა შესაბამისი ცნობები);
- საკვალიფიკაციო მოთხოვნების დოკუმენტი
- საშტატო განრიგი;
- სკოლის დირექტორის ბრძანებები საკონკურსო კომისიის შექმნის შესახებ;
- ვაკანსიის გამოცხადების მასალები (teacherjobs.ge-ზე გამოქვეყნებული განცხადებები);
- საკონკურსო კომისიის სხდომის ოქმები და კანდიდატების შერჩევის პროცედურის ამსახველი დოკუმენტაცია;
- პედაგოგიური საბჭოსა და სხვა სამუშაო შეხვედრების ოქმები;
- ინტერვიუები სკოლის ადმინისტრაციასთან და მასწავლებლებთან.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

3.2. პერსონალის განვითარება

3.2.1. ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკა ორიენტირებულია პერსონალის განვითარებაზე

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს პერსონალის შეფასებასა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის მექანიზმები**

ვიზიტის პროცესში მიღებული ინფორმაციისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის გაცნობის საფუძველზე დადგინდა, რომ სკოლაში ფუნქციონირებს მასწავლებელთა საქმიანობის შეფასების პრაქტიკა. აღნიშნულ პროცესს ახორციელებს სკოლაში შექმნილი ხარისხის მართვის ჯგუფი, რომლის საქმიანობა დაკავშირებულია მასწავლებელთა კარიერული განვითარების სქემით გათვალისწინებული მოთხოვნების შესრულებასთან. ჯგუფი ახორციელებს მასწავლებლების პროფესიული საქმიანობის შეფასებას და საჭიროების შემთხვევაში განსაზღვრავს მათი პროფესიული განვითარების მიმართულებებს.

ამასთან, აღნიშნული პრაქტიკა ძირითადად ეხება პედაგოგიურ პერსონალს და არ მოიცავს სკოლის სხვა თანამშრომლების საქმიანობის სისტემურ შეფასებას. ასევე, სკოლის ერთწლიან სამოქმედო გეგმაში არ იკვეთება პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა განსაზღვრის მექანიზმების გამოყენება მთლიანად სკოლის პერსონალის მიმართ.

შესაბამისად, სკოლაში არსებობს პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებების გამოვლენის გარკვეული პრაქტიკა, თუმცა აღნიშნული პროცესი არ არის ერთიანად ჩამოყალიბებული და სისტემურად გაწერილი დოკუმენტში.

3.2.1(1) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რჩევა:
სასურველია სკოლამ შეიმუშაოს პერსონალის შეფასებისა და პროფესიული განვითარების საჭიროებათა დადგენის ერთიანი მექანიზმი/მეთოდოლოგია, რომელიც მოიცავს სკოლის ყველა კატეგორიის პერსონალს და უზრუნველყოფს აღნიშნული პროცესის სისტემურ განხორციელებას.

2. **პერსონალის განვითარება ხორციელდება გამოვლენილი საჭიროებების საფუძველზე შემუშავებული გეგმის შესაბამისად**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ვიზიტის პროცესში მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დადგინდა, რომ პერსონალის პროფესიული განვითარების ხელშეწყობა ხორციელდება სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმის ფარგლებში. გეგმით გათვალისწინებულია სხვადასხვა აქტივობები, რომლებიც მიზნად ისახავს პედაგოგიური და პროფესიული კომპეტენციების განვითარებას.

ინტერვიუების საფუძველზე გამოიკვეთა, რომ პროფესიული განვითარების მიმართულებები განისაზღვრება მასწავლებელთა საქმიანობის შეფასებისა და საჭიროებათა იდენტიფიცირების შედეგად. შესაბამისად, პერსონალის პროფესიული განვითარების ღონისძიებები, მათ შორის ტრენინგები, სამუშაო შეხვედრები და პროფესიული კონსულტაციები, დაგეგმილია გამოვლენილი საჭიროებების გათვალისწინებით.

3.2.1.(2) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლა ხელს უწყობს პერსონალის კარიერულ ზრდას**

ვიზიტის პროცესში მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დადგინდა, რომ სკოლა ხელს უწყობს პერსონალის პროფესიულ და კარიერულ განვითარებას. სკოლის წარმომადგენლებისა და მასწავლებლების განმარტებით, პერსონალს ეძლევა შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღოს პროფესიული განვითარების სხვადასხვა აქტივობაში, მათ შორის ტრენინგებში, სამუშაო შეხვედრებსა და ექსპერტებთან კონსულტაციებში.

სკოლაში დასაქმებულია ოთხი წამყვანი მასწავლებელი, რაც მიუთითებს პედაგოგთა პროფესიული განვითარების პროცესში მათი აქტიური ჩართულობისა და კარიერული წინსვლის შესაძლებლობაზე.

3.2.1.(3) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლების ინტეგრაციას სამუშაო გარემოსთან**

ვიზიტის პროცესში ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ სკოლაში არსებობს ახალი თანამშრომლების სამუშაო გარემოსთან ადაპტაციის პრაქტიკა. კერძოდ, ახალი თანამშრომლები ეცნობიან სასკოლო საზოგადოებას, წარდგენილნი არიან პედაგოგიურ კოლექტივსა და შესაბამის საგნობრივ გაერთიანებებში, ასევე ერთვებიან სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ პროფესიულ საქმიანობაში, მათ შორის ურთიერთდასწრებისა და გამოცდილების გაზიარების პროცესში.

ამასთან, აღნიშნული პროცესი ცალკე დოკუმენტით ან ფორმალიზებული წესით განსაზღვრული არ არის.

3.2.1.(4) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რჩევა:
სასურველია სკოლამ თანამშრომლების სამუშაო გარემოსთან ინტეგრაციის პროცესი აღწეროს შესაბამის დოკუმენტში, რაც ხელს შეუწყობს აღნიშნული პროცესის სისტემურ განხორციელებას.

5. **წახალისებულია პერსონალის განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები**

ვიზიტის პროცესში ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ სკოლაში მხარდაჭერილია პერსონალის პროფესიულ განვითარებასთან დაკავშირებული ინიციატივები. მასწავლებლების განმარტებით, სკოლა ხელს უწყობს პროფესიული განვითარების პროცესს სხვადასხვა ფორმით, მათ შორის ურთიერთდასწრების პრაქტიკის გამოყენებით, პროფესიული უკუკავშირის მიწოდებით, საჭიროებების იდენტიფიცირების საფუძველზე ტრენინგების შეთავაზებითა და სამუშაო შეხვედრების ორგანიზებით.

აღნიშნული პრაქტიკა ხელს უწყობს თანამშრომლებს შორის პროფესიული გამოცდილების გაზიარებასა და სასწავლო პროცესის გაუმჯობესებას.

3.2.1.(5) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
- სკოლის ადამიანური რესურსების მართვის პოლიტიკის დოკუმენტი;
- სკოლის ხარისხის მართვის ჯგუფის საქმიანობის ამსახველი დოკუმენტაცია;
- მასწავლებელთა პროფესიული განვითარების აქტივობების ამსახველი მასალები (ტრენინგები, სამუშაო შეხვედრები, კონსულტაციები);
- მასწავლებელთა კარიერული განვითარების სტატუსის შესახებ მონაცემები (EMIS-ის ინფორმაცია);
- ურთიერთდასწრებისა და პროფესიული უკუკავშირის პრაქტიკის ამსახველი მასალები;
- ინტერვიუები სკოლის ადმინისტრაციასთან და პედაგოგებთან.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.3. პროცესების მართვა

3.3.1. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვის პოლიტიკა და პროცედურები ხორციელდება სკოლის მიერ გაცხადებული მისიისა და მიზნების შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა ხორციელდება ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის შესაბამისად და ეფუძნება პროცესულ მიდგომასა და ხარისხის უზრუნველყოფის ციკლს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, დაწესებულებას შემუშავებული აქვს ხარისხის მართვის დებულება, რომელიც განსაზღვრავს საგანმანათლებლო პროცესების დაგეგმვის, განხორციელების, მონიტორინგისა და შეფასების ზოგად პრინციპებს. აღნიშნული დოკუმენტი ადგენს ხარისხის მართვის სისტემის მიზნებსა და ფუნქციებს, ასევე პასუხისმგებელ პირთა და სტრუქტურების როლს სასწავლო პროცესის ხარისხის უზრუნველყოფაში.

დოკუმენტის მიხედვით, სკოლაში ხარისხის მართვის პროცესი ეფუძნება დაგეგმვის, განხორციელების, შეფასებისა და გაუმჯობესების პრინციპებს, რაც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობის სისტემურ განვითარებას. ხარისხის მართვის პროცესში ჩართულია სკოლის ადმინისტრაცია და შესაბამისი სამუშაო ჯგუფი, რომელიც ახორციელებს სასწავლო პროცესთან დაკავშირებული საკითხების განხილვასა და შეფასებას.

წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ვიზიტის პროცესში მიღებული ინფორმაციის საფუძველზე იკვეთება, რომ სკოლა ცდილობს საგანმანათლებლო საქმიანობის მართვა წარმართოს ხარისხის უზრუნველყოფის პრინციპებზე დაყრდნობით და უზრუნველყოს სასწავლო პროცესის გაუმჯობესებაზე ორიენტირებული მმართველობა.

3.2.1(1) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **იდენტიფიცირებულია და აღწერილია სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობასთან დაკავშირებული მმართველობითი, ძირითადი და დამხმარე პროცესები**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების ანალიზის საფუძველზე დადგინდა, რომ სკოლის საქმიანობის სხვადასხვა ასპექტი რეგულირდება შესაბამისი დოკუმენტებით, მათ შორის შინაგანაწესითა და ხარისხის მართვის დებულებით. აღნიშნულ დოკუმენტებში განსაზღვრულია სასწავლო პროცესის ორგანიზების, მონიტორინგისა და მართვის ძირითადი მიმართულებები, ასევე სკოლის მართვის სტრუქტურებისა და პასუხისმგებელი პირების ფუნქციები.

დოკუმენტებში აღწერილია სასწავლო პროცესის მონიტორინგის ფორმები, თანამშრომელთა საქმიანობის რეგულირების მექანიზმები და სკოლის მმართველობითი ორგანოების ფუნქციები, რაც ქმნის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვისთვის საჭირო პროცედურულ საფუძველს.

აღნიშნული რეგულაციები უზრუნველყოფს სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის დაგეგმვას, განხორციელებასა და მონიტორინგს, რაც ხელს უწყობს სასწავლო პროცესის ორგანიზებულ და სისტემურ განხორციელებას.

3.2.1(2) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლაში არსებობს თანამშრომლების, მოსწავლეების/მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების მიერ გადაწყვეტილებების გასაჩივრების, ასევე საჩივრების განხილვის სისტემა**

სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია განცხადებებისა და საჩივრების განხილვის პროცედურები. დოკუმენტის მიხედვით, სკოლაში მოქმედებს მექანიზმი, რომლის საფუძველზეც დაინტერესებულ პირებს - თანამშრომლებს, მოსწავლეებსა და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს - აქვთ შესაძლებლობა მიმართონ სკოლის ადმინისტრაციას შესაბამისი განცხადებით ან საჩივრით.

შინაგანაწესი ასევე არეგულირებს დისციპლინური წარმოების პროცესს, განსაზღვრავს უფლებამოსილ ორგანოებს, გადაწყვეტილების მიღების წესს და დაინტერესებული პირების მონაწილეობის შესაძლებლობას პროცესში. აღნიშნული რეგულაციები უზრუნველყოფს საკითხების განხილვის გამჭვირვალე და სამართლებრივად მოწესრიგებულ პროცესს.

ვიზიტის პროცესში ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე ასევე დადასტურდა, რომ სკოლის ადმინისტრაცია ღიაა თანამშრომლებისა და მშობლების მიმართვებისთვის და პრობლემური საკითხები განიხილება შესაბამისი პროცედურების დაცვით.

3.2.1(3) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. სკოლაში მოქმედებს პერსონალის და მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვის მექანიზმები

სკოლის შინაგანაწესით განსაზღვრულია დასაქმებულთა შრომითი უფლებებისა და მოვალეობების, დისციპლინური პასუხისმგებლობის, შრომითი ურთიერთობის წარმოშობისა და შეწყვეტის წესები. აღნიშნული რეგულაციები შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას და უზრუნველყოფს დასაქმებულთა უფლებების დაცვას.

ამასთან, ვიზიტის პროცესში ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე მოსწავლეებმა, მშობლებმა და მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ სკოლაში არის თანამშრომლობითი და კეთილგანწყობილი გარემო, სადაც ყველა დაინტერესებულ პირს აქვს შესაძლებლობა საკუთარი მოსაზრების გამოთქმისა და პრობლემური საკითხების განხილვისათვის.

მათი განმარტებით, სკოლის ადმინისტრაცია ოპერატიულად რეაგირებს წარმოშობილ საკითხებზე და უზრუნველყოფს კონფლიქტური სიტუაციების მშვიდობიან გადაწყვეტას. აღნიშნული გარემოებები მიუთითებს, რომ სკოლაში მოქმედებს თანამშრომლებისა და მშობლების უფლებების დაცვის პრაქტიკული მექანიზმები.

3.2.1(4) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ხარისხის მართვის დებულება;
- სკოლის შინაგანაწესი;

- სკოლის მმართველობითი ორგანოების სხდომების ოქმები;
- სამეურვეო საბჭოს სხდომის ოქმები და ანგარიშები;
- მშობელთა კრებების ოქმები;
- ინტერვიუები სკოლის ადმინისტრაციასთან, მასწავლებლებთან, მოსწავლეებსა და მშობლებთან.

3.3.2. სკოლის საგანმანათლებლო საქმიანობის მართვაში უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების ჩართულობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მართვის პროცესებთან დაკავშირებით სასკოლო საზოგადოების ინფორმირების, უკუკავშირის მიღების და მასზე რეაგირების მექანიზმები**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ვიზიტის პროცესში მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დადგინდა, რომ სკოლა უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების ინფორმირებასა და უკუკავშირის მიღებას სხვადასხვა მექანიზმის გამოყენებით. აღნიშნული პროცესები ხორციელდება როგორც ფორმალური, ასევე არაფორმალური კომუნიკაციის გზით.

სკოლაში ინფორმაციის გაზიარება და საკითხების განხილვა ხდება პედაგოგიური საბჭოს სხდომებზე, სამეურვეო საბჭოს შეხვედრებზე, ასევე მშობელთა კრებებზე. აღნიშნული შეხვედრები წარმოადგენს მნიშვნელოვან პლატფორმას სასკოლო საზოგადოების წევრებისათვის, სადაც მათ შესაძლებლობა აქვთ მიიღონ ინფორმაცია სკოლის საქმიანობის შესახებ, გამოხატონ საკუთარი მოსაზრებები და მონაწილეობა მიიღონ გადაწყვეტილებების განხილვის პროცესში.

წარმოდგენილი დოკუმენტაციის მიხედვით, სკოლაში მიმდინარეობს შესაბამისი სხდომების ოქმების წარმოება, რაც ადასტურებს ინფორმაციის გაზიარებისა და საკითხების განხილვის პრაქტიკას. ვიზიტის პროცესში ჩატარებული ინტერვიუების შედეგად ასევე დადასტურდა, რომ სკოლის ადმინისტრაცია უზრუნველყოფს კომუნიკაციის ღია გარემოს და მზად არის სასკოლო საზოგადოების წევრებისგან მიღებულ წინადადებებსა და რეკომენდაციებზე რეაგირებისთვის.

3.3.2(1) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **უზრუნველყოფილია სასკოლო საზოგადოების წევრების სასკოლო ცხოვრებაში/მართვის კოლეგიალურ ორგანოებში ჩართულობა**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ვიზიტის პროცესში ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ სასკოლო საზოგადოების წარმომადგენლები ჩართული არიან სკოლის მართვისა და სასკოლო ცხოვრების სხვადასხვა პროცესში.

სკოლის მართვის სტრუქტურაში ფუნქციონირებს კანონმდებლობით განსაზღვრული კოლეგიალური ორგანოები, მათ შორის სამეურვეო საბჭო და პედაგოგიური საბჭო, სადაც განხილულია სკოლის საქმიანობასთან დაკავშირებული მნიშვნელოვანი საკითხები. აღნიშნულ პროცესებში მონაწილეობენ სკოლის ადმინისტრაცია, მასწავლებლები, მშობლებისა და საზოგადოების წარმომადგენლები.

სამეურვეო საბჭო წარმოადგენს მნიშვნელოვან მმართველობით ორგანოს, რომელიც მონაწილეობს სკოლის საქმიანობის დაგეგმვასა და გადაწყვეტილებების მიღებაში. ამასთან, სკოლაში მოქმედებს მოსწავლეთა თვითმმართველობაც, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა ჩართულობას სასკოლო ცხოვრებასთან დაკავშირებულ აქტივობებსა და ინიციატივებში.

ინტერვიუების შედეგად ასევე დადასტურდა, რომ მშობლებსა და მოსწავლეებს აქვთ შესაძლებლობა მონაწილეობა მიიღონ სასკოლო ღონისძიებების დაგეგმვასა და განხორციელებაში, რაც ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების აქტიურ ჩართულობას სკოლის საქმიანობაში.

3.3.2(2) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სსიპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ნინიგორის საჯარო სკოლის სამეურვეო საბჭოს სხდომების ოქმები და ანგარიშები;
- სკოლის მმართველობითი საქმიანობის სხდომების ოქმები;
- მშობელთა კრებების ოქმები;
- სკოლის შინაგანაწესი;
- სკოლის ხარისხის მართვის დებულება;
- სკოლის ადმინისტრაციასთან, მასწავლებლებთან, მოსწავლეებსა და მშობლებთან ჩატარებული ინტერვიუების შედეგები.

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.4. ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოება

3.4.1. სკოლაში დაცულია ადამიანების უსაფრთხოება და უზრუნველყოფილია ბიზნეს პროცესების უწყვეტობა

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვას, რისთვისაც არსებობს: ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის უზრუნველყოფის მექანიზმი, უფლებამოსილ ორგანოსთან/პირთან შეთანხმებული საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, სკოლის მიმართვა უფლებამოსილ უწყებასთან შენობა-ნაგებობების სახანძრო უსაფრთხოების მოთხოვნებთან შესაბამისობის შესახებ, უფლებამოსილი ორგანოს მიერ გაცემული შენობის ექსპლუატაციის უსაფრთხოების შესახებ დასკვნა**

სკოლის ტერიტორიაზე ფიზიკური უსაფრთხოების დაცვა ხორციელდება „ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში უსაფრთხოებისა და საზოგადოებრივი წესრიგის დაცვის წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ" საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის №06/ნ ბრძანების შესაბამისად. სკოლაში ფუნქციონირებს მანდატურის სამსახური, რომელიც უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას და ახორციელებს ვიდეოსათვალთვალო სისტემის მონიტორინგს.

ფიზიკური უსაფრთხოების დაცვის შეფასების მიზნით ჩატარდა სკოლის შენობისა და ტერიტორიის ვიზუალური დათვალიერება, ადმინისტრაციის ინტერვიუირება და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლა. შედეგად დადგინდა, რომ:

• სკოლაში ფუნქციონირებს ვიდეოსათვალთვალო სისტემა, რომლის მონიტორინგს ახორციელებს სკოლის მანდატური;
• სკოლას შემუშავებული აქვს საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმა, თუმცა აღნიშნული დოკუმენტი ჯერ არ არის შეთანხმებული საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროს სახელმწიფო საქვეუწყებო დაწესებულება – საგანგებო სიტუაციების მართვის სამსახურთან. სკოლამ წარმოადგინა შესაბამის უწყებაში გაგზავნილი წერილი და ელოდება შეფასებას;
• სკოლაში 2022 წელს განხორციელდა სახანძრო უსაფრთხოების მიმართულებით ინსპექტირება, რომლის შედეგად გაიცა რეკომენდაციები, თუმცა მათი შესრულება იმ პერიოდში არ განხორციელებულა;
• სკოლას წარმოდგენილი აქვს შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომელიც ითვალისწინებს შემდეგ ღონისძიებებს:

- საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმებას შესაბამის სამსახურთან;
- შენობა-ნაგებობების მდგრადობის შესახებ დასკვნის მოპოვებას;
- საევაკუაციო გეგმის შემუშავებას;
  • შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში აღნიშნული ღონისძიებების განხორციელების ვადად განსაზღვრული იყო 2026 წლის 1 თებერვალი, თუმცა ექსპერტთა ვიზიტის პერიოდში (2026 წლის 5–6 მარტი) აღნიშნული ვადა უკვე გასული იყო და შესაბამისი ღონისძიებები განხორციელებული არ იყო;
  • სკოლაში გამოკრულია საევაკუაციო გეგმა, რომელიც ეხება სკოლის ძველ შენობას. სკოლის შენობაში განხორციელებული რეაბილიტაციისა და კონსტრუქციული ცვლილებების გათვალისწინებით, აღნიშნული გეგმა აღარ ასახავს შენობის რეალურ განლაგებას და საჭიროებს განახლებას.
- სკოლას არ ყავს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, დგინდება, რომ სკოლაში ფიზიკური უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად გარკვეული მექანიზმები ფუნქციონირებს, თუმცა უსაფრთხოების დოკუმენტაციისა და შესაბამისობის უზრუნველყოფის მიმართულებით არსებობს ხარვეზები.

სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც გაწერილია:

ა) საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება შესაბამის სამსახურთან;

ბ) შენობა-ნაგებობების მდგრადობის შესახებ დასკვნის მოპოვება;

გ) სახანძრო უსაფრთხოების დასკვნის მოპოვება 2027 წლის 15 აპრილამდე, შესაბამისად

3.4.1(1) ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

რეკომენდაცია: სკოლამ უზრუნველყოს
ა) საგანგებო სიტუაციების მართვის გეგმის შეთანხმება შესაბამის სამსახურთან;

ბ) შენობა-ნაგებობების მდგრადობის შესახებ დასკვნის მოპოვება;

გ) სახანძრო უსაფრთხოების დასკვნის მოპოვება 2027 წლის 15 აპრილამდე, შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმის შესაბამისად.

რჩევა: სკოლამ აიყვანოს შრომის უსაფრთხოების სპეციალისტი.

2. **სკოლა უზრუნველყოფს სკოლის ტერიტორიაზე პირველადი დახმარების აღმოჩენას**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ვიზიტის პროცესში მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დადგინდა, რომ სკოლაში ფუნქციონირებს სამედიცინო კაბინეტი და დასაქმებულია ერთი ექიმი, რომელიც უზრუნველყოფს მოსწავლეებისა და თანამშრომლებისთვის პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევას. ექიმის რაოდენობა შეესაბამება სკოლის საჭიროებებს.

სამედიცინო კაბინეტი აღჭურვილია პირველადი დახმარების აღმოჩენისთვის საჭირო ინვენტარის მნიშვნელოვანი ნაწილით. თუმცა ვიზიტის პროცესში გამოვლინN |და, რომ კაბინეტში არ არის წარმოდგენილი ზოგიერთი სავალდებულო ინვენტარი, კერძოდ: კედლის საათი, მხედველო ხბის შემოწმების სპეციალური ცხრილი, ხელის სანათი და კისრის ფიქსატორი.

ვიზიტის პერიოდში სამედიცინო კაბინეტში ადგილზე არ იყო განთავსებული მედიკამენტები. სკოლის ბუღალტერმა ექსპერტთა ვიზიტის დროს წარმოადგინა მედიკამენტების შესყიდვის დამადასტურებელი დოკუმენტაცია, რომლის მიხედვითაც სკოლას უკვე განხორციელებული ჰქონდა შესაბამისი მედიკამენტების შესყიდვა.

აღნიშნული გარემოებების გათვალისწინებით, სკოლაში უზრუნველყოფილია პირველადი სამედიცინო დახმარების გაწევის შესაძლებლობა, თუმცა სამედიცინო კაბინეტის აღჭურვილობა სრულ შესაბამისობაში არ არის მინისტრის შესაბამისი ბრძანებით განსაზღვრულ მოთხოვნებთან.

სკოლამ წარმოადგინა შეუსაბამობის აღმოფხვრის მტკიცებულებები არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად, შესაბამისად

3.4.1(2) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლა უზრუნველყოფს საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას**

საჯარო სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა რეგულირდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2019 წლის 29 იანვრის №06/ნ ბრძანებით, რაც ასახულია სკოლის შიდა რეგულაციებში, მათ შორის სკოლის შინაგანაწესში.

სკოლის შენობაში ფუნქციონირებს გარე და შიდა პერიმეტრის ვიდეოსათვალთვალო სისტემა, რომლის მონიტორინგსაც ახორციელებს სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახური. სკოლის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვას უზრუნველყოფს მანდატური, რომელიც ახორციელებს როგორც წესრიგის მონიტორინგს, ასევე ვიდეოსათვალთვალო სისტემის კონტროლს.

სკოლაში საზოგადოებრივი წესრიგის დაცვაში ასევე ჩართული არიან სკოლის ადმინისტრაცია, მორიგე მასწავლებლები და დამრიგებლები. საჭიროების შემთხვევაში, სკოლის ადმინისტრაცია ახორციელებს შესაბამის რეაგირებას ადმინისტრაციული პროცედურების ფარგლებში.

ვიზიტის პროცესში ჩატარებული დაკვირვებისა და ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ სკოლაში უზრუნველყოფილია სკოლის ტერიტორიაზე საზოგადოებრივი წესრიგის დაცვა.

3.4.1.(3) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლა უზრუნველყოფს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ვიზიტის პროცესში მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დადგინდა, რომ სკოლა მუშაობს ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს უზრუნველყოფაზე.

• სკოლის მიერ წარმოდგენილი პრაქტიკისა და თვითშეფასების დოკუმენტის მიხედვით, სასკოლო საზოგადოება ცდილობს ძალადობის შესაძლო ნიშნების იდენტიფიცირებასა და შესაბამის რეაგირებას;
• სკოლაში ხორციელდება თემატური სასწავლო აქტივობები (დისკუსიები, ფილმების ჩვენება, როლური თამაშები), რომლებიც მიმართულია მოსწავლეთა შორის ურთიერთპატივისცემაზე დაფუძნებული გარემოს ჩამოყალიბებისა და თანასწორობის პრინციპების მხარდაჭერისკენ;
• სკოლის დირექცია, მასწავლებლები და მანდატური უზრუნველყოფენ უსაფრთხო გარემოს შენარჩუნებას როგორც სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას, ასევე შესვენებების დროს;
• დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია ძალადობის შესახებ შეტყობინებაზე პასუხისმგებელი პირი;
• საჭიროების შემთხვევაში სკოლა სარგებლობს სსიპ საგანმანათლებლო დაწესებულების მანდატურის სამსახურის ფსიქო-

სოციალური მომსახურებით;
• ვიზიტის პროცესში ჩატარებული ინტერვიუების საფუძველზე დადგინდა, რომ სკოლაში ტარდება საინფორმაციო შეხვედრები და სხვადასხვა აქტივობები ძალადობის პრევენციისა და ცნობიერების ამაღლების მიზნით;
• მორიგე მასწავლებლები ახორციელებენ სკოლის დერეფნებისა და პერიმეტრის მონიტორინგს სასწავლო პროცესისა და შესვენებების დროს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სკოლაში უზრუნველყოფილია ფსიქოლოგიურად და ემოციურად უსაფრთხო სასკოლო გარემოს შექმნის ხელშემწყობი მექანიზმების ფუნქციონირება.

3.4.1.(4) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. **სკოლა უზრუნველყოფს სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვას**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ვიზიტის პროცესში მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დადგინდა, რომ სკოლაში სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის პრაქტიკა ძირითადად უზრუნველყოფილია.

• სკოლის ექიმი ზედამხედველობს ჰიგიენურ პირობებს და მონაწილეობს მოსწავლეთა ჯანმრთელობისა და პირადი ჰიგიენის უნარების განვითარების ხელშეწყობაში;
• სისუფთავის უზრუნველყოფაში ჩართულია სამი დამლაგებელი. მათი საქმიანობის მონიტორინგს ახორციელებს სკოლის მატერიალურ-ტექნიკური უზრუნველყოფის კოორდინატორი;
• სკოლის ვიზუალური დათვალიერებისას დადგინდა, რომ სასწავლო სივრცეები და სკოლის ტერიტორია სუფთა და მოწესრიგებულია;
• სველი წერტილები აღჭურვილია ჰიგიენური საშუალებებით (თხევადი საპონი, ქაღალდი, ხელსახოცები, სანაგვე ურნები და სხვ.);
• საყოფაცხოვრებო ქიმიური საშუალებები ინახება სპეციალურად გამოყოფილ და ჩაკეტილ სათავსოში, რაც შეესაბამება უსაფრთხოების მოთხოვნებს;
• ვიზიტის პროცესში დადგინდა, რომ სველი წერტილების შემოწმების გრაფიკი არ იყო გამოკრული. ექსპერტების რეკომენდაციის საფუძველზე აღნიშნული გრაფიკი ვიზიტის პერიოდში გამოიკრა;
• ნაგვის გატანის მომსახურებაზე ხელშეკრულება წარმოდგენილი არ არის, თუმცა სკოლა რეგულარულად იხდის შესაბამის გადასახადს აბონენტის ნომრით. სკოლის ტერიტორიაზე განთავსებულია რამდენიმე ნაგვის ბუნკერი, ხოლო ვიზუალური დათვალიერებით ეზოში სისუფთავე ფიქსირდება, რაც მიუთითებს აღნიშნული მომსახურების პრაქტიკულ განხორციელებაზე;

• სკოლის მიერ წარმოდგენილ შესყიდვებსა და მარაგებში არ იკვეთება სადეზინფექციო ან სადერატიზაციო საშუალებების რეგულარული გამოყენება;
• სკოლას არ აქვს პერიოდული ხელშეკრულება სადერატიზაციო და სადეზინფექციო მომსახურებაზე. სკოლის წარმომადგენლების განმარტებით, საჭიროების შემთხვევაში გამოიძახებენ სპეციალიზებულ კომპანიას შესაბამისი სამუშაოების ჩასატარებლად.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სკოლაში უზრუნველყოფილია სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების დაცვის ძირითადი პირობები.

3.4.1.(5) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რჩევა:
მიზანშეწონილია სკოლამ უზრუნველყოს სადეზინფექციო და სადერატიზაციო სამუშაოების სისტემური დაგეგმვა და შესაბამისი საშუალებების გამოყენება, ასევე ნაგვის გატანის მომსახურებაზე ფორმალური ხელშეკრულების გაფორმება, რაც ადმინისტრაციულად უფრო გამჭვირვალეს გახდის პროცესს.

6. **სკოლა უზრუნველყოფს პერსონალური მონაცემების დაცვას**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ვიზიტის პროცესში მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დადგინდა, რომ სკოლაში უზრუნველყოფილია პერსონალური მონაცემების დაცვის პროცესის ორგანიზება.

• სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია პერსონალურ მონაცემთა დაცვაზე პასუხისმგებელი პირი, ხოლო პერსონალურ მონაცემთა დაცვის ოფიცრის ფუნქციებს ასრულებს ლაგოდეხის საგანმანათლებლო რესურსცენტრის წარმომადგენელი;
• სკოლის საქმისწარმოებაში არსებული დოკუმენტაცია ინახება შესაბამის სამუშაო სივრცეში. მოსწავლეთა პირადი საქმეები განთავსებულია ბაინდერებში, რომლებიც განლაგებულია კარადებსა და თაროებზე. აღნიშნული სივრცე იკეტება, თუმცა ვიზიტის პროცესში დადგინდა, რომ ბაინდერები არ არის მოთავსებული ჩაკეტილ კარადებში;
• სკოლასა და მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის გაფორმებული ხელშეკრულებები მოიცავს თანხმობის ნაწილს, რომელიც განსაზღვრავს მოსწავლის პერსონალური მონაცემების გამოყენების წესებს (მათ შორის ფოტოსა და ვიდეომასალის გამოყენებას);
• ხელშეკრულებებსა და თანხმობის ფორმებში განსაზღვრულია სენსიტიური ინფორმაციის დამუშავების წესები, მათ შორის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებებისა და ჯანმრთელობის მდგომარეობასთან დაკავშირებული მონაცემების დამუშავება;

• სკოლა პერსონალური მონაცემების დამუშავებისას ხელმძღვანელობს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნებით;
• სკოლის მიერ წარმოებული დოკუმენტაცია ინახება როგორც მიმდინარე, ასევე საარქივო ფორმატში. საარქივო დოკუმენტაცია განთავსებულია ცალკე სივრცეში, თუმცა ვიზიტის პროცესში დადგინდა, რომ მისი აღრიცხვა სრულად არ არის წარმოებული.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სკოლაში უზრუნველყოფილია პერსონალური მონაცემების დაცვის ძირითადი მოთხოვნების დაცვა.

3.4.1.(6) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რჩევა:
მიზანშეწონილია სკოლამ უზრუნველყოს პერსონალური მონაცემების დამუშავებისა და შენახვის პროცესების დამატებით დოკუმენტური რეგულირება (პოლიტიკის ან პროცედურის სახით), ასევე უზრუნველყოს მოსწავლეთა პირადი საქმეების დაცვა ჩაკეტილ კარადებში და საარქივო დოკუმენტაციის სისტემური აღრიცხვა.

7. **სკოლას გააჩნია მის ხელთ არსებული ინფორმაციის დაცვის მექანიზმები**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ვიზიტის პროცესში მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დადგინდა, რომ სკოლაში მოქმედებს ინფორმაციის დაცვის მექანიზმები.

• სკოლა პერსონალური მონაცემებისა და ინფორმაციის დამუშავების პროცესში ხელმძღვანელობს „პერსონალურ მონაცემთა დაცვის შესახებ“ საქართველოს კანონითა და სხვა შესაბამისი მარეგულირებელი აქტებით;
• სკოლის დირექტორის ბრძანებით განსაზღვრულია პერსონალურ მონაცემთა დაცვის პასუხისმგებელი პირი, რომელიც საჭიროების შემთხვევაში უზრუნველყოფს შესაბამის რეაგირებას;
• სკოლაში პერსონალური მონაცემების დამუშავება ეხება მოსწავლეთა, მათი მშობლების/კანონიერი წარმომადგენლების, მასწავლებლებისა და სხვა თანამშრომლების მონაცემებს და მოიცავს მონაცემების დამუშავების სხვადასხვა ფორმას (შენახვა, გადაცემა, დამუშავება და სხვ.);
• სკოლა იყენებს საქმისწარმოების ელექტრონულ სისტემას, რომელშიც მონაცემებზე წვდომა აქვთ მხოლოდ უფლებამოსილ პირებს ინდივიდუალური პაროლების გამოყენებით;
• მოსწავლეთა და კურსდამთავრებულთა პირადი საქმეები ინახება კარადებში, რომლებიც განთავსებულია საქმისმწარმოებლისა და ბუღალტრის სამუშაო ოთახებში;
• სკოლაში განსაზღვრულია ინფორმაციული ტექნოლოგიების მართვაზე პასუხისმგებელი პირი, რომელიც უზრუნველყოფს

ინფორმაციული სისტემებისა და ტექნიკური რესურსების ზედამხედველობას;
• სკოლის ოფიციალური სოციალური ქსელის გვერდის ადმინისტრირებას ახორციელებენ უფლებამოსილი პირები, რაც უზრუნველყოფს საჯარო კომუნიკაციაში ინფორმაციის კონტროლს.

ვიზიტის პროცესში გამოვლინდა, რომ მოსწავლეთა პირადი საქმეების განთავსება საქმისმწარმოებლისა და ბუღალტრის სამუშაო ოთახებში გარკვეულწილად ზრდის კონფიდენციალური ინფორმაციის ხელმისაწვდომობის რისკს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სკოლაში მოქმედებს ინფორმაციის დაცვის ძირითადი მექანიზმები.

3.4.1.(7) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რჩევა:
მიზანშეწონილია სკოლამ უზრუნველყოს ინფორმაციის შენახვის სივრცეების დამატებითი დაცვა, მათ შორის მოსწავლეთა პირადი საქმეების შენახვა უფრო იზოლირებულ სივრცეში და განსაზღვროს მონაცემებზე წვდომის მკაფიო წესები. ასევე რეკომენდებულია მკაცრი აღრიცხვის დოკუმენტაციის საარქივო წესით წარმოება და ინფორმაციის დაცვის პროცესების დამატებით დოკუმენტური რეგულირება.

8. **სკოლა ახორციელებს ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების პერიოდულ შეფასებას და შეფასების შედეგებს იყენებს აღნიშნული მექანიზმების გაუმჯობესებისთვის**

სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტაციისა და ვიზიტის პროცესში მიღებული ინფორმაციის საფუძველზე დადგინდა, რომ სკოლაში ხორციელდება ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების შეფასება.

• სკოლის თვითშეფასების დოკუმენტში აღნიშნულია, რომ სკოლა გეგმავს უსაფრთხოების მექანიზმების პერიოდულ შეფასებას და მიღებული შედეგების გამოყენებას შემდგომი გაუმჯობესების მიზნით;
• ვიზიტის დროს წარმოდგენილი ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტის მიხედვით, სასწავლო წლის დასაწყისში იქმნება მონიტორინგის ჯგუფი, რომელიც უზრუნველყოფს უსაფრთხოებასთან დაკავშირებული პროცესების შეფასებას;
• აღნიშნული შეფასება მოიცავს სხვადასხვა მეთოდს, მათ შორის დაკვირვებას, სასკოლო საზოგადოების წევრების გამოკითხვას, შიდა მონიტორინგსა და სამუშაო შეხვედრებს;
• უსაფრთხოების საკითხები ასევე განიხილება სკოლის მრჩეველთა საბჭოს სხდომებზე, სადაც ხდება არსებული მდგომარეობის ანალიზი და შესაბამისი რეკომენდაციების შემუშავება.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სკოლაში უზრუნველყოფილია ადამიანებისა და პროცესების უსაფრთხოების მექანიზმების ფუნქციონირების შეფასება და შეფასების შედეგების გამოყენება მათი გაუმჯობესების მიზნით.

3.4.1.(8) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის ხარისხის უზრუნველყოფის პოლიტიკის დოკუმენტი;
- სკოლის თვითშეფასების ანგარიში;
- სკოლის მრჩეველთა საბჭოს სხდომების ოქმები;
- სკოლის დირექტორის ანგარიშები;
- ინტერვიუები სკოლის ადმინისტრაციასთან და პერსონალთან;
- ექსპერტთა ვიზიტის პროცესში განხორციელებული დაკვირვება.

შეფასება:
- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☐ შეესაბამება
☒ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.5. მატერიალური რესურსები და ინფრასტრუქტურა

3.5.1. სკოლის მატერიალური რესურსი და ინფრასტრუქტურა გამოიყენება დაწესებულების მისიით განსაზღვრული მიზნების მისაღწევად და შეესაბამება არსებულ და/ან დაგეგმილ მოსწავლეთა რაოდენობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით**

სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის შესაბამის ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს მინიმუმ ავტორიზაციის ვადითა და დადგენილი მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

სსიპ ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ნინიგორის საჯარო სკოლა ახორციელებს ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამებს ერთ მისამართზე მდებარე ძირითად სასწავლო კორპუსში (სოფელი ნინიგორი, ლაგოდეხის მუნიციპალიტეტი).

სკოლის ძირითადი შენობა ორსართულიანია და წარმოადგენს სახელმწიფოს საკუთრებას, რომელიც დაწესებულებას გადაცემული აქვს სარგებლობის უფლებით. სკოლამ წარმოადგინა შენობის შიდა აზომვითი ნახაზი, თუმცა ვიზიტის პროცესში დადგინდა, რომ იგი სრულად არ ასახავს შენობის რეალურ კონსტრუქციას, ვინაიდან რეაბილიტაციის პროცესში განხორციელებულია გარკვეული კონსტრუქციული ცვლილებები.

სკოლის ტერიტორიაზე ძირითადი სასწავლო კორპუსის გარდა განთავსებულია ორი დამხმარე ნაგებობა: ცალკე მდგომი საქვაბე და ფიცრული ტუალეტი. სკოლას ადრე ფუნქციონირებდა მეორე სასწავლო კორპუსიც სოფელ გურგენიანში, რომელიც გამოიყენებოდა დაწყებითი საფეხურისათვის, თუმცა აღნიშნული შენობა დემონტაჟებულია და აღარ ფუნქციონირებს.

სასწავლო პროცესი სკოლაში მიმდინარეობს ერთ ცვლაში. დაწესებულების მიერ წარმოდგენილი მონაცემების მიხედვით, სკოლა გათვლილია 300 მოსწავლეზე, ხოლო ამჟამად სწავლობს 150 მოსწავლე. პირველ კლასში მიღების ლიმიტი განსაზღვრულია 50 მოსწავლით.

სკოლის სასწავლო სივრცეები აღჭურვილია სასწავლო პროცესისთვის საჭირო ინვენტარით. საკლასო ოთახებში განთავსებულია ინდივიდუალური მერხები, საკლასო დაფები და შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსები. ყველა საკლასო ოთახი ბუნებრივად ნათდება. სასწავლო კორპუსში საკლასო ოთახების გარდა ფუნქციონირებს სამასწავლებლო, ბიბლიოთეკა, საბუნებისმეტყველო კაბინეტები, კომპიუტერული ლაბორატორია, კათედრების სათავსოები, მანდატურის ოთახი, სამედიცინო კაბინეტი და სველი წერტილები, მათ შორის ადაპტირებული სანიტარული სივრცე.

ვიზიტის პროცესში დადგინდა, რომ მეთორმეტე კლასის საკლასო ოთახში არ იყო საკმარისი რაოდენობის მერხები, თუმცა აღნიშნული ხარვეზი ადგილზე აღმოიფხვრა. ამასთან, ექსპერტთა შეფასებით, ზოგიერთი ფუნქციური სივრცე (ბიბლიოთეკა, რესურს-ოთახი, სამედიცინო კაბინეტი და მეთორმეტე კლასის საკლასო ოთახი) შედარებით მცირე ზომისაა.

სკოლამ აღნიშნა, რომ სასწავლო ინვენტარის დამატებითი რაოდენობა ინახება სარდაფში და მოსწავლეთა რაოდენობის ზრდის შემთხვევაში შესაძლებელია მათი გამოყენება. მიუხედავად ამისა, ექსპერტთა ჯგუფმა შეისწავლა არსებული სასწავლო სივრცეები და მათი ფართობი და მიიჩნია, რომ სკოლაში 300 მოსწავლის განთავსება რეალისტურად ვერ იქნება უზრუნველყოფილი. შესაბამისად, მიზანშეწონილია სკოლის მოსწავლეთა მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვროს **200 მოსწავლით**.

სკოლის პირველ კორპუსში ასევე ფუნქციონირებს სპორტული დარბაზი და სპორტული მოედანი. სპორტული დარბაზი კეთილმოწყობილია და მოიცავს მცირე ზომის დამხმარე ოთახებს, რომლებიც გამოიყენება გასახდელებად.

სკოლის ეზოს ნაწილი შემოსაზღვრულია ღობით. შენობა ადაპტირებულია შშმ პირთათვის — დამონტაჟებულია პანდუსი, ლიფტი და ადაპტირებული სანიტარული სივრცე. ვიზიტის პერიოდში ლიფტი არ ფუნქციონირებდა. სკოლის ადმინისტრაციის განმარტებით, მიმდინარეობს კომუნიკაცია შესაბამის კომპანიასთან ლიფტის ამწევი მექანიზმის შეკეთების მიზნით.

სკოლა აღჭურვილია საჭირო ტექნიკური რესურსებით. სკოლის ბალანსზე რიცხულია საკლასო მერხები და სკამები, საკლასო დაფები, პრინტერები, პროექტორები, ნოუთბუქები და პერსონალური კომპიუტერები. ნოუთბუქების ნაწილი მიღებულია 2021 წელს, ხოლო ნაწილი - 2024 წელს. ტექნიკა მუშა მდგომარეობაშია და გამოიყენება სასწავლო პროცესში.

სკოლაში უზრუნველყოფილია კომუნალური ინფრასტრუქტურა - უწყვეტი ელექტროენერგია, წყალმომარაგება და ბუნებრივ აირზე მომუშავე გათბობის სისტემა. საკლასო ოთახები აღჭურვილია შესაბამისი რაოდენობის გამათბობლებითა და გაზოდეტექტორებით.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, სკოლა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო საქმიანობისთვის საჭირო ინფრასტრუქტურასა და მატერიალურ რესურსს.

სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებული პოზიცია მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის შესახებ, ექსპერტებმა გაიზიარეს სკოლის პოზიცია და მიზანშეწონილად მიიჩნიეს **სკოლის მოსწავლეთა მაქსიმალური რაოდენობა განისაზღვროს 250 მოსწავლით.**

3.5.1.1 ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რჩევა: სასურველია სკოლამ განაახლოს შენობის შიდა აზომვითი ნახაზი, რათა იგი სრულად ასახავდეს რეაბილიტაციის შედეგად განხორციელებულ კონსტრუქციულ ცვლილებებს და შეესაბამებოდეს შენობის ფაქტობრივ მდგომარეობას.

2. **დაწესებულების ინფრასტრუქტურა, მათ შორის საერთო სარგებლობის სივრცეები და მატერიალური რესურსი ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის**

სკოლის თვითშეფასების დოკუმენტის მიხედვით, დაწესებულების ფიზიკური გარემო და მატერიალური რესურსი გათვლილია სასკოლო საზოგადოების წევრთა მრავალფეროვანი საჭიროებების გათვალისწინებით. თვითშეფასებაში აღნიშნულია, რომ სასკოლო სივრცე უზრუნველყოფს უსაფრთხო გადაადგილებას, სასწავლო პროცესის ორგანიზებასა და მოსწავლეთა დასვენების შესაძლებლობას, ხოლო მატერიალური რესურსები ხელმისაწვდომია სკოლაში ჩართული ყველა მხარისთვის.

ვიზიტის პროცესში ექსპერტთა ჯგუფმა დაათვალიერა სკოლის ინფრასტრუქტურა და შეისწავლა წარმოდგენილი დოკუმენტაცია. შეფასების შედეგად დადგინდა შემდეგი:

• სკოლის შენობის პირველი სართული ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის. შენობაში დამონტაჟებულია ლიფტი, რომელიც უზრუნველყოფს გადაადგილებას მეორე სართულზე. თუმცა ვიზიტის პერიოდში ლიფტი იყო გაუმართავი. სკოლის ადმინისტრაციის განმარტებით, მიმდინარეობს კომუნიკაცია შესაბამის მომსახურე კომპანიასთან ლიფტის შეკეთების მიზნით.

• სპორტული დარბაზი განთავსებულია მინუს სართულზე. აღნიშნულ სივრცეში მისასვლელად დამონტაჟებულია სპეციალური მობილობის ამწევი პლატფორმა, რომელიც განკუთვნილია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირების გადაადგილების ხელშეწყობისთვის.

• საერთო სარგებლობის ძირითადი სივრცეები განთავსებულია პირველ სართულზე, რაც ამ ეტაპზე უზრუნველყოფს მათი გამოყენების შესაძლებლობას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეებისთვისაც.

• ბიბლიოთეკის, ლაბორატორიებისა და სხვა საერთო სივრცეების სარგებლობის წესები განსაზღვრულია სკოლის შიდა დოკუმენტაციაში, თუმცა ისინი სტანდარტული ხასიათისაა და სრულად არ ასახავს სკოლის სპეციფიკურ კონტექსტს, მათ შორის ინკლუზიური განათლების საჭიროებებსა და სივრცის თანაბარი ხელმისაწვდომობის პრინციპებს.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით დგინდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს სასკოლო საზოგადოების წევრებისთვის ინფრასტრუქტურისა და მატერიალური რესურსების ხელმისაწვდომობას.

3.5.1.(2) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რჩევა: სასურველია სკოლამ გადახედოს ბიბლიოთეკისა და სხვა საერთო სასწავლო სივრცეების სარგებლობის წესებს და მათში ასახოს სკოლის კონტექსტი, მათ შორის ინკლუზიური განათლების საჭიროებები, შშმ მოსწავლეთა ხელმისაწვდომობის საკითხები და სივრცეების თანაბარი გამოყენების პრინციპები.

3. სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით

სკოლაში მოქმედებს ბიბლიოთეკის გამოყენების წესი, რომელიც განსაზღვრავს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდების ზოგად რეგულაციებს. ბიბლიოთეკა განთავსებულია ახლად რეაბილიტირებულ სივრცეში, თუმცა მისი ფართობი მცირეა და შესაძლებლობას არ იძლევა, რომ სივრცე გამოყენებულ იქნას შემეცნებითი ან საგანმანათლებლო აქტივობების ორგანიზებისთვის. ბიბლიოთეკის სივრცეში განთავსებულია სამუშაო მაგიდა და შეზღუდული რაოდენობის მერხები.

საბიბლიოთეკო ფონდი მოიცავს სახელმძღვანელოებს, მხატვრულ და მეთოდურ ლიტერატურას. წარმოდგენილი ინფორმაციის მიხედვით, წიგნები დამუშავებულია ბიბლიოთეკის წესების შესაბამისად და ფუნქციონირებს მკითხველთა ფორმულარების წარმოების სისტემა. მოსწავლეებსა და მასწავლებლებს აქვთ წვდომა ბიბლიოთეკის რესურსებზე.

ვიზიტის პროცესში დადგინდა, რომ ბიბლიოთეკარს არ გააჩნია საქმიანობის წლიური გეგმა და განხორციელებული ღონისძიებების ამსახველი ჩანაწერები, რაც ამცირებს საბიბლიოთეკო საქმიანობის დაგეგმვისა და მონიტორინგის შესაძლებლობას.

ბიბლიოთეკარის განმარტებით, წიგნადი ფონდის მნიშვნელოვანი ნაწილი შინაარსობრივად მოძველებულია და დასაწყობებულია სარდაფში. სკოლა გეგმავს მოძველებული ფონდის ეტაპობრივ ჩამოწერასა და წიგნადი რესურსის განახლებას. ამასთან, წარმოდგენილი ფლობის დოკუმენტაცია სრულად არ ფარავს ბიბლიოთეკაში არსებულ წიგნებს — ძველი წიგნების ნაწილზე წარმოდგენილია მხოლოდ ინვენტარიზაციის დოკუმენტები და არა საკუთრების დამადასტურებელი აქტები.

ბიბლიოთეკაში განთავსებულია კომპიუტერი. ბიბლიოთეკარის განმარტებით, ამ ეტაპზე არ ხორციელდება ელექტრონული კატალოგის წარმოება, თუმცა მომავალში იგეგმება მისი დანერგვა.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით დგინდება, რომ სკოლა უზრუნველყოფს საბიბლიოთეკო სერვისების მიწოდებას მის მიერ დადგენილი წესის მიხედვით.

3.5.1.(3) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

რჩევა: სასურველია ბიბლიოთეკარმა შეიმუშაოს საქმიანობის წლიური გეგმა და უზრუნველყოს განხორციელებული აქტივობების რეგისტრაცია (მაგ., აქტივობების ჟურნალის წარმოება), რაც ხელს შეუწყობს საბიბლიოთეკო საქმიანობის სისტემურ დაგეგმვასა და შეფასებას.

ასევე მიზანშეწონილია:

- ბიბლიოთეკის სარგებლობის წესში აისახოს ბიბლიოთეკაში განსახორციელებელი საგანმანათლებლო აქტივობების პრინციპები და პასუხისმგებლობები;
- სკოლამ უზრუნველყოს ბიბლიოთეკის წიგნადი ფონდის ეტაპობრივი განახლება და მოძველებული ლიტერატურის ჩამოწერა;
- წარმოდგენილი იქნას წიგნადი ფონდის ფლობის სრული დოკუმენტაცია ან განხორციელდეს შესაბამისი ჩამოწერის დოკუმენტაციის წარმოება.

4. სკოლის ინფრასტრუქტურა ქმნის სწავლის ინკლუზიურ გარემოს

ვიზიტის პროცესში განხორციელებული დათვალიერებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე დადგინდა, რომ სკოლის ინფრასტრუქტურა ნაწილობრივ ადაპტირებულია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის. შენობაში დამონტაჟებულია პანდუსი, ლიფტი და ადაპტირებული სველი წერტილი, რაც უზრუნველყოფს ფიზიკური გარემოს ხელმისაწვდომობას.

ვიზიტის პერიოდში გამოვლინდა, რომ ლიფტი იყო გაუმართავი. სკოლის ადმინისტრაციის განმარტებით, მიმდინარეობს კომუნიკაცია შესაბამის მომსახურე კომპანიასთან ლიფტის ამწევი მექანიზმის შეკეთების მიზნით. ამასთან, სპორტული დარბაზი განთავსებულია მინუს სართულზე, სადაც გადაადგილებისთვის დამონტაჟებულია სპეციალური ამწევი პლატფორმა, რომელიც განკუთვნილია შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა გადაადგილების ხელშეწყობისთვის.

საერთო სარგებლობის ძირითადი სივრცეები განთავსებულია პირველ სართულზე, რაც უზრუნველყოფს მათ გამოყენებას შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეებისთვის. სკოლაში ფუნქციონირებს რესურს-ოთახი და სამედიცინო კაბინეტი, რაც დამატებით უწყობს ხელს მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით დგინდება, რომ სკოლის ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს ინკლუზიური სასწავლო გარემოს შექმნას.

3.5.1.(4) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

რჩევა: მიზანშეწონილია სკოლამ უზრუნველყოს ლიფტის დროული შეკეთება და ტექნიკური გამართულობა, რათა სრულად იყოს უზრუნველყოფილი შეზღუდული შესაძლებლობის მქონე მოსწავლეთა გადაადგილების შესაძლებლობა სკოლის ყველა სართულზე.

5. **სკოლის ინფრასტრუქტურა ემსახურება სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას**

სკოლის ინფრასტრუქტურა და მატერიალური რესურსი ხელს უწყობს სასკოლო საზოგადოების ჩართულობას სხვადასხვა საგანმანათლებლო, კულტურულ და სპორტულ აქტივობაში. სკოლის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს სპორტული დარბაზი და სპორტული მოედანი, რომლებიც გამოიყენება როგორც სასწავლო პროცესში, ასევე სასკოლო ღონისძიებებისა და სპორტული აქტივობების ორგანიზებისთვის.

სკოლაში ასევე ფუნქციონირებს ბიბლიოთეკა, კომპიუტერული ლაბორატორია, საბუნებისმეტყველო კაბინეტები და სხვა სასწავლო სივრცეები, რომლებიც გამოიყენება მოსწავლეთა შემეცნებითი და საგანმანათლებლო აქტივობების მხარდასაჭერად.

ვიზიტის პროცესში ჩატარებული ინტერვიუებით დადასტურდა, რომ სკოლა აქტიურად იყენებს არსებულ ინფრასტრუქტურას სხვადასხვა სასკოლო ღონისძიებების, შეხვედრებისა და საგანმანათლებლო პროექტების განხორციელებისთვის, რაც ხელს უწყობს სკოლის სოციო-კულტურულ სივრცედ ჩამოყალიბებას.

3.5.1.(5) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
სკოლის ინფრასტრუქტურისა და მატერიალური რესურსების ამსახველი დოკუმენტაცია
• სკოლის შიდა აზომვითი ნახაზი და სივრცეების განაწილების სქემა
• სკოლის ინვენტარიზაციის დოკუმენტაცია
• ბიბლიოთეკის გამოყენების წესი და ბიბლიოთეკის ფონდის ინვენტარიზაციის დოკუმენტები
• სკოლის უსაფრთხოების და ინფრასტრუქტურის მართვის დოკუმენტაცია
• ვიზიტის პროცესში განხორციელებული ინფრასტრუქტურის დათვალიერება
• სკოლის ადმინისტრაციასთან და პერსონალთან ჩატარებული ინტერვიუები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.6. საინფორმაციო რესურსები

3.6.1. სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელს უწყობს მისი ძირითადი საქმიანობის განხორციელებას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა უზრუნველყოფს ადმინისტრაციული და სასწავლო პროცესის სრულფასოვან წარმართვას**
   სკოლის თვითშეფასების და გასაუბრების მიხედვით, ის აქტიურად მუშაობს საინფორმაციო ინფრასტრუქტურის განვითარებაზე. წარმოდგენილია ტექნიკური რესურსების ჩამონათვალი, რომელიც სრულად უზრუნველყოფს როგორც სასწავლო, ისე ადმინისტრაციულ პროცესებს. კონკრეტულად:

- სკოლას გააჩნია საკმარისი რაოდენობის **ლეპტოპები, პერსონალური კომპიუტერები, პრინტერები, პროექტორები**;
- კომპიუტერული ტექნიკა ხელმისაწვდომია **დირექციისთვის, ადმინისტრაციისთვის, პედაგოგებისთვის და მოსწავლეთათვის**;
- ბიბლიოთეკაში მოწყობილია მცირე **საჯარო სამუშაო სივრცე** შესაბამისი ტექნიკით, რაც განამტკიცებს ციფრულ ხელმისაწვდომობას;
- კომპიუტერული ლაბორატორია აღჭურვილია და ტექნიკურად გამართულია;
- სკოლა უზრუნველყოფილია **უწყვეტი ინტერნეტით**

გამოყენების მექანიზმები და ორგანიზაცია:

- კომპიუტერული რესურსების გამოყენება სრულად არის **ინტეგრირებული სასწავლო და ადმინისტრაციულ პროცესებში**;
- მოსწავლეებსა და მასწავლებლებს აქვთ საშუალება ტექნოლოგიური რესურსებით სარგებლობის;
- სკოლა ახორციელებს ტექნიკური რესურსების **ორგანიზებულ მართვას** — ინვენტარით აღჭურვილია ყველა სტრუქტურული რგოლი.

სკოლამ წარმოადგინა **„ციფრული განვითარების გეგმა"**, რომელიც აღწერს:

- არსებული რესურსების სტატუსს;
- ტექნოლოგიური ინტეგრაციის მექანიზმებს;
- რესურსების გამოყენების განრიგსა და პასუხისმგებლობებს;
- სამომავლო განვითარებისა და გაფართოების ხედვას.

სკოლის კომპიუტერულ ლაბორატორიაში ვიზიტის პერიოდში იმყოფებოდა კლასი. სკოლამ დამატებით წარმოადგინა კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის მიმდინარე წლის წესი და განრიგი, რაც ადასტურებს, რომ სკოლა აცნობიერებს, როგორ უნდა განავითაროს არსებული ინფრასტრუქტურა მიზანმიმართულად.

სკოლის ისტ-სამსახურის ტექნიკურ რესურსებზე პასუხისმგებელია **ისტ-ის მასწავლებელი**, რაც მიანიშნებს პროცესის კონკრეტულ მართვაზე და პასუხისმგებლობის აღებაზე.

ექსპერტების ვიზიტისას მოხდა ტექნიკური რესურსების დათვალიერება, და დადასტურდა, რომ:

- აღჭურვილობა რეალურად ფუნქციონირებს;
- რესურსები განთავსებულია შესაბამის სივრცეებში;
- ყველა საკლასო ოთახში განთავსებულია ლეპტოპი;
- მოსწავლეებს აქვთ წვდომა კომპიუტერულ ლაბორატორიაზე (განრიგის მიხედვით) და საერთო სარგებლობის ტექნიკაზე.

სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ეფექტიანად უწყობს ხელს როგორც სასწავლო, ასევე ადმინისტრაციული პროცესების სრულფასოვან წარმართვას და იძლევა ციფრული განათლების განვითარებისთვის აუცილებელ საფუძველს.

ინდიკატორის 3.6.1.(1) მოთხოვნა *დაკმაყოფილებულია.*

2. **ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა ხელმისაწვდომია მოსწავლეებისა და პერსონალისათვის სკოლის მიერ დადგენილი წესის შესაბამისად**

   სკოლას აქვს წარმოდგენილი **„ციფრული განვითარების გეგმა" და კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი**, რომელიც მოიცავს ტექნოლოგიებზე წვდომის მექანიზმებსა და გამოყენების წესს. დოკუმენტებში გაწერილია:

- კომპიუტერული ლაბორატორიისა და ტექნიკური რესურსების გამოყენების **დეტალური განრიგი**;
- **სამუშაო სივრცეებისა და კომპიუტერული ტექნიკის საერთო სარგებლობის წესი**, რომელიც ითვალისწინებს ტექნოლოგიებზე წვდომას სასწავლო პროცესის მიღმაც (მაგალითად: პრეზენტაციები, საშინაო დავალებები, ონლაინ ჟურნალი);
- **ისტ-ს პედაგოგის პასუხისმგებლობა** კომპიუტერული ინფრასტრუქტურის გამართულობაზე.

თვითშეფასებისა და ექსპერტების მიერ ვიზუალური დათვალიერების შედეგად დასტურდება, რომ:

- კომპიუტერული ლაბორატორია ფუნქციონირებს სრული დატვირთვით;
- ბიბლიოთეკაში მოწყობილია მცირე საჯარო ტექნიკური სამუშაო სივრცე;
- **საგაკვეთილო ცხრილი** შედგენილია ისე, რომ უზრუნველყოფილია კომპიუტერული რესურსების თანაბარი წვდომა ყველა კლასისთვის;
- სკოლა იყენებს ტექნიკას როგორც გაკვეთილებზე, ასევე **საგანმანათლებლო კვირეულებსა და პროექტულ აქტივობებში**;
- **მოსწავლეებსა და მასწავლებლებს აქვთ წვდომა ტექნოლოგიებზე გაკვეთილების მიღმაც**, სკოლის შიდა წესით განსაზღვრული განრიგის შესაბამისად.

სკოლას გააზრებული აქვს ტექნოლოგიის გამოყენების ღირებულება სწავლა-სწავლების პროცესში:

- აღიარებულია ტექნოლოგიის როლი **მოტივაციისა და ჩართულობის გაზრდაში**;
- ტექნიკური რესურსები განიხილება როგორც **სწავლა-სწავლების ხარისხის გაუმჯობესების საშუალება**;
- სკოლას მომავლისთვის დაგეგმილი აქვს ტექნოლოგიური ბაზის **განახლება და გაფართოება**.

სკოლის ინფორმაციული ტექნოლოგიების ინფრასტრუქტურა არა მხოლოდ ფიზიკურად ხელმისაწვდომია, არამედ **დაწესებულია შესაბამისი წესი**, რომელიც უზრუნველყოფს რესურსების სამართლიან განაწილებას და მიზნობრივ გამოყენებას. პრაქტიკა ამ წესს შეესაბამება, რაც ზრდის ტექნოლოგიების ინტეგრაციის ხარისხს სწავლა-სწავლების პროცესში.

3.6.1 (2) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- ციფრული განვითარების გეგმა;
- კომპიუტერული ტექნიკის ფლობის დოკუმენტაცია;
- კომპიუტერული ლაბორატორიით სარგებლობის წესი და განრიგი

3.6.2. სკოლაში საქმისწარმოება მიმდინარეობს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლაში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი საქმისწარმოების წესი**

სკოლას შედგენილი და დირექტორის მიერ დამტკიცებული აქვს **საქმისწარმოების ერთიანი წესი**, რომელიც ითვალისწინებს შემდეგ კომპონენტებს:

- **დოკუმენტების რეგისტრაციის პროცედურები** (შემოსული, გასული, შიდა დოკუმენტაცია);
- **დოკუმენტების ფორმები და ტიპების კლასიფიკაცია;**
- **პერსონალისა და მოსწავლეთა პირადი საქმეების წარმოების წესი;**
- **დავალებების შესრულების კონტროლის მექანიზმები;**
- **ინფორმაციის გაცემისა და ხელშეკრულებების აღრიცხვის წესი.**

აღნიშნული წესი ითვალისწინებს **საქართველოს ზოგადი განათლების შესახებ კანონს** და მოქმედი ადმინისტრაციული რეგულაციების მოთხოვნებს.

სკოლა ახორციელებს **შერეულ ფორმატში** საქმისწარმოებას:

- ნაწილობრივ იყენებს **ელექტრონულ სისტემას** კორესპონდენციის დასარეგისტრირებლად;
- პარალელურად აწარმოებს **მატერიალურ ჟურნალებს**, მათ შორის:
    - **საერთო ბრძანებების სარეგისტრაციო ჟურნალი;**
    - **საკადრო ბრძანებების ჟურნალი;**

- **შრომითი ხელშეკრულებების სარეგისტრაციო ჟურნალი**;
- **პირადი საქმეების აღრიცხვის დოკუმენტაცია**.

დამუშავებული კორესპონდენციის **ელექტრონული რეესტრი** წარმოდგენილია და ექსპერტების მიერ დადასტურებულია.

დოკუმენტაციის აღრიცხვის ჟურნალები:

- **დანომრილია, აკინძულია, ბეჭედდასმულია** და უფლებამოსილი პირების მიერ ხელმოწერილია;
- უზრუნველყოფილია დოკუმენტაციის სანდოობა და მთლიანობა;
- შეესაბამება საქმისწარმოების შესახებ დადგენილ ადმინისტრაციულ რეგულაციებს.

ექსპერტების ვიზიტისას:

- დადასტურდა, რომ **საქმისწარმოების წესი ფუნქციურად მოქმედია**;
- პერსონალი და ადმინისტრაცია მოქმედებენ წესით განსაზღვრული პროცედურების შესაბამისად;
- **ვიზუალური დათვალიერებითა და დოკუმენტური ანალიზით** დადასტურდა წესის რეალური აღსრულება.

წესში დაფიქსირდა **უმნიშვნელო უზუსტობები** - ჩამოთვლილია ექვსი სახის სარეგისტრაციო ჟურნალი, თუმცა არ არის მკაფიოდ გამიჯნული, რომელია მატერიალური და რომელი - ელექტრონული.
ექსპერტებმა სკოლას მისცეს **პრაქტიკული რჩევა**, რომ განახორციელოს შესწორება წესში და **წარმოაჩინოს ელექტრონული საქმისწარმოების განვითარება ან დაგეგმვა**.

მიუხედავად უზუსტობებისა დოკუმენტში (რომელზეც სკოლამ იმოქმედა), საქმისწარმოების წესი რეალურად ფუნქციონირებს, პრაქტიკა სრულად შეესაბამება წესს და **დოკუმენტაცია სრულად რეგისტრირებულია შესაბამისი კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისად**.

სკოლა უზრუნველყოფს საქმისწარმოების სამართლებრივად გამართულ მართვას - გააჩნია მოქმედი წესი, რომელსაც ემყარება როგორც ელექტრონული, ისე მატერიალური ფორმის დოკუმენტების წარმოება და რეგისტრაცია.
3.6.2 (1) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. **სკოლის მართვაში გამოიყენება თანამედროვე ტექნოლოგიები, მათ შორის დოკუმენტბრუნვის ელექტრონული სისტემა**

სკოლა იყენებს **ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემას EFLOW**, რომელიც უზრუნველყოფს დოკუმენტაციის ეფექტურ რეგისტრაციას, კონტროლს, შენახვასა და სამართლებრივ დაცვას.
EFLOW-ის საშუალებით ხდება:

- შიდა და გარე კორესპონდენციის აღრიცხვა;
- გადაწყვეტილებებისა და ბრძანებების ელექტრონული დამუშავება;
- საქმისწარმოების ეფექტური ორგანიზება და **არქივირების შესაძლებლობა**.

აღნიშნული სისტემა ხელს უწყობს საქმისწარმოების პროცესის **დამუშავების გამჭვირვალობასა და ოპერატიულობას**, რაც მნიშვნელოვნად ამცირებს ბიუროკრატიულ შეფერხებებს.
დოკუმენტბრუნვის გარდა, სკოლის მართვაში ინტეგრირებულია **სხვადასხვა თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგია**, მათ შორის:

- **Eschool** - სკოლების მართვის სახელმწიფო საინფორმაციო სისტემა, რომელიც ითვალისწინებს მოსწავლეთა მონაცემების რეგისტრაციას, მათ შეფასებებსა და მოძრაობას;
- **ელექტრონული ჟურნალი** - უზრუნველყოფს მოსწავლეთა აკადემიური პროგრესის ციფრულად აღრიცხვას;
- **ელ. ფოსტა და ღრუბლოვანი პლატფორმები** (Google Drive, Office 365, Microsoft Teams- გამოიყენება როგორც დირექციის, ისე მასწავლებლების მიერ პროფესიული საქაღალდეების, კურიკულუმების, მასალის გაცვლისა და საერთო თანამშრომლობისთვის.

ტექნოლოგიური საშუალებები სკოლის მიერ გამოყენებულია არა ფორმალურად, არამედ რეალურად, **მუშა პროცესის ორგანიზებისთვის**, რაც დასტურდება როგორც თვითშეფასების დოკუმენტით, ისე **ექსპერტების მიერ ვიზუალურად.**

სკოლა იყენებს ტექნოლოგიებს **სისტემურად და სტრატეგიულად** - დოკუმენტბრუნვა და საქმისწარმოება არ არის იზოლირებული პრაქტიკა, არამედ **ინტეგრირებულია ზოგად მენეჯმენტსა და სასწავლო პროცესში**.
გარდა ადმინისტრირების, ტექნოლოგიური რესურსები გამოიყენება:

- **სასწავლო პროცესის მართვაში**;
- **მასწავლებელთა შეფასებისა და განვითარების პროცესში**;
- **ელექტრონული ჟურნალის წარმოებაში**

სკოლაში დანერგილია ელექტრონული დოკუმენტბრუნვის სისტემა და სხვა თანამედროვე საინფორმაციო ტექნოლოგიები, რომლებიც ეფექტურად გამოიყენება როგორც ადმინისტრაციული, ისე აკადემიური პროცესის წარმართვაში.
ინდიკატორი 3.6.2.2 მოთხოვნა *დაკმაყოფილებულია*

3. **სკოლას აქვს სრულყოფილი პროფილი ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემაში**

სკოლა სრულად იყენებს **ზოგადი განათლების მართვის საინფორმაციო სისტემას (EMIS)** და მასში **დროულად, სიზუსტით და წესების სრული დაცვით** ასახავს როგორც ადმინისტრაციულ, ასევე სასწავლო პროცესთან დაკავშირებულ ინფორმაციას.

სკოლის პროფილში ასახულია:

- სკოლის ბარათის მონაცემები;
- მოსწავლეთა რაოდენობა კლასების მიხედვით;
- მასწავლებელთა სია, მათი კვალიფიკაცია და სტაჟი;
- შერჩეული გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოების სია;
- საკონტაქტო და ინფრასტრუქტურული მონაცემები;
- სხვა შესაბამისი სამართლებრივი ან ტექნიკური ინფორმაცია, რაც EMIS-ს მოითხოვს.

ექსპერტების მიერ სისტემაში მონაცემების გადამოწმებისას დადასტურდა, რომ:

- ინფორმაცია მოცემულია სრულად და განახლებულია;
- ატვირთულია შესაბამისი **მტკიცებულებები**, მათ შორის სკოლის სამართლებრივი სტატუსის, პერსონალის კვალიფიკაციის და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შესახებ;
- სისტემაში არ გამოვლენილა ხარვეზები ან შეუსაბამობები.

სკოლა ასრულებს კანონმდებლობით დაკისრებულ ვალდებულებას - EMIS სისტემაში რეგისტრაცია და მუდმივი განახლება. სისტემის გამოყენება ხდება არა ფორმალურად, არამედ **აქტიურად ადმინისტრირების და ხარისხის უზრუნველყოფის პროცესებში**.

ზემოაღნიშნული პრაქტიკის საფუძველზე დასტურდება, რომ სკოლას აქვს **სრულყოფილი და სრულად ფუნქციონალური პროფილი EMIS-ში**, რაც უზრუნველყოფს მართვის პროცესების გამჭვირვალობას და ეფექტურობას.

3.6.2 (3) ინდიკატორის მოთხოვნა *დაკმაყოფილებულია*

4. **სკოლა დროულად აწვდის ანგარიშებს, უკუკავშირსა და ინფორმაციას საგანმანათლებლო საქმიანობის მარეგულირებელ უწყებებს და თანამშრომლობს მათთან**

სკოლა საქმიანობს **საქმისწარმოების წესით განსაზღვრული პროცედურებისა და ვადების შესაბამისად**, რაც უზრუნველყოფს ანგარიშგების, დოკუმენტაციის წარდგენისა და ინფორმაციის მიწოდების ფორმალიზებასა და ეფექტურობას. არსებობს განსაზღვრული ვადები და ფორმატები შემოსული კორესპონდენციისა და უწყებებთან კომუნიკაციის რეაგირებისთვის.

დასტურდება, რომ სკოლა აქტიურად თანამშრომლობს:

- **საგანმანათლებლო რესურსცენტრთან**, რომელთანაც ურთიერთობა უმეტესად წარმართავს;
- **საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან**, მათ შორის სხვადასხვა პროგრამისა და პროცესის ადმინისტრირებისას;
- სამინისტროს დაქვემდებარებაში არსებულ **საჯარო სამართლის იურიდიულ პირებთან (სსიპ-ებთან)** - მაგალითად, „განათლების მართვის საინფორმაციო სისტემასთან", მანდატურის სამსახურთან, ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოსთან და სხვ.

სკოლა 10 დეკემბრამდე წარადგენს **საჯარო ინფორმაციის გაცემის ანგარიშს** საქართველოს კონსტიტუციით განსაზღვრულ უწყებებთან - პრეზიდენტთან, პრემიერ-მინისტრთან და პარლამენტთან.
ეს პროცესი ასახულია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 49-ე მუხლში და სკოლა ასრულებს კანონით დაკისრებულ ვალდებულებას.

ექსპერტების მიერ ვიზიტისას:

- დადასტურდა ანგარიშებისა და კორესპონდენციის ელექტრონული ფორმატით წარმოება - გამოიყენება EFLOW დოკუმენტბრუნვის სისტემა;
- სკოლის მიერ წარმოებული დოკუმენტაცია ითავსებს ანგარიშგების, რეაგირების, მონაცემთა წარდგენის და შეტყობინების პროცესს.

შედეგად, ნათლად დასტურდება, რომ:

- სკოლა უზრუნველყოფს დროით და შინაარსობრივად სრულყოფილ ანგარიშგებასა და კომუნიკაციას განათლების სექტორის მარეგულირებელ ორგანოებთან;
- იყენებს შესაბამის ელექტრონულ სისტემებს ანგარიშგების სიზუსტისა და არქივაციისთვის;
- ასრულებს საჯარო ინფორმაციის მიწოდების ვალდებულებას კანონით დადგენილი წესით.

3.6.2 (4) ინდიკატორის მოთხოვნა *დაკმაყოფილებულია*

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის EFLOW
- საქმისწარმოების წესი
- მატერიალური ჟურნალები

3.6.3. სკოლა მიზნობრივად წარმართავს საზოგადოებასთან ურთიერთობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლა ახორციელებს საზოგადოების ინფორმირებას და კომუნიკაციას ოფიციალური ვებ გვერდისა/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდისა და სხვა საკომუნიკაციო არხების საშუალებით**

კოლას აქვს მოქმედი ვებ-გვერდი, თუმცა ჯერ არ განთავსებულა პირველადი ინფორმაცია. სკოლის ადმინისტრაცია საზოგადოებასთან კომუნიკაციისთვის აქტიურად იყენებს სოციალურ ქსელ Facebook-ს, სადაც რეგულარულად ქვეყნდება ინფორმაცია სასკოლო ცხოვრებაზე, სასწავლო და არაფორმალურ აქტივობებზე.
საზოგადოებასთან კომუნიკაცია ასევე მიმდინარეობს ღია კარის დღეებით, სკოლის მიერ განსაზღვრული ვიზიტის დღეებითა და უკუკავშირის ფორმების მეშვეობით.
სკოლამ წარმოადგინა საზოგადოებასთან ურთიერთობის პრაქტიკა, რაც აჩვენებს სისტემურ მიდგომას კომუნიკაციის მართვისადმი.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, საიდანაც ირკვევა, რომ დაგეგმილი აქვს შესაბამის უწყებასთან კომუნიკაციის წარმართვა; ვებ-გვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრა; ვებ-გვერდზე სტანდარტით მოთხოვნილი ინფორმციის ასახვა 15.04.2026 - მდე პერიოდში.

სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას გააზიარა მტკიცებულებები, საიდანაც ირკვევა, რომ არსებული შეუსაბამობები აღმოიფხვრა, შესაბამისად,

3.6.3 (1) ინდიკატორის მოთხოვნა **დაკმაყოფილებულია**

2. **სკოლა უზრუნველყოფს მისი საქმიანობის, მათ შორის მის მიერ განხორციელებული საგანმანათლებლო პროგრამების შესახებ მხოლოდ სანდო და უტყუარი ინფორმაციის გავრცელებას**

სკოლის მიერ წარმოდგენილი თვითშეფასების დოკუმენტისა და ვიზიტის პროცესში მიღებული ინფორმაციის მიხედვით, სკოლა საზოგადოების ინფორმირებისთვის იყენებს სხვადასხვა საკომუნიკაციო არხს. მათ შორისაა სკოლის სოციალური ქსელის გვერდი, მშობელთა კრებები, სამეურვეო საბჭოს სხდომები და სხვა შეხვედრები, სადაც საზოგადოებას მიეწოდება ინფორმაცია სკოლის საქმიანობის, მიმდინარე სასწავლო პროცესისა და დაგეგმილი აქტივობების შესახებ.

სკოლის ადმინისტრაციის განმარტებით, საგანმანათლებლო პროგრამებთან, სასწავლო პროცესთან და სასკოლო აქტივობებთან დაკავშირებული ინფორმაცია საჯაროდ ვრცელდება სკოლის ოფიციალური საკომუნიკაციო არხების საშუალებით. ვიზიტის პროცესში ჩატარებული ინტერვიუებით დადასტურდა, რომ სკოლა ცდილობს გაავრცელოს სანდო და გადამოწმებული ინფორმაცია სასკოლო საზოგადოების წევრებსა და ფართო საზოგადოებაში.

3.6.1.(2) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **საზოგადოებასთან კომუნიკაციის პროცესში სხვადასხვა არხით მიღებულ უკუკავშირს სკოლა იყენებს საკუთარი საქმიანობის ხარისხის გასაუმჯობესებლად**

ვიზიტის პროცესში ჩატარებული ინტერვიუებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შესწავლის შედეგად დადგინდა, რომ სკოლა საზოგადოებასთან კომუნიკაციისთვის იყენებს სხვადასხვა ფორმატს, მათ შორის მშობელთა კრებებს, სამეურვეო საბჭოს სხდომებს, მასწავლებელთა შეხვედრებსა და სოციალური ქსელის პლატფორმებს.

აღნიშნული კომუნიკაციის პროცესში სკოლა იღებს უკუკავშირს მოსწავლეებისგან, მშობლებისგან და მასწავლებლებისგან, რომელიც განიხილება ადმინისტრაციისა და შესაბამისი კოლეგიალური ორგანოების მიერ. სკოლის წარმომადგენლებმა

აღნიშნეს, რომ მიღებული უკუკავშირის საფუძველზე შესაძლებელია გარკვეული ცვლილებების განხორციელება სასწავლო პროცესის ორგანიზებაში ან სასკოლო აქტივობების დაგეგმვაში.

3.6.1.(3) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლას აქვს მოქმედი ვებ გვერდი/ვებ გვერდზე შესაბამისი გვერდი, რომელზეც განთავსებულია ინფორმაცია ქართულ ენაზე, ასევე იმ ენაზე, რომელზეც ახორციელებს სწავლებას**

ვიზიტის პროცესში დადგინდა, რომ სკოლას შექმნილი აქვს ვებგვერდი. თუმცა ვებგვერდზე წარმოდგენილია მხოლოდ EMIS-ის სისტემიდან ავტომატურად გადატანილი ზოგადი ინფორმაცია და არ არის განთავსებული სკოლის საქმიანობასთან დაკავშირებული სხვა მნიშვნელოვანი მონაცემები.

ვებგვერდი ფაქტობრივად არ ფუნქციონირებს როგორც საზოგადოების ინფორმირების სრულფასოვანი პლატფორმა და არ უზრუნველყოფს სკოლის საქმიანობის შესახებ ინფორმაციის სისტემურ და სრულყოფილ წარმოდგენას.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვითაც დაგეგმილია:

- შესაბამის უწყებასთან კომუნიკაციის წარმართვა;
- ვებგვერდის ადმინისტრირებაზე პასუხისმგებელი პირის განსაზღვრა;
- ვებგვერდზე ავტორიზაციის სტანდარტით მოთხოვნილი ინფორმაციის ეტაპობრივი განთავსება.

აღნიშნული ღონისძიებების განხორციელების ვადად განსაზღვრულია **2026 წლის 15 აპრილი**.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით დგინდება, რომ ამ ეტაპზე სკოლას არ აქვს სრულფასოვნად ფუნქციონირებადი ვებგვერდი.

სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას გააზიარა მტკიცებულებები, საიდანაც ირკვევა, რომ არსებული შეუსაბამობები აღმოიფხვრა, შესაბამისად,

3.6.1.(4) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. **ვებ გვერდი/ვებ გვერდის შესაბამისი გვერდი შეიცავს შემდეგ ინფორმაციას სკოლის შესახებ: მისია, ხედვა, ღირებულებები, სტრუქტურა, პროგრამ(ებ)ის სახელწოდებები, ამ პროგრამებზე ჩარიცხვის პროცედურები და მისანიჭებელი კვალიფიკაცია**

(განათლების დამადასტურებელი დოკუმენტი), სასწავლო პროცესთან დაკავშირებული აუცილებელი მოთხოვნები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ანგარიში, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები და საკონტაქტო ინფორმაცია

ვიზიტის პროცესში დადგინდა, რომ სკოლის ვებგვერდზე არ არის განთავსებული ავტორიზაციის სტანდარტით მოთხოვნილი ინფორმაცია, მათ შორის: სკოლის მისია, ხედვა და ღირებულებები, ორგანიზაციული სტრუქტურა, საგანმანათლებლო პროგრამების აღწერა, ჩარიცხვის პროცედურები, მოსწავლეთა მხარდაჭერის სერვისები, გასაჩივრების მექანიზმები, სტრატეგიული და სამოქმედო გეგმების შესრულების შედეგები, ფინანსური მდგრადობის შესახებ ინფორმაცია და სხვა აუცილებელი მონაცემები.

როგორც სკოლამ განმარტა, ვებგვერდი ახლახან შეიქმნა და ამ ეტაპზე მიმდინარეობს მისი შინაარსობრივი განვითარება. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, რომლის მიხედვითაც აღნიშნული ინფორმაცია ეტაპობრივად განთავსდება ვებგვერდზე **2026 წლის 15 აპრილამდე**.

ვინაიდან ამ ეტაპზე ვებგვერდზე სტანდარტით მოთხოვნილი ინფორმაცია წარმოდგენილი არ არის, ინდიკატორის მოთხოვნა ვერ დაკმაყოფილდა.

სკოლამ არგუმენტირებული პოზიციის წარმოდგენისას გააზიარა მტკიცებულებები, საიდანაც ირკვევა, რომ არსებული შეუსაბამობები აღმოიფხვრა, შესაბამისად,

3.6.1.(5) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
სკოლის თვითშეფასების დოკუმენტი
• სკოლის სოციალური ქსელის (Facebook) გვერდი
• სკოლის ვებგვერდი
• სკოლის მიერ წარმოდგენილი შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა (ვებგვერდის განვითარებასთან დაკავშირებით)
• სასკოლო საზოგადოების წევრებთან (ადმინისტრაცია, მასწავლებლები, მშობლები) ჩატარებული ინტერვიუები
• სკოლის მიერ წარმოდგენილი საკომუნიკაციო და საინფორმაციო მასალები (საჯარო განცხადებები, შეხვედრების პრაქტიკა)
შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

3.7. ფინანსური რესურსები
3.7.1. სკოლა ფინანსურად მდგრადია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის ფინანსური რესურსით უზრუნველყოფილია სამოქმედო გეგმის განხორციელება**

სკოლამ წარმოადგინა 2025 წლის და 2026 წლის მოქმედი ბიუჯეტები, 2025 წლის ფინანსური ანგარიში და მათთან შესაბამისობაში მყოფი სამოქმედო გეგმა ფინანსური ხარჯების შესაბამისობის დადგენის ანალიზისთვის. წარმოდგენილი ფინანსური დოკუმენტაცია ასახავს, რომ სკოლა ფლობს საჭირო ფინანსურ რესურსებს დაგეგმილი საგანმანათლებლო და ინფრასტრუქტურული აქტივობების შესასრულებლად. ფინანსური რესურსის ძირითადი წყაროა ვაუჩერული დაფინანსება. დამატებითი ეკონომიკური შემოსავალი სკოლას არ გააჩნია.

3.7.1 (1) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

2. **სკოლას აქვს ფინანსური რესურსების მართვის (დაგეგმვის, განკარგვის, მონიტორინგის და ა.შ.) სისტემა**

ფინანსური რესურსების დაგეგმვის პროცესი სკოლის მიერ ხორციელდება მომავალი წლის სავარაუდო შემოსავლებისა და პრიორიტეტების გათვალისწინებით.

შემოსავლების და ხარჯების შესახებ ინფორმაცია ასახულია სკოლის ბიუჯეტში, რომელიც განიხილება და დამტკიცდება სამეურვეო საბჭოს მიერ.

ფინანსური პროცესების გამჭვირვალობას უწყობს ხელს შესყიდვების წლიური გეგმა, რომელიც დაყრდნობილია სკოლაში კათედრებისა და ადმინისტრაციის მოთხოვნებზე.

მიმდინარეობს პერიოდული მონიტორინგი და ფინანსური ანგარიშგება. ანგარიშები ხელმისაწვდომია სკოლის მართვის სტრუქტურებისთვის, რაც ზრდის ფინანსური მართვის პასუხისმგებლიანობასა და ღიაობას.

3.7.1 (1) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია

.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- სკოლის 2025 წლის ბიუჯეტი
- სკოლის 2026 წლის ბიუჯეტი
- ერთწლიანი სამოქმედო გეგმა
- შესყიდვების დოკუმენტაცია
- ხელშეკრულებები
- სამეურვეო საბჭოს ოქმები
- საინვენტარიზაციო დოკუმენტაცია
- სკოლის დირექტორის ინდივიდუალურ-სამართლებლივი აქტები

შეფასება:

- *გთხოვთ, ასახოთ შეფასება.*
- *შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.*

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

4. მოსწავლეთა მხარდაჭერა

4.1. მოსწავლეთა უფლებების დაცვა

4.1.1. მოსწავლეთა უფლებები და კანონიერი ინტერესები დაცულია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის შიდა რეგულაციებით ხორციელდება მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვისა და გარანტიების უზრუნველყოფა**

სსიპ - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ნინიგორის საჯარო სკოლა მოსწავლეთა უფლებების დაცვა ხდება ისეთი მნიშვნელოვანი შიდა რეგულაციით, როგორიცაა სკოლის შინაგანაწესი, დოკუმენტი „მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვა“ და სასკოლო სასწავლო გეგმა. ასევე სკოლასა და მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის გაფორმებული ხელშეკრულება.
გარდა ამისა სკოლაში ფუნქციონირებს სკოლის სამეურვეო საბჭო, სკოლას ჰყავს დისციპლინური კომიტეტი, უსაფრთხოებაზე პასუხისმგებელი პირი, სკოლის ექიმი, თითოეული კლასის დამრიგებელი. სკოლაში ასევე არის მანდატურის სამსახური.
სასკოლო საგნები „მე და საზოგადოება“, „მოქალაქეობა“ უზრუნველყოფს მოსწავლეთა ცნობიერების ამაღლებას და, შედეგად, მოსწავლეთა კანონით გათალისწინებული უფლებების დაცვას.
შინაგანაწესში დეტალურადაა საუბარი მოსწავლის უფლებებსა და მოვალეობებზე. ხოლო დოკუმენტი „მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვა“ აღწერს როგორც მოსწავლის, ასევე მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის და ყველა პერსონალის უფლებებს. აღნიშნული დოკუმენტი შედგება შემდეგი მუხლებისგან: მუხლი 1. ზოგადი დებულებები; მუხლი 2. მოსწავლისა და მისი მეურვის კანონიერი უფლებები; მუხლი 3. სკოლის შინაგანაწესი; მუხლი 4. სასკოლო სასწავლო გეგმა; მუხლი 5. სხვა უფლებები; მუხლი 6. სკოლაში მოსწავლის ან მოსწავლის მეურვის მიერ სკოლის მხრიდან მათი კანონიერი უფლებების დარღვევის გასაჩივრება.
მოსწავლისა და კანონიერი წარმომადგენლის უფლებები, ასევე დეტალურადაა გაწერილი ხელშეკრულებაში, რომელიც ფორმდება სკოლასა და მოსწავლის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს შორის.
სკოლას შემუშავებული აქვს სხვა მრავალი დოკუმენტი, რომელიც ემსახურება მოსწავლეთა უფლებების დაცვას. ისეთი, როგორიცაა მაგალითად, ტრანზიციის წესი, ,,ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია” და სხვა.

4.1.1.(1) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციები გამჭვირვალეა და გაზიარებულია ინფორმაციის გავრცელებისთვის სკოლა იყენებს სასკოლო საზოგადოებასთან**

სსიპ - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ნინიგორის საჯარო სკოლის მოსწავლის კანონით გათვალისწინებული უფლებების დაცვის სასკოლო რეგულაციებს იცნობს სრული სასკოლო საზოგადოება. ინფორმაციის გავრცელება-გაზიარებისთვის სკოლა იყენებს:

- ✓ საინფორმაციო დაფას - სკოლის შენობაში ყველასათვის ხელმისაწვდომი ადგილი.
- ✓ სოციალურ ქსელს - შიდა ჯგუფებს.
- ✓ მშობელთა კრებებს.

4.1.1.(2) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **მოსწავლესთან/მის კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია კანონმდებლობის შესაბამისი გამჭვირვალე და მკაფიო ხელშეკრულება**

სსიპ - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ნინიგორის საჯარო სკოლის ყველა მოსწავლის მშობელთან/კანონიერ წარმომადგენელთან გაფორმებულია ხელშეკრულება.

ხელშეკრულების გაფორმებამდე დაინტერესებულ მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს სასკოლო ცხოვრების გარშემო ინფორმაციას აწვდის დამრიგებელი. საჭიროების შემთხვევაში, ერთვება დირექციის წარმომადგენელი.

ხელშეკრულება შედგება შემდეგი მუხლებისგან: 1.ზოგადი დებულება; 2.ხელშეკრულების საგანი; 3.ხელშეკრულების მხარეთა უფლებები და მოვალეობები; 4. პასუხისმგებლობა; 5.ხელშეკრულების მოქმედების ვადა და ხელშეკრულების შეწყვეტის პირობები; 6.სხვა პირობები; 7. მხარეთა რეკვიზიტები და ხელმოწერა. თითოეული მუხლი მკაფიოდ და დეტალურად აღწერს შინაარსს, რაზედაც თანხმობას ორივე მხარე ადასტურებს ხელმოწერით.

4.1.1.(3) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. სკოლის შინაგანაწესი;
2. სასკოლო სასწავლო გეგმა;
3. „მოსწავლის, პერსონალის, მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის კანონიერი უფლებების დაცვა“;
4. ტრანზიციის წესი;
5. ,,ბავშვის მიმართ განხორციელებულ ძალადობასთან დაკავშირებული შიდა ინსტრუქცია”.

4.1.2. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო მექანიზმები

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას განსაზღვრული აქვს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის გამჭვირვალე და მკაფიო კანონმდებლობის შესაბამისი მექანიზმები**

სსიპ - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ნინიგორის საჯარო სკოლას დამტკიცებული აქვს მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი. აღნიშნულ წესი შედგება 5 თავისა და 17 მუხლისაგან. პირველი თავი ეხება სკოლაში მოსწავლეთა ჩარიცხვას, მეორე თავი - სტატუსის შეჩერებას, მესამე - სტატუსის აღდგენას, მეოთხე -ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლეთა მობილობას, მეხუთე - კლასისა და საფეხურის დაძლევას. აღნიშნულიდან ჩანს, რომ დოკუმენტში დეტალურადაა გაწერილი ინდიკატორით მოთხოვნილი მექანიზმები. ადგილზე ვიზიტის დროს გადამოწმდა წესის თანამხად სკოლის მხრიდან პრაქტიკულად განხორციელებული ნაბიჯები - ჩარიცხვისა და ამორიცხვის ბრძანებები, მობილობა, სტატუსის შეჩერება (45 სასწავლო დღის სკოლაში არ გამოცხადების გამო. შემოწმდა დირექტორის მოადგილის მიერ დაწერილი სამსახურებრივი ბარათიც) და სტატუსის აღდგენა.

4.1.2.(1) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა იცავს მოსწავლის ჩარიცხვისა და საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის მექანიზმებს**

სსიპ - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ნინიგორის საჯარო სკოლა, კანონმდებლობის შესაბამისად, ახორციელებს მოსწავლის ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის პროცედურებს. სკოლაში მოსწავლეთა მიღება ხდება ყოველგვარი დისკრიმინაციის გარეშე, დადგენილი ნორმებისა და პროცედურების შესაბამისად. პირველკლასელთა რეგისტრაცია ხორციელდება მინისტრის მიერ დადგენილი ვადებისა და ეტაპების მიხედვით. სკოლაში მობილობა ხორციელდება ,,ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულებაში მოსწავლეთა მობილობის წესის დამტკიცების შესახებ'' საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის ბრძანებისა და სკოლის შიდა რეგულაციის დირექტორის 2025 წლის 24 დეკემბრის ბრძანება N 2-87 მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესის შესაბამისად.

4.1.2.(2) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლის მიერ განსაზღვრული მომსახურების სახეების, პირობების, პროგრამების და მათი სპეციფიკის, მომსახურებისათვის დადგენილი საფასურების (არსებობის შემთხვევაში), სკოლის შიდა პოლიტიკის და მოსწავლის მოსალოდნელი ქცევის შესახებ ინფორმაცია საჯაროდაა ხელმისაწვდომი**

სსიპ - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ნინიგორის საჯარო სკოლას ამ ეტაპზე არ აქვს განსაზღვრული ფასიანი დამატებითი მომსახურების სახეები, პირობები, პროგრამები.
სკოლის დირექციის განმარტებით, ამ დანაკლისს მოსწავლეებს უვსებს ლაგოდეხის კულტურის, სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა განვითარების ცენტრის მხრიდან შემოთავაზებული საწრეო მეცადინეობები და ინიცირებული პროექტები.
სკოლა ასევე ფიქრობს სასკოლო ბუფეტისთვის იჯარის წესით ფართის გაცემაზე.
დირექციამ ასევე ისაუბრა, რომ პერიოდულად მოსწავლეების მოთხოვნებისა თუ საჭიროებების დასაკმაყოფილებლად თავად უკავშირდება შესაბამის სტრუქტურებს.
4.1.2.(3) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლის ან მისი პერსონალის მიერ გავრცელებული ინფორმაცია პროგრამების, სერვისების, აქტივობების, რესურსების შესახებ არის კანონმდებლობის შესაბამისი, გამჭვირვალე, განახლებული და არადისკრიმინაციული**

სსიპ - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ნინიგორის საჯარო სკოლის მიერ გავრცელებული ინფორმაცია, რომელსაც განათავსებენ საინფორმაციო დაფებზე, სოციალურ მედიაში სრულად შეესაბამება კანონმდებლობას. არადისკრიმინაციულია და ხელმისაწვდომია ნებისმიერი დაინტერესებული მხარისათვის.
სკოლას აქვს შეთანხმება, როგორც სკოლის პერსონალთან, ასევე, მშობლებთან/კანონიერ წარმომადგენლებთან პერსონალური ინფორმაციის გამოყენების შესახებ (საგანმანათლებლო სერვისის მიწოდების ფარგლებში, საზოგადოების ინფორმირების, წარმატებული პრაქტიკის გაზიარების ან/და სკოლის პოპულარიაზაციის მიზნით).

სკოლაში არაფორმალური განათლების მიმართულებით ფუნქციონირებს “მკითხველთა კლუბი”, რომელიც ინიცირებულია სკოლის თვითმართველობის მიერ. კლუბს ხელმძღვანელობს ქართული ენისა და ლიტერატურის პედაგოგი. აღნიშნული კლუბი მონაწილეობას იღებს სხვადასხვა აქტივობებში. მაგალითად, მიმდინარე წელს მონაწილეობა მიიღო ლაგოდეხის მერიის მხრიდან დაორგანიზებულ “ლიტერატურულ კონკურსში”.
საბაზო-საშუალო საფეხურის მოსწავლეები აქტიურად არიან ჩართულნი პროექტში “რა? სად? როდის?”.
სკოლა ყოველწლიურად ატარებს მინი-ფეხბურთის შიდა ჩემპიონატს. თამაშდება მათივე კურსდამთავრებულისა და აგვისტოს ომის გმირის - შმაგი ნოზაძის სახელობის თასი.

სსიპ - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ნინიგორის საჯარო სკოლა ემზადება ლაგოდეხის კერძო სკოლის "ჩემი ევროპული სკოლა" მიერ შემოთავაზებულ ინგლისური ენის პროექტში ჩასართველად.

4.1.2.(4) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. მოსწავლეთა ჩარიცხვის, საფეხურის დაძლევის, მობილობის, სტატუსის შეჩერებისა და შეწყვეტის წესი.
2. მშობელთა/კანონიერ წარმომადგენელთა თანხმობები.

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒ შეესაბამება

☐ მეტწილად შეესაბამება

☐ ნაწილობრივ შეესაბამება

☐ არ შეესაბამება

4.2. მოსწავლეთა მხარდაჭერის ღონისძიებები

4.2.1. სკოლაში ფუნქციონირებს მოსწავლეთა აკადემიური და ადმინისტრაციული მხარდაჭერის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას აქვს მოსწავლის სასწავლო გარემოსთან ადაპტაციის ხელშემწყობი მექანიზმი**

სსიპ - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ნინიგორის საჯარო სკოლამ წარმოადგინა ტრანზიციის დებულება, რომელშიც მოკლედ მიმოხილულია მოსწავლის სასკოლო ცხოვრებასთან ადაპტაციის მნიშვნელოვანი ფაქტორები.

ადგილზე ვიზიტის დროს ინტერვიუირებით გამოიკვეთა, რომ მოსწავლეთა ადაპტაციისთვის სკოლას მართლაც არაერთი ნაბიჯი აქვს გადადგმული:

- ✓ საქმისმწარმოებელი აცნობს დაინტერესებულ მოსწავლესა და მის მშობელს/კანონიერ წარმომადგენელს სასკოლო ცხოვრებასთან დაკავშირებულ მნიშვნელოვან ინფორმაციას.
- ✓ სასკოლო გარემოსთან ადაპტაციისთვის სკოლას გამოყოფილი ჰყავს სკოლის დამრიგებლები.
- ✓ სწავლის დაწყებამდე მოსწავლეები ეცნობიან სასწავლო გარემოს.
- ✓ დამრიგებლები ახალ მოსწავლეებს აცნობენ კლასელებს, რთავენ სხვადასხვა ღონისძიებაში.
- ✓ სკოლის გარემო ადაპტირებულია, ასევე დამონტაჟებულია ლიფტი.

სკოლას მიეცა რჩევა: სასურველია, ცვლილება შევიდეს ტრანზიციის დებულებაში და დაკონკრეტდეს დეზაპტაციის ნიშნები და გაიცეს შესაბამისი რეკომენდაციები.

4.2.1.(1) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. სკოლა სწავლის დაწყების მომენტიდან ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან

სსიპ - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ნინიგორის საჯარო სკოლა ხელს უწყობს მოსწავლეთა ადაპტაციას სასწავლო გარემოსთან:

- ✓ ახალ სასწავლო წელს პირველკლასელების მისაღებად სკოლა ატარებს ღონისძიებას.
- ✓ სკოლა აქტიურად თანამშრომლობს ახლომდებარე საბავშვო ბაღებთან.
- ✓ დამრიგებელი გადმომსვლელ მოსწავლეებს უქმნის პოზიტიურ გარემოს, აცნობს ახალ კლასს და საკუთარი თავის წარდგენის საშუალებას აძლევს.
- ✓ ახალ მოსწავლეს სკოლაში თანატოლებიც უწევენ მეგზურობას, რაც აადვილებს მის ადაპტაციას კლასთან და სკოლასთან.

4.2.1.(2) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. მოსწავლე სკოლისგან იღებს სათანადო კონსულტაციასა და მხარდაჭერას აკადემიური მიღწევების გასაუმჯობესებლად

სსიპ - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ნინიგორის საჯარო სკოლა მოსწავლეთა მხარდამჭერია.

მიმდინარე წელს სკოლამ დაარეგისტრირა მოსწავლეები წინმსწრები ექსტერნის გამოცდაზე და შესაბამისი კონსულტაციაც გაუწია.

აკადემიური ჩამორჩენის შემთხვევაში, მასწავლებლები დამატებით ამეცადინებენ მოსწავლეებს, რომ შეძლონ ძირითადი საგნობრივი სამიზნე ცნებების მიღწევა.

სკოლის ძლიერი მხარეა დიფერენცირებული მიდგომებით მუშაობა. აღსანიშნავია, რომ სკოლაში 2 კლასკომპლექტია (გურგენიანის სკოლის I-IV კლასების მოსწავლეები, რომელებიც განაწილებულნი არიან 2 კლასში - I-III და II-IV კლასები).
ასევე სკოლას დიდი გამოცდილება აქვს კომპლექსური დავალებების წარმართვის, რაც მოსწავლეთა ჰოლისტური შეფასებისა და მხარდაჭერის ნათელი მაგალითია. მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლების მიზნით ხდება სასკოლო ცხოვრებაში აქტიურად ჩართული მოსწავლეების წახალისება, მათი დაჯილდოება სიგელებით.
ამ ეტაპზე სკოლას სასკოლო სასწავლო გეგმით განსაზღვრული არ აქვს წლიური გამოცდები. მართალია, წელს არ ჰყოლიათ არც სემესტრული ნიშნის ამაღლების, არც საშემოდგომო გამოცდისა და გაცდენების ექსტერნის ფორმით ჩაბარების მსურველი მოსწავლეები და შესაბამისი კონსულტაციები ამ მიმართულებით არ გაუწევიათ, თუმცა სკოლას აქვს საშემოდგომო, სემესტრული ნიშნის ამაღლებისა და გაცდენების გამო ექსტერნის დროს მოსწავლეთა კონსულტირებისა და მხარდაჭერის გამოცდილება.
მომდევნო სასწავლო წლისთვის სკოლა გეგმავს სადიაგნსოტიკო წერების ჩატარებას. ინტერვიუირების დროს სკოლის დირექტორმა აღნიშნა, რომ ამ მიზნით ის კონსულტირებას გაივლის ლაგოდეხის N1 საჯარო სკოლასთან, რომლისთვისაც სადიაგნოსტიკო წერების წარმართვა უკვე ჩვეული პრაქტიკაა.

4.2.1.(3) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. **სკოლა მოსწავლეს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას კანონმდებლობით გათვალისწინებული უფლებების რეალიზებასთან დაკავშირებით**

სსიპ - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ნინიგორის საჯარო სკოლა მოსწავლეებს გონივრულ/კანონმდებლობით დადგენილ ვადებში უწევს ადმინისტრაციულ მხარდაჭერას: თვითმართველობის და, ზოგადად, მოსწავლეთა მიმართვის საფუძველზე ურთიერთთანამშრომლობს სხვადასხვა რგოლთან და გასცემს შესაბამის სიტყვიერ თუ წერილობით მოთხოვნას.
საჭიროების შემთხვევაში მშობლის/კანონიერი წარმომადგენლის განცხადების საფუძველზე გასცემს ცნობას/ დახასიათება/რეკომენდაციას/ნიშნების ფურცელს.
მიმდინარე წელს სკოლის დირექციამ დააფინანსა თვითმართველობის მხირდან ინიცირებული პროექტი "ჯანსაღი ცხოვრების წესი" (კალათბურთის ფარი შეიძინეს და ემზადებიან ფარის სპორტულ დარბაზში დასაკიდებლად).

4.2.1.(4) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. **სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას**

სსიპ - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ნინიგორის საჯარო სკოლა კანონმდებლობით დადგენილი წესით და სათანადო კვალიფიკაციის მქონე პერსონალის მეშვეობით უზრუნველყოფს დამატებითი/არაფორმალური აქტივობების წახალისებასა და მოსწავლეთა ინიციატივების მხარდაჭერას.

ადგილზე ვიზიტის დროს გაირკვა, რომ სკოლას ჰყავს აქტიური თვითმართველობა, რომლის მიმართვის საფუძველზე სკოლა მუდამ მზადაა მათი ინიციატივების მხარდასაჭერად მიიღოს შესაბამისი ზომები - ეწყობა ექსკურსიები, ლაშქრობები.
მიმდინარე წელს მოეწყო საქველმოქმედო აქცია თვითმართველობისა და მუსიკის მასწავლებლის ორგანიზებით. აქციის მიზანი სოციალურად დაუცველი ოჯახების მხარდაჭერა იყო. გაიმართა მუსიკალური საღამო. მასწავლებლებმა სიმბოლურად ბილეთის საფასური სკოლის ფოიეში მდგარ ყუთში შეაგროვეს. მშობლებმა სხვადასხვა პროდუქტი მიიტანეს. შეგროვებული თანხა და პროდუქტი გადაეცა წინასწარ შერჩეულ ოჯახებს.

აღსანიშნავია, რომ სკოლა მოსწავლეებსა და მათ მშობლებს ვერ სთავაზობს მე-4 კლასის ბოლოს არჩევანს 2 უცხოურ ენას შორის. მიზეზი სათანადო კადრის არარსებობაა. თუმცა მნიშვნელოვანია ის ფაქტიც, რომ თემში ბევრი რუსულენოვანი ოჯახია, ან შერეული ოჯახები, სადაც ოჯახში ერთ-ერთი მშობელი რუსულ ენაზე ლაპარაკობს. შესაბამისად, სასკოლო საზოგადოებას დიდი მოთხოვნა სწორედ რუსული ენის სწავლაზე აქვს.
X-XI კლასებში მოსწავლეები არჩევანს აკეთებენ სახვითი და გამოყენებითი ხელოვნებისა და მუსიკის პროექტებს შორის.
ადგილზე ვიზიტის დროს კათედრების წარმომადგენლებმა გაიხსენეს არაერთი ინიციატივა, რომლის მხარდაჭერა სკოლის ადმინისტრაციის მხრიდან მოხდა: სკოლის ეზოში შეიღება სკამები.

სკოლას მიეცა რჩევა: სასურველია, სკოლამ ვაკანსია გამოაცხადოს და ეძებოს მეორე უცხო ენის მასწავლებელი, რომ მეოთხე კლასის მოსწავლეებსა და მათ მშობლებს/კანონიერ წარმომადგენლებს შესაძლებლობა მიეცეთ ორ უცხო ენას შორის არჩევანის გაკეთების.
4.2.1.(5) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

6. **მოსწავლეთა/დაინტერესებულ მხარეთა უკუკავშირის საფუძველზე სკოლა აუმჯობესებს მოსწავლეთა მომსახურებას**

სსიპ - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ნინიგორის საჯარო სკოლის მასწავლებლები მოსწავლეებისგან, მშობლებისგან/კანონიერი წარმომადგენლებისგან იღებენ უკუკავშირს ცალკეული აქტივობის, გაკვეთილის, ან მთლიანი სასწავლო პროცესის მიმდინარეობის შესახებ. მიღებულ უკუკავშირს სკოლა აანალიზებს და იყენებს დახვეწის/ხარისხის გაზრდის მიზნით. კერძოდ, ყოველწლიურად ზრდის კათედრებს შორის ურთიერთთანამშრომლობას და ინტეგრირებულ პროექტებს.

უკუკავშირის მისაღებად სკოლა ხშირად იყენებს ელექტრო ზარს იმ მშობლებისგან, რომელებიც ემიგრაციაში არიან.

4.2.1.(6) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.
ტრანზიციის დებულება
2025-2026 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა
2025-2026 სასწ.წ. სამოქმედო გეგმა
საპროექტო განაცხადი „ჯანსაღი ცხოვრების წესი“
თამაშის „რა? სად? როდის?“ დებულება

4.2.2. სკოლაში უზრუნველყოფილია კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურება ხელმისაწვდომია მოსწავლეთათვის**

სსიპ - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ნინიგორის საჯარო სკოლა ზრუნავს მოსწავლეთა კარიერულ დაგეგმვასა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურებაზე.

ადგილზე ვიზიტის დროს ინტერვიუირებით დადგინდა, რომ სკოლა თანამშრომლობს პროფესიულ სასწავლებელთან - კოლეჯ “აისთან”. კოლეჯი შეასწავლის სატყეო საქმეს, მებაღეობას, თაბაშირ-მუყაოზე მუშაობას და ა.შ.

მიმდინარე წელს კოლეჯ "აისის" ინიციატივით ჩატარდა პროექტი ელექტროობაში. კოლეჯმა თავად მიიტანა სკოლაში სხვადასხვა ხელსაწყო (მიქსერები, ელექტრო უთოები და ა.შ.). პროექტში ჩაერთო სკოლის ფიზიკის მასწავლებელი. პროექტის ფარგლებში მოსწავლეებმა ისწავლეს ელექტრო მოწყობილობებთან პრაქტიკული საქმიანობა (დაშლა-აწყობა). მოსწავლეებს გადაეცათ სერტიფიკატები.

კარიერული დაგეგმვის ნაწილში სკოლა ხშირად იღებს ინფორმაციას რესურსცენტრიდან. მიღებულ ინფორმაციას დამრიგებლები აწვდიან მოსწავლეებსა და მათ მშობლებს. დაინტერესებული მოსწავლეები სკოლას მიჰყავს ადგილზე და აცნობს სხვადასხვა პროფესიას. ტრანსპორტირებას უზრუნველყოფს სკოლა.

სკოლას მიეცა რჩევა: სასურველია, მომდევნო 2026-2027 სასწავლი წლისთვის სკოლამ ერთწლიან სამოქმედო გეგმაში გაითვალისწინოს კარიერული დაგეგმვისა და პროფესიული ორიენტაციის მომსახურებასთან დაკავშირებული გადასადგმელი ნაბიჯები.
ასევე სკოლამ შეისწავლოს კურსდამთავრებულთა სტატისტიკა, იკვლიოს საშუალო საფეხურის მოსწავლეთა ინტერესები და ამგვარად შესთავაზოს კარიერული დაგეგმვის კუთხით საინფორმაციო შეხვედრები.
4.2.2.(1) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლა მუდმივად აწვდის მოსწავლეებს/მათ კანონიერ წარმომადგენლებს განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან დაკავშირებით**

სსიპ - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ნინიგორის საჯარო სკოლა მოსწავლეებს, დამრიგებლებისა და საგნის მასწავლებლების საშუალებით აწვდის განახლებულ და სანდო ინფორმაციას ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის დასრულების შემდგომი კარიერული განვითარების შესაძლებლობებთან. კერძოდ, ინფორმაციას სკოლა იღებს განათლების სამინისტროდან, რესურსცენტრიდან, ადგილობრივი თვითმართველობის ორგანოებიდან - მერია და საკრებულო.
4.2.2.(2) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **სკოლა მომსახურების ხარისხის გაუმჯობესების დაგეგმვის პროცესში ითვალისწინებს გაწეული მომსახურების შეფასების შედეგებს**

სსიპ - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ნინიგორის საჯარო სკოლა პერიოდულად მონიტორინგს უწევს და აფასებს გაწეულ მომსახურებას. ინტერვიუირების დროს სკოლის პედაგოგებმა და დირექციამ ისაუბრეს, რომ აპირებენ კურსდამთავრებულთა სტატისტიკის კვლევას (რამდენმა ჩააბარა უმაღლეს სასწავლებელში, როგორი თანადაფინანსება მიიღეს სახელმწიფოს მხრიდან, რამდენმა გადაწყვიტა სწავლის გაგრძელება პროფესიულ სასწავლებელში.), რაც მათ დაეხმარება, აღნიშნული მომსახურების ხარისხის კიდევ უფრო მეტად გაზარდონ.

4.2.2.(3) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. 2025-2026 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა
2. სადამრიგებლო პროგრამები
3. ნინიგორის საჯარო სკოლის წერილი სსიპ კოლეჯ „აისთან“ სკოლაში პროფესიული უნარების განვითარების კურსის ელექტროობაში განხორციელების თაობაზე.

4.2.3. სსსმ მოსწავლეთა მომსახურება ხორციელდება მათი საუკეთესო ინტერესების გათვალისწინებით და შეესაბამება საქართველოს კანონმდებლობას

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლას შემუშავებული აქვს სსსმ მოსწავლესთან მუშაობის მექანიზმი**

სსიპ - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ნინიგორის საჯარო სკოლის სასკოლო სასწავლო გეგმა არეგულირებს ინკლუზიური განათლების საკითხებს, განსაზღვრავს სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეებთან მუშაობის მიმართულებას. სკოლას შემუშავებული აქვს: ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა, ინტერვენციის გეგმა. ასევე სკოლას ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფი ჰყავს შექმნილი. სკოლაში სსსმ მქონე მოსწავლეთა ადაპტირებისათვის შესაფერისი გარემოა. პირველ სართულზე განთავსებულია რესურსოთახი. რესურსოთახისთვის ცალკეა გამოყოფილი კომპიუტერი, პრინტერი, მაგნიტური დაფა, ლოტოები, მოძრავი ანბანი, დინამიკი და ა.შ. სკოლას აქვს ადაპტირებული სველი წერტილი, ხელმისაწვდომია

თავისუფალი გადაადგილება პანდუსისა და ლიფტის მეშვეობით. სკოლაში 2 ლიფტია. პირველი სართულიდან მეორე სართულზე ამსვლელი ლიფტი ამ ეტაპზე არ მუშაობს. სპორტულ დარბაზთან ჩამავალი ლიფტი მუშაობს.
ვინაიდან სკოლაში 1 შშმ პირია რეგისტრირებული, რომელიც მეორე კლასშია, ამ ეტაპზე არ საჭიროებს მეორე სართულზე გადაადგილებას. შესაბამისად, ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული ყველა ძირითადი საგნით, ბიბლიოთეკით, რესურსოთახით, სამედიცინო კაბინეტითა და სველი წერტილით მომსახურება ჩვეულებრივ შეუფერხებლად ხდება.
2024-2025 სასწავლო წლის ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის ჯგუფის დასკვნის მიხედვით გაიცა რეკომენდაცია, რომ ინკლუზიური განათლების ეფექტურად წარმართვისთვის შეძენილ იქნას ფერადი პრინტერი, ლამინირების აპარატი, განმავითარებელი სათამაშოები, პუფები, ადაპტირებული მერხი და სკამი. ვიზიტის დროს, 2026 წლის 5-6 მარტს, ადგილზევე გადამოწმდა, რომ აღნიშნული ჩამონათვალიდან სკოლას რესურსოთახისთვის გადაცემული ჰქონდა პრინტერი.
სკოლაში ირიცხება 11 სსსმ, რომელთაც ემსახურება 2 სპეციალური მასწავლებელი და 1 ასისტენტ მასწავლებელი. ინტერვიუირების დროს სპეციალურმა მასწავლებელმა დაასახელა რამდენიმე მაგალითი, როდესაც სხვადასხვა პროექტში აქტიურად იყვნენ ჩართულები სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეები - შემოდგომისა და ახალი წლის ღონისძიებები, საქველმოწმედო აქცია და ა.შ.
დირექტორს ბრძანებით ჰყავს დამტკიცებული ისგ ჯგუფი, რომელიც წლის მანძილზე 4-ჯერ იკრიბება და თითოეული შეხვედრას აოქმებს. სპეციალურ მასწავლებლებთან ინტერვიუირებით დადგინდა, რომ სსსმ მოსწავლეთა მშობლები ისგ ჯგუფის წევრები არიან და ესწრებან სამუშაო შეხვედრებს, თუმცა ისგ სხდომების ოქმებში მოხსენიებულნი არ არიან.

სსსმ მოსწავლეებისთვის შექმნილია ინდივიდუალური სასწავლო გეგმები.
2024-2025 სასწავლო წელს შიდა მონიტორინგის ჯგუფმა სასწავლო წლის ბოლოს შეაჯამა ინკლუზიური განათლების კუთხით წარმართული საქმიანობა. დასკვნაში დეტალური ინფორმაციაა მოცემული მთელი წლის მანძილზე ინკლუზიური განათლების კუთხით გადადგმულ ნაბიჯებზე.

სკოლას მიეცა რჩევა: ინდივიდუალური სასწავლო გეგმის სხდომების ოქმებში შეყვანილ იქნენ სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოსწავლეთა მშობლები.
ინდიკატორი შეესაბამება სტანდარტის მოთხოვნებს.

4.2.3.(1) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **სსსმ მოსწავლის წინსვლისა და განვითარების მხარდაჭერა ეფუძნება სასკოლო საზოგადოების ჩართულობისა და თანამშრომლობის პრინციპებს**

სსიპ - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ნინიგორის საჯარო სკოლა ინდივიდუალურ გეგმების შემუშავებით, რომელიც მორგებულია მოსწავლეთა საჭიროებებზე, ხელს უწყობს მოსწავლეზე ორიენტირებულ პროცესის დაგეგმვასა და წარმართვას.

სასწავლო წლის დასაწყისში სპეციალური მასწავლებელი შეიმუშავებს სამოქმედო გეგმას, რომელშიც გათვალისწინებულია ყველა ის საქმიანობა, რომელსაც ახორციელებს სპეციალური მასწავლებელი სასწავლო წლის განმავლობაში. იქმნება ისგ ჯგუფები უკვე შეფასებული სსსმ მოსწავლეთათვის, რომელშიც შედის სსსმ მოსწავლის მშობელი და ყველა ის მასწავლებელი, რომელიც ასწავლის კონკრეტულ მოსწავლეს. ისგ ჯგუფი სასწავლო წლის განმავლობაში იკრიბება მინიმუმ 4- ჯერ. შეიმუშავებს ინდივიდუალურ სასწავლო გეგმას, რომელიც ითვალისწინებს კონკრეტული მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებს. მისი ძლიერი და სუსტი მხარეების გათვალისწინებით შემუშავებულია ინდივიდუალური სასწავლო მიზნები. ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შემუშავების პროცესში ჩართულია მოსწავლის მშობელიც, რაც ხელს უწყობს საჭიროებების უკეთ განსაზღვრას.

ვიზიტის დროს ექსპერტებმა ადგილზევე გადაამოწმეს ინკლუზიური განათლების კუთხით წარმართული საქმინაობა; შეისწავლეს ინდივიდუალური სასწავლო გეგმები, სხდომის ოქმები, სპეციალური მასწავლებლის ინტერვენციის გეგმა.

აღმოჩნდა, რომ რამდენიმე მასწავლებელს ინდივიდუალური გეგმა ძველი ფორმით აქვს შევსებული.

ასევე რამდენიმე მასწავლებელი წლის დასაწყისში მხოლოდ პირველ სემესტრს ავსებს. დანარჩენ ნაწილს კი ეტაპობრივად.

სკოლას მიეცა რჩევა: ინდივიდუალური სასწავლო გეგმები დაწერონ განახლებულ ინდივდიუალურ სასწავლო გეგმის ფორმაში. წლის დასაწყისშივე (სასწავლო წლის დაწყებიდან 2 კვირაში) გაწერონ მოსწავლის ორივე სემესტრის ინდივიდუალური საჭიროებები.

4.2.3.(2) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ინკლუზიური განათლების განხორციელების სამოქმედო გეგმა
2. სპეციაური მასწავლებლის ინტერვენციის გეგმა

3. ინდივიდუალური სასწავლო გეგმები
4. ისგ ჯგუფის ოქმები
5. 2024-2025 სასწავლო წლის ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგის დასკვნა

4.2.4. სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურება (არსებობის შემთხვევაში) ხორციელდება კანონმდებლობის მოთხოვნათა დაცვით. აღნიშნული ვალდებულება ძალაშია, როცა დამატებითი (არასავალდებულო) მომსახურების მიმწოდებელია უშუალოდ ზოგადსაგანმანათლებლო დაწესებულება ან/და მის მიერ შერჩეული კონტრაქტორი.

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურება (გახანგრძლივებული სწავლება, კვების სერვისი, ტრანსპორტირების სერვისი, საერთო საცხოვრებლით მომსახურება და სხვა) ხორციელდება შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების შემდეგ/საფუძველზე (ასეთის არსებობის შემთხვევაში)**

სსიპ - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ნინიგორის საჯარო სკოლა არასავალდებულო ხასიათის მომსახურებიდან ის მხოლოდ ტრანსპორტირების მომსხარურებას უწევს მოსწავლეებს. ტრანსპორტირება ხორციელდებოდა შესაბამისი მარეგულირებლის მხრიდან საქმიანობის განხორციელების უფლების მიღების საფუძველზე. სკოლა ფიქრობს მოსწავლეებისთვის და მასწავლებლებისთვის ბუფეტის მომსახურების შეთავაზებაზე. ამ ეტაპზე სხვა დამატებით, არასავალდებულო ხასიათის მომსახურებას სკოლა არ სთავაზობს მოსწავლეებს.

4.2.4.(1) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **სკოლის მიერ შეთავაზებული დამატებითი, არასავალდებულო ხასიათის მომსახურების გაწევა ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრინციპით, მართვის კოლეგიალურ ორგანოსა და მომსახურების მიმღებთან შეთანხმებული წესითა და პირობებით და ემსახურება მოსწავლის განვითარების ხელშეწყობას**

სსიპ - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ნინიგორის საჯარო სკოლაში მოსწავლეთა ტრანსპორტირება ხორციელდება ნებაყოფლობითობის პრონციპის დაცვით.

4.2.4.(2) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **შესაბამისი საქმიანობის განხორციელებისათვის კანონმდებლობით დადგენილი უფლების მოპოვების ვალდებულების არარსებობის შემთხვევაში, მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ზოგადად არსებული ნორმების დაცვით და ითვალისწინებს მოსწავლის საუკეთესო ინტერესებს**

სსიპ - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ნინიგორის საჯარო სკოლისთვის ტრანსპორტირების სერვისი შეთავაზებულია მუნიციპალიტეტის მიერ და რეგულირდება შესაბამისი კანონმდებლობით. ამ მიმართულებით სკოლას არ აქვს ვალდებულება რეგულაციების დაწესების. თუმცა მომსახურებას უწევს მონიტორინგს. სასწავლო წლის დასაწყისში სკოლა ადგენს ტრანსპორტით მომსახურების საჭიროების დეტალებს და აწვდის შესაბამის სტრუქტურებს. სკოლის მიერ გაწეული ნებისმიერი მომსახურება ხორციელდება უსაფრთხოების ნორმების დაცვით. მაგალითად, სასწავლო ექსკურსიის მოწყობისას სკოლა ითვალისწინებს კანონმდებლობით დადგენილ მოთხოვნებს.

4.2.4.(3) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

1. ტრანსპორტის ტაბელები
2. ბრძანება ექსკურსიის შესახებ

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება.
- შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

☒ შეესაბამება
☐ მეტწილად შეესაბამება
☐ ნაწილობრივ შეესაბამება
☐ არ შეესაბამება

ნაწილი IV. მეორე სტანდარტის აღწერა და შეფასება

I. ავტორიზაციის მეორე სტანდარტთან შესაბამისობის შეფასების ცხრილი

ცხრილი ივსება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა)	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (ზოგადი განათლების საბაზო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა)	**☐ შეესაბამება** **☒ მეტწილად შეესაბამება** **☐ ნაწილობრივ შეესაბამება** **☐ არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

სტანდარტი 2	**ექსპერტთა ჯგუფის შეფასება** *(მონიშნეთ შესაბამისი უჯრა სტანდარტისა და კომპონენტის შესაბამისად)*
სასკოლო კურიკულუმი (ზოგადი განათლების საშუალო საფეხურის საგანმანათლებლო პროგრამა)	☐ **შეესაბამება** ☒ **მეტწილად შეესაბამება** ☐ **ნაწილობრივ შეესაბამება** ☐ **არ შეესაბამება**
კომპონენტი 2.1 კურიკულუმის შემუშავება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.2 კურიკულუმის განხორციელება	☐ შეესაბამება ☒ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.3 კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება
კომპონენტი 2.4 კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია	☒ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

II. ავტორიზაციის მე-2 სტანდარტთან შესაბამისობის შეფასება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის იწერება გაერთიანებული სახით. ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამის იდენტიფიცირება ხდება, მაშინ როდესაც იწერება ხარვეზი/რეკომენდაცია/რჩევა.

2. სასკოლო კურიკულუმი

2.1. კურიკულუმის შემუშავება

2.1.1. კურიკულუმის შემუშავებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოება

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმის შემუშავების მეთოდოლოგია იძლევა სასკოლო საზოგადოების ინტერესის, შეხედულებების, შესაძლებლობებისა და პრიორიტეტების გათვალისწინების შესაძლებლობას**

სსიპ - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ნინიგორის საჯარო სკოლის მიერ გადმოგზავნილ დოკუმანტაციაში N4 დანართი ამგვარადაა დასათაურებული: "კურიკულუმის შემუშავების სამუშაო ჯგუფის შექმნა და დებულება", თუმცა დოკუმენტის შიგნით მოთავსებულია სხვა შინაარსის დოკუმენტი. კერძოდ, "სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგია".

ადგილზე ვიზიტის დროს საგნის პედაგოგებთან, კათედრების ხელმძღვანელებთან გასაუბრებისას დეტალურად იქნა აღწერილი კურიკულუმზე მუშაობის ოთხი ეტაპი:

ა) კურიკულუმის შემუშავება,
ბ) დანერგვა,
გ) მონიტორინგი და შეფასება,
დ) გადასინჯვა და რევიზია.

სკოლის ადმინისტრაციასთან და პედაგოგებთან ინტერვიუირებით გადამოწმდა, რომ კურიკულუმის შემუშავების პროცესში ჩართულია სკოლის ყველა მასწავლებელი, ყველა კათედრა.
მშობელთა ჩართულობისთვის სოციალურ ქსელში შექმნილია მშობელთა ჯგუფები, სკოლის ფეისბუქ გვერდი, რომლითაც ხდება მათი ინფორმირება და სასკოლო კურიკულუმის გაცნობა, უკუკავშირების მიღება; მშობელთა საერთო და კლასის კრებების წარმართვა და ა.შ.

სსიპ - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ნინიგორის საჯარო სკოლის მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ კურიკულუმების შემუშავების პროცესში თანამშრომლობენ ერთმანეთთან, ითვალისწინებენ ერთმანეთის აზრს და უზიარებენ არსებულ გამოცდილებას.

სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია. შესაბამისად,

2.1.1.(1) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. კურიკულუმში ასახულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები

სსიპ - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ნინიგორის საჯარო სკოლის კურიკულუმების შემუშავებისას გათვალისწინებულია სასკოლო საზოგადოების ინტერესები. როგორც მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, კურიკულუმის კონცეპტუალური ჩარჩოს შემუშავებაში აქტიურად არის ჩართული სასკოლო საზოგადოება.

საგნის მასწავლებლები თანამშრომლობენ როგორც კათედრის შიგნით, ასევე კათედრებს შორის და ითვალისწინებენ საკუთარ და ერთმანეთის გამოცდილებას, განსხვავებულ ხედვებს და პრიორიტეტებს. ამასთან, კურიკულუმის შემუშავებისას გათვალისწინებულია მოსწავლეთა ინტერესები და ინდივიდუალური შესაძლებლობები, რაც გულისხმობს იმას, რომ მოსწავლე მოიაზრება სასწავლო პროცესის მთავარ სუბიექტად. შერჩეული კომპლექსური დავალებებიდან ჩანს, რომ კურიკულუმი ითვალისწინებს მოსწავლეთა ინდივიდუალური შესაძლებლობებსა და ასაკობრივ თავისებურებებს.

მშობელთა ინფორმირება და მათი ხედვის გათვალისწინება ხდება სოციალურ ქსელში შექმნილი მშობელთა ჯგუფებითა და სკოლის ფეისბუქ გვერდით.

2.1.1.(2) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. კურიკულუმი შემუშავებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სსიპ - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ნინიგორის საჯარო სკოლას ნათლად აქვს განსაზღვრული მასწავლებლების, საგნობრივი კათედრებისა და დირექციის ფუნქციები და პასუხისმგებლობები კურიკულუმის შექმნის პროცესში, საგნობრივ კათედრებთან ინტერვიუირების დროს დადასტურდა, რომ კურიკულუმების შემუშავების

პროცესში ჩართულია სასკოლო საზოგადოების თითოეული წევრი. მასწავლებლები ერთობლივად ადგენენ კომპლექსურ დავალებებს, სასწავლო რესურსებს, შეფასების კრიტერიუმებს. გზადაგზა შეაქვთ ცვლილებები კლასის და მოსწავლეთა ინტერესებიდან/შესაძლებლობებიდან გამომდინარე, ხოლო სასწავლო წლის ბოლოს განიხილავენ თითოეული კლასის/მოსწავლის გასული სასწავლო წლის მიღწევებს, მსჯელობენ მიღებულ შედეგებზე და ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ გამოცდილებას კურიკულუმის განვითარების მიზნით.

2.1.1.(3) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. კურიკულუმი გაზიარებულია სასკოლო საზოგადოების მიერ

სსიპ - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ნინიგორის საჯარო სკოლის საგნობრივი კურიკულუმები ხელმისაწვდომია სასკოლო საზოგადოებისთვის. ხელმისაწვდომობას სკოლა უზრუნველყოფს შესაბამისი საგნების მასწავლებლებისა და დამრიგებლების დახმარებით:

- კურიკულუმები, კომპლექსური დავალებები, რესურსები, შეფასების კრიტერიუმები ეცნობებათ მშობლებს მშობელთა კრებებზე.
- ცვლილებები, მნიშვნელოვანი სიახლეები, თუ გადასაწყვეტი საკითხები სოციალური შიდა ჯგუფების მეშვეობით მიეწოდება მშობლებს და უკუკავშირის მიღებაც ამ გზით ხდება.
- სასკოლო საზოგადოების ინფორმირებას ემსახურება სკოლის საინფორმაციო დაფა, სასკოლო ღონისძიებები და ა.შ.

2.1.1.(4) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- საგნობრივი კურიკულუმები

2.1.2 **კურიკულუმი ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს**

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შემუშავებული კურიკულუმი წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საბუნებისმეტყველო მეცნიერებების კათედრის მიერ წარმოდგენილი კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას, რადგან ისინი ეფუძნება საგნობრივი სტანდარტებით გათვალისწინებულ მოთხოვნებს. შუალედური სასწავლო მიზნების სახით ჩადებულია კომპლექსური ბუნების დავალების პირობები, რომლებიც გათვლილია თითოეული მოსწავლის უნარებსა და შესაძლებლობებზე. **რჩევა:** სასურველია კათედრის მიერ შემუშავებულ კურიკულუმებში შენარჩუნებული იყოს ერთიანი კურიკულუმის ჩარჩო, რაც ხაზს გაუსვამს თანამშრომლობით მუშაობას კათედრაზე, ასევე კურიკულუმებში მრავალფეროვანი რესურსის გამოყენება. **2.1.2.(1) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხურები) წარმოდგენილი კურიკულუმები სტრუქტურულად შეესაბამება მესამე თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს. დოკუმენტებში გამოკვეთილია ორიენტირი გრძელვადიან მიზნებზე — სამიზნე ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებზე. სკოლის მიერ შერჩეული თემები და საკითხები იძლევა მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების დაგეგმვის შესაძლებლობას. ანალიზის შედეგად იკვეთება, რომ წარმოდგენილი კურიკულუმები საჭიროებს მეტ სპეციფიკაციას კონკრეტული სასკოლო გარემოსა და მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების უკეთ ასასახად. კურიკულუმების შესწავლისას

	გამოიკვეთა, რომ სასწავლო პროცესი, ძირითადად, ეყრდნობა გრიფირებულ სახელმძღვანელოებს. საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით წარმოდგენილი რესურსების ჩამონათვალი ერთფეროვანია და ნაკლებად მოიცავს ალტერნატიულ, დამხმარე მასალებს, რაც აუცილებელია მრავალმხრივი და კრიტიკული ხედვის ჩამოსაყალიბებლად. **რჩევა (რესურსების მრავალფეროვნება):** სასურველია, კურიკულუმში სახელმძღვანელოსთან ერთად ინტეგრირებული იყოს მრავალფეროვანი რესურსები: პირველწყაროები, ისტორიული რუკების ციფრული ვერსიები, დოკუმენტური მასალა და საგანმანათლებლო პლატფორმები (ელექტრონული ბიბლიოთეკები), რაც სწავლის პროცესს უფრო დინამიურს გახდის. **რჩევა (დიფერენცირებული სწავლება):** მიზანშეწონილია, კურიკულუმში უფრო დეტალურად გაიწეროს დიფერენცირებული სწავლების სტრატეგიები, რათა კომპლექსური დავალებები თანაბრად ხელმისაწვდომი იყოს სხვადასხვა აკადემიური მზაობის მქონე მოსწავლისთვის. **რჩევა (პრაქტიკული კომპონენტი):** რეკომენდებულია, „ჩვენი საქართველოსა“ და გეოგრაფიის კურიკულუმებში გაიზარდოს თვალსაჩინოებებისა და პრაქტიკული სამუშაოების (მაგ: კონტურულ რუკებზე მუშაობა, ლოკალური გარემოს კვლევა) წილი, რაც აამაღლებს მოსწავლეთა მოტივაციას. **რჩევა (საშუალო საფეხური):** მიზანშეწონილია, საშუალო საფეხურზე პროექტებით სწავლება უფრო მჭიდროდ დაუკავშირდეს საგნობრივ სამიზნე ცნებებს, რათა პროექტმა არ მიიღოს მხოლოდ ერთჯერადი ღონისძიების სახე. **რჩევა (კურიკულუმის დიზაინი და სტრუქტურა):** სასურველია, საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე მოხდეს კურიკულუმის ერთიანი დიზაინისა და ფორმატის შეთანხმება. მნიშვნელოვანია, რომ დაწყებითი საფეხურიდან საშუალო საფეხურის ჩათვლით, დოკუმენტი იყოს ვიზუალურად და სტრუქტურულად თანმიმდევრული, რაც გააადვილებს მის გამოყენებას როგორც პედაგოგებისთვის, ისე მონიტორინგის პროცესისთვის. **2.1.2.(1) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

უცხოური ენები	ორივე უცხოურ ენაში, რომელიც ისწავლება ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ნინიგორის საჯარო სკოლაში (ინგლისური ენა, რუსული ენა), საფეხურების მიხედვით შემუშავებული კურიკულუმები წარმოადგენს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას. წარმოდგენილი კურიკულუმები მრავალფეროვანია თემატური თვალსაზრისით. თემების ფარგლებში მუშავდება ყველა სამიზნე ცნება, შერჩეული შემოქმედებითი ბუნების დავალებები ორიენტირებულია მოსწავლის განვითარებაზე. ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურების დონეზე; შუალედური მიზნები, შესაბამის სასწავლო შინაარსთან ერთად, განისაზღვრება სკოლისა და მასწავლებლის მიერ სასწავლო პროცესში გამოკვეთილი მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, წინარე ცოდნის, საჭიროებებისა და არსებული მოცემულობის შესაბამისად. **რჩევა:** მიზანშეწონილია კურიკულუმები შესრულებული იყოს ერთიან ფორმატში. საფეხურების შესაბამისად, ზოგიერთი კლასის კურიკულუმებში გასასწორებელია სამიზნე ცნებები (ტექსტი/ჟანრი). არ იყო წარმოდგენილი XII კლასის კურიკულუმი რუსულ ენაში, თუმცა, ინტერვიუს დროს კოლეგებს იგი წარმოდგენილი ჰქონდათ. **2.1.2.(1) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	ნინიგორის საჯარო სკოლის ესთეტიკის კათედრაზე კურიკულუმი მიზნად ისახავს თითოეული მოსწავლის ინტერესების, შესაძლებლობებისა და ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებას. ინტერვიუს პროცესში აღინიშნა, რომ საგანმანათლებლო შინაარსი მორგებულია თემის კონტექსტზე და აძლევს მოსწავლეებს საშუალებას დაამუშავონ რეალური საკითხები — პროექტულად, გუნდურად და შემოქმედებითად. მოსწავლეები შეისწავლიან სახელმძღვანელოში მოცემულ თემებს და ახორციელებენ შესაბამის აქტივობებს. ინტერვიუს პროცესში აღინიშნა, რომ კურიკულუმი რეგულარულად განახლდება მოსწავლეთა უკუკავშირის საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს მათ მუდმივ ჩართულობასა და განვითარებაზე მორგებულ სასწავლო გარემოს. პედაგოგები ხედავენ სასწავლო რესურსების გამრავალფეროვნების აუცილებლობას და გეგმავენ შესაბამის ღონისძიებებს. თუმცა, რჩევის სახით ხაზგასასმელია რამდენიმე საკითხი:

	რჩევა: დაწყებით და საბაზო საფეხურზე კურიკულუმებში დაზუსტდეს შემოქმედებითი დავალებების რაოდენობა და შინაარსი. **რჩევა:** დაწყებით და საბაზო საფეხურზე, კურიკულუმებში დაზუსტდეს სასწავლო რესურსების ჩამონათვალი და გამრავალფეროვნდეს უკვე არსებული რესურსები. **2.1.2.(1) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებლებს სამივე საფეხურზე შემუშავებული აქვთ საგნობრივი კურიკულუმები. შემუშავების პროცესში აქტიურადაა ჩართული სასკოლო საზოგადოება. გასაუბრებით ცნობილი გახდა, რომ მოსწავლის და მშობლის ბარათებს აზიარებენ სოციალური ქსელის დახურულ ჯგუფებში. პედაგოგები ერთმანეთს უზიარებენ საკუთარ გამოცდილებას. წინა სასწავლო წლის რეფლექსიით ხდება ახალი კურიკულუმის შემუშავება და სასწავლო პროცესის დაგეგმვა. საგნობრივ კურიკულუმებში სავალდებულო სასწავლო თემების ფარგლებში გამოკვეთილია საკითხები, შერჩეულია შემოქმედებითი ტიპის დავალებები. ძირითადად, ორინტირება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისიწინებულ გრძელვადიან მიზნებზე. სასწავლო პროცესში ითვალისწინებენ მოსწავლის ინდივიდუალურ საჭიროებებს და ინტერესს შესასწავლი საკითხების მიმართ. **რჩევა**-სასურველია, დაწყებით და საბაზო საბაზო საფეხურებზე წარმოდგენილ კურიკულუმებში: • მოწესრიგდეს და სწორად განისაზღვროს სტრუქტურული ერთეულების შინაარსი. კერძოდ, გაიმიჯნოს კონტექსტმაგალითები სასწავლო რესურსებისაგან და საკითხი შემოქმედებითი დავალების იდეისაგან;

	• საბაზო საფეხურის კურიკულუმებში მითითებული ჯამური საათობრივი დატვირთვა გადაიტანონ თავფურცელში წლიური ან სემესტრული საათობრივი დატვირთვის სახით; • სასურველია, დაწყებითი საფეხურის კურიკულუმებში შენარჩუნდეს კურიკულუმის ერთიანი ჩარჩო. მაგალითისათვის - მისაღებია მე-2 კლასის ჩარჩოს ფორმა და სწორედ ასეთი ტიპის ჩარჩოზე ჰქონდეთ ორიენტაცია. **2.1.2.(1) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	წარმოდგენილ თითოეული კლასის მათემატიკის საგნობრივი კურიკულუმებში გაწერილია ვალდებულება, თუ რა ფორმით აღიწერება მოსწავლის განვითარების გზა, როგორ განისაზღვრება ინდივიდუალური და მოდიფიცირებული სასწავლო გეგმები, რა გრძელვადიან მიზნებს ემსახურება მათი სწავლა-სწავლება, რა აქტივობები უნდა განხორციელდეს, რა დამატებით საქმიანობას სთავაზობს სკოლა მოსწავლეებს. ყოველივე ზემოთქმულიდან გამომდინარე შემუშავებულია მათემატიკის საგნობრივი კურიკულუმები, რომლებიც წარმოდგენილია მათემატიკის საგნობრივ სტანდარტზე დაყრდნობით და მიმართულია სტანდარტით მოცემული შედეგების მიღწევაზე. რითაც შესაძლებელია ვთქვათ, რომ კურიკულუმები მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესიის დაგეგმვისა და განვითარების გზას წარმოადგენს. კურიკულუმებში წარმოდგენილია დავალების იდეა, რომლებიც შუალედური მიზანზე გასვლით ემსახურება გრძელვადიანი მიზანზე გასვლას. მიზნები წარმოდგენილია სტანდარტის შედეგებისა და სამიზნე ცნებების სახით, იგივე დაადასტურეს გასაუბრების დროს კათედრის წევრებმა და გამოხატეს მზაობა, რომ კურიკულუმების შემუშავებას მოთხოვნების შესაბამისად წარმართავენ, რომლებიც მიმართული იქნება მოსწავლეზე ორიენტირებული სასწავლო პროცესის დასაგეგმად. **რჩევა:** • **სკოლამ/კათედრამ შეიმუშაონ და შეთანხმდენენ ერთი ფორმატის საგნობრივი კურიკულუმ ჩარჩო - დოკუმენტზე საგნობრივი კურიკულუმის აღწერის ყველა კომპონენტის დაცვით;**

	• **საგნობრივ კურიკულუმების თავფურცელი (ქუდი) შეიცავდეს ინფორმაციას საგნობრივ კურიკულუმის შესახებ: კურიკულუმის სახელწოდება, სასწავლო საგნის ხანგრძლივობ სემესტრის/ წლის განმავლობაში, ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი.** **2.1.2.(1) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	შემუშავებული კურიკულუმი უზრუნველყოფს მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვასა და განვითარებას, აღწერს ფიზიკური აქტივობის მიზნებსა და აქტივობებს, რომელიც ხელს უწყობს მოსწავლეების უნარების, ინტერესების და საჭიროებების განვითარებას. ჯანსაღი ცხოვრების წესის ფორმირებისა და მოტორული უნარების განვითარებისთვის ხელსაყრელი სასწავლო გარემოს შექმნას, კურიკულუმი ითვალისწინებს, როგორც თეორიული, ისე პრაქტიკულ ცოდნის შეძენას, რაც ფიზიკური აღზრდისა და სპორტის სწავლებას პროცესს ხდის უფრო ეფექტიანს. თუმცა **უნდა აღინიშნოს, რომ დაწყებით და საშუალო საფეხურზე პრაქტიკაში მისი სრულფასოვანი განხორციელება გარკვეულ სირთულეებს აწყდება. კერძოდ, I, II, V და VI კლასებში კურიკულუმში გათვალისწინებულია ტანვარჯიშის ელემენტები, სკოლას შესაბამისი ინფრასტრუქტურა და რესურსი არ გააჩნია. გარდა ამისა I და II კლასებში მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების მიზნით აუცილებელია დაზუსტეს თემა: გასართობი თამაშები მოძრავი თამაშების ელემენტებით. ასევე საშუალო საფეხურზე, კერძოდ, XII კლასში თემაში გაწერილია მაგიდის ჩოგბურთი. რომლის პრაქტიკულად განხორციელება შესაბამისი რესურსის გარეშე შეუძლებელია.** **სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც გაწერილია აღნიშნული შეუსაბამობის აღმოფხვრის ვადები. შესაბამისად, ინდიკატორი დაწყებით და საშუალო საფეხურზე მეტწილად დაკმაყოფილებულია.** **რეკომენდაცია:** სკოლამ უზრუნველყოს სპორტის შესაბამისი ინფრასტრუქტურა და რესურს კურიკულუმით გათვალისწინებული აქტივობების (ტანვარჯიში, მოძრავი თამაშები, მაგიდ ჩოგბურთი) სრულფასოვნად განსახორციელებლად. ასევე, I–II კლასებში თემის „გასართობ თამაშები მოძრავი თამაშების ელემენტებით" დაზუსტება შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაშ გაწერილი ვადების შესაბამისად - 2026 წლის 31 დეკემბრამდე.

	საბაზო საფეხური **რჩევა: სასურველია, საბაზო საფეხურზე VII, VIII, და IX, XII კლასებში მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვის მიზნით, სადაც მთავარი აქცენტი მოსწავლის ფიზიკური თვისებების განვითარებაბაზეა გადატანილი, თემებში გაიწეროს სპორტის სახეობა მძლეოსნობა. ასევე ფიზიკური აღზრდისა და სპორტის კურიკულუმებში სასურველია, შენარჩუნდეს კურიკულუმის ერთიანი ჩარჩო.** **2.1.2.(1) ინდიკატორის მეტწილად დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	საგნობრივი კურიკულუმი იძლევა მოსწავლეზე ორიენტირებული სწავლების განხორციელების შესაძლებლობას. შემუშავებულ კურიკულუმში შუალედურ მიზნებად მოაზრებულია სამიზნე ცნებები და მათი დამუშავებისთვის წარმოდგენილია კომპლექსური დავალებები, რომლებიც შემუშავებულია მოსწავლეთა ინტერესების, შესაძლებლობების, ცოდნის, საჭიროებების გათვალისწინებით და რომლებიც ხელს უწყობს ცოდნის ურთიერთდაკავშირებასა და ტრანსფერს, სააზროვნო უნარების განვითარებას, ცოდნის გამთლიანებას, ორგანიზებასა და ურთიერთდაკავშირებას კომპლექსურ პროდუქტის შექმნისას. წარმოდგენილ კურიკულუმში მუშავდება სტანდარტით გათვალისწინებული საგნობრივი მიმართულებები (კომპიუტერული ტექნოლოგიები, ინფორმაციული და საკომუნიკაციო ტექნოლოგიები და ციფრული წიგნიერება) და ასევე, ყველა სამიზნე ცნება. სასწავლო პროცესისთვის რესურსების შერჩევის პრინციპი ეფუძნება სწავლის გრძელვადიანი მიზნებს. გამოიკვეთა, რომ ორიენტირება ხდება გრძელვადიან მიზნებზე და შედეგები განისაზღვრება საფეხურის/მთლიანად სასწავლო კურსის დონეზე. **2.1.2.(1) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებით კათედრებზე შემუშავებული კურიკულუმები მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას წარმოადგენს. სამიზნე ცნებები, რომლებიც გრძელვადიან მიზნებს აზუსტებს, გამოდინარეობს საგნობრივი სტანდარტის შედეგებიდან, რაც საფეხურის ბოლოს უნდა იქნას მიღწეული. გაწერილი თემები, აქტივობები, საკითხები, ცნებები და ქვეცნებები მოსწავლეს საგნობრივ ცოდნას აძლევს თითოეული თემიდან გამომდინარე, ხოლო გათვალისწინებული კომპლექსური დავალებები მოსწავლის გააქტიურებას განაპირობებს. **რჩევა:** სასურველია, საგნობრივ კურიკულუმებში მრავალფეროვანი რესურსებისა და დავალებების გამოყენება, რათა გაძლიერდეს მიზნის, აქტივობისა და სასწავლო შედეგის პირდაპირი კავშირი და სწავლება გახდეს მოსწავლისთვის მეტად მოტივაციური და კონტექსტზე დაფუძნებული. **2.1.2.(1) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სასწავლო პროცესი დაგეგმილია საგნობრივი კურიკულუმის შესაბამისად. სამივე საფეხურზე ბუნებისმეტყველებაში სკოლის მიერ წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმის ჩარჩოებში გაწერილია სავალდებულო თემები ,სამიზნე ცნებები და შესაბამისი შუალედური სასწავლო მიზნები, თუმცა საჭიროებს მცირეოდენ დახვეწას.

	რჩევა: სასურველია, კურიკულუმები მეტად იყოს სკოლის საჭიროებებზე მორგებული - რეალური და დაძლევადი. ყოველივე ეს გაითვალისწინონ მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შექმნის დროს. **2.1.2.(2) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	სასწავლო პროცესი დაგეგმილია ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივი სტანდარტების შესაბამისად. კურიკულუმები სტრუქტურულად მოიცავს ყველა სავალდებულო კომპონენტს: სამიზნე ცნებებს, მკვიდრ წარმოდგენებს, საკითხებსა და კომპლექსურ დავალებებს. დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურებზე შერჩეული თემატიკა და სასწავლო აქტივობები მიმართულია გრძელვადიანი მიზნების რეალიზებისკენ. კურიკულუმებში ჩანს ლოგიკური ბმა შინაარსობრივ საკითხებსა და იმ ფუნქციურ უნარებს შორის, რომელთა განვითარებასაც ითვალისწინებს საგნობრივი სტანდარტი. სწავლა-სწავლების პროცესი ეფუძნება კონსტრუქტივისტულ პრინციპებს, სადაც აქცენტი კეთდება მოსწავლის აქტიურ ჩართულობაზე და წინარე ცოდნის ტრანსფერზე. საშუალო შეფასების ფარგლებში უნდა აღინიშნოს, რომ კურიკულუმი ფორმალურად სრულად პასუხობს ესგ-ს მოთხოვნებს, თუმცა არსებობს რესურსი დოკუმენტის ხარისხობრივი გაუმჯობესებისთვის, რაც დაკავშირებულია დიფერენცირებული სწავლების მიდგომების უფრო ვრცელ ასახვასთან და შეფასების კრიტერიუმების მეტ კონკრეტიზაციასთან თითოეული სამიზნე ცნების მიხედვით. **რჩევები:** • მიზანშეწონილია კურიკულუმში უფრო დეტალურად გაიწეროს დიფერენცირებული სწავლების სტრატეგიები, რათა სასწავლო პროცესი კიდევ უფრო მეტად იყოს ორიენტირებული სხვადასხვა საჭიროების მქონე მოსწავლეზე.

	• რეკომენდებულია კურიკულუმის განმავითარებელი შეფასების ნაწილში დაზუსტდეს კრიტერიუმები, რომლებიც მასწავლებელს დაეხმარება მოსწავლის მიერ სამიზნე ცნების გააზრების ხარისხის უფრო ზუსტ იდენტიფიცირებაში. **2.1.2.(2) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	უცხოურ ენებში, საფეხურების მიხედვით შემუშავებული კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. ყველა თემის ფარგლებში მუშავდება სამიზნე ცნებები: ტექსტი (I-VI კლასები), ჟანრი (VII-XII კლასები), სამეტყველო ქმედება, ენობრივი საშუალებები - (I-XIIკლასები), კულტურათა დიალოგი (V-XII კლასები). კომპლექსური დავალებები იმგვარადაა შერჩეული, რომ იკვეთება მოსწავლეების მუშაობა გლობალურ-ფუნქციური უნარების ჩამოსაყალიბებლად. მათი შესრულება მოსწავლეებისგან მოითხოვს კრიტიკულ აზროვნებას, თანამშრომლობას, კომუნიკაციას, მოქალაქეობრივ პოზიციას. **2.1.2.(2) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	კათედრაზე კურიკულუმის შემუშავება ხდება ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპებსა და მიზნებზე დაყრდნობით. ესთეტიკური კათედრის საგნობრივი გეგმა შეესაბამება ეროვნულ სტანდარტებს, თუმცა ნაკლებად ითვალისწინებს ადგილობრივ საჭიროებებსა და კონტექსტებს. მასწავლებლები, საგნობრივი სტანდარტების ფარგლებში, კურიკულუმის შედგენისას ითვალისწინებენ შუალედურ და გრძელვადიან მიზნებს. სასწავლო პროცესს აკლია რეალურ ცხოვრებასთან დაკავშირებული, პრაქტიკულ-შემოქმედებითი აქტივობებით გამდიდრება. **სასურველია,** ესთეტიკური განათლების მიმართულებით გაიწეროს აქტივობები, რომელიც ეროვნული მიზნების შესრულების, ასევე, ადგილობრივი კულტურის ინტეგრირების საშუალებას მისცემს მათ. სკოლის შიდა დოკუმენტაცია, თემატური გეგმით დაწყებული, შეფასების სისტემით

	დამთავრებული, სტრუქტურულად მიესადაგება ეროვნული სასწავლო გეგმის მოთხოვნებს და ხელს უწყობს მოსწავლეთა კომპეტენციური განვითარების ხელშეწყობას.**რჩევა:** ესთეტიკური განათლების მიმართულებით გაიწეროს აქტივობები, რომელიც სასწავლო პროცესში, ეროვნული მიზნების შესრულების, ასევე ადგილობრივი კულტურის ინტეგრირების საშუალებას მისცემს პედაგოგებს. **2.1.2.(2) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურის კურიკულუმები მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ გრძელვადიან მიზნებს. ესგ-ს მოთხოვნების შესაბამისად, განსაზღვრულია სავალდებულო თემები, თემებში საკითხების საშუალებით მუშავდება სამიზნე ცნებები. თუმცა, რიგ შემთხვევებში, იკვეთება მცირე უზუსტობებიც. ამის მიუხედავად, ინტერვიუს დროს გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს გააზრებული აქვთ ესგ -ს საგნობრივი სტანდარტით განსაზღვრული შედეგები, ყველა სამიზნე ცნება და მათთან დაკავშირებული ქვეცნებები და მკვიდრი წარმოდგენები, რომლებსაც გაითვალისწინებენ მომდევნო სასწავლო წელს კურიკულუმების შემუშავებისას. მასწავლებლებმა ისაუბრეს განხორციელებულ კომპლექსურ დავალებებზე, სადაც გათვალისწინებულია შემდეგი კომპლექსური დავალების პირობები და განსახორციელებელი აქტივობები. მაგ: პრეზენტაცია, საინფორმაციო ბუკლეტის დამზადება, პოსტერების შექმნა, ბუკლეტის შექმნა, ინტერვიუ პერსონაჟთან, ანალიტიკური ესსე, პირადი მოსაზრების გამომხატველი ესსე), რომლებიც გათვლილია გრძელვადიან მიზნებზე და მოსწავლეებში ავითარებს იდეების გენერირების, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნების, პრობლემის გადაჭრის უნარებს. **რჩევა**: რიგ შემთხვევებში (მაგ.: მე-5, მე-7, მე-8 კლასი) სამიზნე ცნებებთან და თემებთან მიმართებით შეინიშნება უზუსტობები. სასურველია, სიღრმისეულად გაეცნონ სამივე საფეხურის ქართული ენისა და ლიტერატურის სტანდარტს და კურიკულუმის შედგენისას გამოიყენონ მართებულად.

	2.1.2.(2) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.
მათემატიკა	დაწყებითი საფეხურის წარმოდგენილ მათემატიკის საგნობრივ კურიკულუმებში გრძელვადიანი მიზნებზე ორიენტირით წარმოდგენილია სამიზნე ცნებები და შედეგები. სამიზნე ცნებები, საკითხები კავშირშია ერთმანთთან. საკითხი/საკითხთა კლასტერი, ამუშავებს სამიზნე ცნებებს. შემოქმედებითი დავალების იდეა, უზრუნველყოფს სტანდარტით განსაზღრულ შედეგებზე გასვლას, ხოლო მოსწავლეებში ხელს შეუწყობს მათ შემოქმედებითი, კრიტიკული, ანალიზის უნარების განვითარების ხელშეწყობას, - აღნიშნეს კათედრის წევრებმა გასაუბრების დროს, მათ დაადასტურეს მზაობა ამ მიმართულებით მუშაობის, წარმართავენ სწავლა-სწავლების პროცესს შემუშავებული კურიკულუმების შესაბამისად. **2.1.2.(2) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	შემუშავებული ფიზიკური აღზრდის და სპორტის კურიკულუმი ორიენტირებულია ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებზე და ითვალისწინებს საგანმანათლებლო ამოცანების შესრულებას. შემოქმედებითი დავალებები ორენტირებულია სამიზნე ცნებებზე და მოიცავს ისეთ პრაქტიკულ დავალებებს, როგორიცაა სპორტული ფესტივალი, მხიარული თამაშები, პროექტის მომზადება, კონფერენცია, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში თანამშრომლობითი, გუნდური, სოციალური უნარების განვითარებას.**2.1.2.(2) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	საგნობრივი კურიკულუმი მიემართება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებს, სადაც წარმოდგენილი გრძელვადიანი მიზნების ფარგლებში წარმოდგენილი იდეა/პირობა კომპლექსური დავალებები, შევსებული სტანდარტის

	შედეგების მისაღწევი დეტალების (სამიზნე ცნება, საკითხი, კონტექსტ-მაგალითი, კომპლექსური დავალება, რესურსი) მიხედვითაა. **2.1.2.(2) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კათედრაზე შემუშავებული კურიკულუმები, მოსწავლეზე ორიენტირებული პროცესის დაგეგმვისა და განვითარების გზას წარმოადგენს. ინტერვიუს პროცესში აღინიშნა, რომ კურიკულუმი რეგულარულად განახლდება მოსწავლეთა უკუკავშირის საფუძველზე, რაც უზრუნველყოფს მათ მუდმივ ჩართულობასა და განვითარებაზე მორგებულ სასწავლო გარემოს. პედაგოგები ხედავენ სასწავლო რესურსების გამრავალფეროვნების აუცილებლობას და გეგმავენ შესაბამის ღონისძიებებს. **რჩევა:** სასწავლო თემები დააზუსტონ ესგ -ის საგნობრივი სტანდარტების მიხედვით. **2.1.2.(2) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი, უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საგანმანათლებლო რესურსების უზრუნველყოფის მიმართულებით საბუნებისმეტყველო საგნების კურიკულუმებში ჩაშენებულ რესურსებში ჩანს როგორც გრიფირებული სახელმძღვანელო, ასევე ონლაინ რესურსები, რომლებსაც, როგორც გასაუბრებისას გაირკვა, აქტიურად იყენებენ პედაგოგები სწავლების პროცესში და საშინაო დავალებებში. რაც ნაწილობრივ უზრუნველყოფს კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, რადგან სკოლას არ გააჩნია საბუნებისმეტყველო ლაბორატორია და არსებული

	მწირი რესურსები არ შეესაბამება პრაქტიკული და ექსპერიმენტული სწავლების მოთხოვნებს. პედაგოგებთან საუბრისას გაირკვა, რომ მიუხედავად საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის არარსებობისა, ხელთ არსებულ მწირ რესურსს აქტიურად იყენებენ სასწავლო პროცესში. დადგინდა ხარვეზი: სკოლამ მოკლევადიან და გრძელვადიან პერსპექტივაში უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო კაბინეტის მოწყობა და საჭირო რეაქტივებით და ინვენტარით აღჭურვა, რათა მოსწავლეებს ჰქონდეთ შესაძლებლობა პრაქტიკული და კვლევითი უნარების სრულყოფილი განვითარებისათვის. სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც წარმოდგენილია ხარვეზის აღმოფხვრის გზები. შესაბამისად, **2.1.2.(3) ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია. რეკომენდაცია :** სკოლამ უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო ლაბორატორიის აღჭურვა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გაწერილი ვადების შესაბამისად - 2027 წლის 15 სექტემბრამდე.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების ჯგუფის კურიკულუმების ანალიზმა აჩვენა, რომ საგანმანათლებლო რესურსების გამოყენების პრაქტიკა სხვადასხვა საგანსა და საფეხურზე არათანაბარია. ზოგიერთ შემთხვევაში (მაგალითად, ცალკეული კომპლექსური დავალებების ფარგლებში) მასწავლებლების მიერ შერჩეულია დამხმარე მასალები, რუკები და ვიზუალური წყაროები, რაც ეხმარება მოსწავლეს საკითხის უკეთ გააზრებაში. თუმცა, კურიკულუმების მნიშვნელოვანი ნაწილი კვლავ მეტწილად მხოლოდ გრიფირებულ სახელმძღვანელოებზეა ორიენტირებული. რესურსების შერჩევა ყოველთვის არ ატარებს სისტემურ ხასიათს და ხშირად შემოიფარგლება სახელმძღვანელოში არსებული მასალით. კურიკულუმების ნაწილში ნაკლებად ჩანს ციფრული ტექნოლოგიების, მრავალფეროვანი პირველწყაროებისა და ალტერნატიული სასწავლო მასალების გამოყენება, რაც აუცილებელია მოსწავლეთა კვლევითი უნარების სრულფასოვანი განვითარებისთვის. რესურსების ასეთი ფრაგმენტული გამოყენება ვერ უზრუნველყოფს დიფერენცირებული სწავლების მიდგომების სრულყოფილ დანერგვას, რაც აფერხებს განსხვავებული საჭიროებების მქონე მოსწავლეებისთვის სწავლის

	შედეგების თანაბრად მიღწევას. **რჩევები:** სასურველია, სკოლამ შეიმუშაოს რესურსების განახლებისა და გამდიდრების ერთიანი მიდგომა საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე, რათა ყველა საგანში თანაბრად იყოს ხელმისაწვდომი როგორც ტექსტობრივი, ისე მულტიმედიური და საძიებო რესურსები. რეკომენდებულია იმ კურიკულუმებში, სადაც მხოლოდ სახელმძღვანელოა მითითებული, დაემატოს მოსწავლეთა ინტერესებსა და შესაძლებლობებზე მორგებული ალტერნატიული სასწავლო მასალები (მაგ: ადაპტირებული წყაროები, თემატური ვიდეორგოლები და სხვ.)**2.1.2.(3) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	უცხოური ენების კურიკულუმებში მითითებულია სასწავლო პროცესში გამოსაყენებელი რესურსები, მ.შ. საგანმანათლებლო რესურსი. როგორც წარმოდგენილი მასალებიდან და სკოლის წარმომადგენლებთან ინტერვიუდან გაირკვა, რესურსები ირჩევა პედაგოგების აქტიური თანამშრომლობით სასწავლო რესურსების განხილვის პროცესში. ყველა რესურსი საგულდაგულოდ არის შერჩეული და უზრუნველყოფს მოსწავლეთა მიერ კურიკულუმით განსაზღვრული შედეგების მიღწევას. საგნობრივი კურიკულუმისთვის განსაზღვრული რესურსი შერჩეულია უცხოური ენების კათედრის მიერ წინა წლის გამოცდილების, მოსწავლეთა საჭიროებების გათვალისწინებით. **2.1.2.(3) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	სკოლაში კურიკულუმით გათვალისწინებული რესურსები, როგორც საგანმანათლებლო, ისე მატერიალურ-ტექნიკური, შეძლებისდაგვარად მორგებულია მოსწავლეთა საჭიროებებს და სწავლის შედეგების მიღწევას ემსახურება. მასწავლებლები იყენებენ არსებულ რესურსებს შემოქმედებითად: აქტიურად მიმართავენ ადგილობრივ მასალებს, მოსწავლეთა

	ნამუშევრებსა და თემის შესაძლებლობებს. მაგალითად, ხელოვნების გაკვეთილებზე საგანმანათლებლო რესურსებად გამოიყენება ფოტომასალა, ბუნებრივი მასალები და ინტერნეტრესურსები. მუსიკის მასწავლებელი თვითნაკეთი ინსტრუმენტების, აუდიოჩანაწერებისა და ინტეგრირებული აქტივობების მეშვეობით ცდილობს სწავლის მიზნების მიღწევას. რესურსების შერჩევა და გამოყენება მიზანმიმართულია ეროვნული გეგმით განსაზღვრული შედეგების შესრულებაზე, თუმცა მოსწავლის ინტერესებზე მორგებულად. სასწავლო რესურსების ეფექტიან გამოყენებას ხელს უწყობს მასწავლებელთა კოორდინაცია, რესურსების გაზიარება კათედრის ფარგლებში.**2.1.2.(3) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	კურიკულუმში წარმოდგენილი რესურსები მოსწავლეთა ინტერესებსა და შესაძლებლობებს შეესაბამება. ძირითადი აქცენტი გაკეთებულია შერჩეულ გრიფირებულ სახელმძღვანელოზე. შერჩეული რესურსები სასწავლო პროცესში მოსწავლეთა მაქსიმალურ ჩართულობასა და ცოდნის კონსტრუირებას უწყობს ხელს. **რჩევა**-სასურველია, მოსწავლეთა მოტივაციის ამაღლებისა და სასწავლო პროცესის საინტერესოდ წარმართვის მიზნით, განსაკუთრებით საბაზო და საშუალო საფეხურის კურიკულუმში, გაწერონ მრავალფეროვანი რესურსები,რათა უზრუნველყონ კურიკულუმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევა. **2.1.2.(3) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	კურიკულუმებში მოცემულია მათემატიკის სწავლის და სწავლების მიზნის შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსი, როგორიცაა, ძირითადად, გრიფმინიჭებული სახელმძღვანელო. პედაგოგებმაც გასაუბრების დროს აღნიშნეს, რომ გამოყენებული ძირითად სახელმძღვანელოსთან უზრუნველყოფენ კურიკულუმით განსაზღრულ შედეგების მიღწევას სხვადასხვა დამხმახე სასწავლო რესურსების გამოყენებას სასწავლო პროცესში. **რჩევა:**

	• **გრიფმინიჭებულ სახელმძღვანელოს მითითებასთან ერთად კურიკულუმის შესაბამის კომპონენტში წარმოადგინონ სხადასხვა დამხმარე საგანმანათებლო რესურსები.** **2.1.2.(3) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	კურიკულუმით გაწრილია და გათვალისწინებულია სასწავლო რესურსები (ჰიპერლინკები, გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოები, შერჩეული სპორტული რესურსი და სხვა) რომლებიც ემსახურება კონკრეტული სამიზნე ცნების დამუშავებას და უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. რესურსების მრავალფეროვნება ითვალისწინებს დიფერენცირებულ სწავლებას (ბუკლეტი, პროექტი, პრეზენტაცია) და საშუალებას აძლევს სხვადასხვა საჭიროების მქონე მოსწავლეს მიაღწიოს სასწავლო მიზანს. **რჩევა: სასურველია სამივე საფეხურზე გადაიხედოს კურიკულუმში ჩაშენებული და მითითებილი ლინკები, რესურსები, სახელმძღვანელოები. დალაგდეს საფეხურების შესაბამისად, იყოს აქტიური და შეესაბამებოდეს მოსწავლეთა ინტერესებს და შესაძლებლობებს. 2.1.2.(3) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**.
ტექნოლოგიები	კურიკულუმით გათვალისწინებული მრავალფეროვანი ელექტრონული რესურსები, მათ შორის საგანმანათლებლო რესურსი https://school.emis.ge/, **https://scratch.mit.edu/**, Code.org, 3DPaint, Sway, „ვსწავლოთ თამაშით", PowerPoint, Word, Excel, და სხვა უზრუნველყოფს მოსწავლის მიერ კურიკულუმით გათვალისწინებული სასწავლო მიზნების მიღწევას. **2.1.2.(3) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმში მოცემული საგანმანათლებლო რესურსები შერჩეულია მიზანმიმართულად და სრულად შეესაბამება განსაზღვრულ სასწავლო შედეგებს. თუმცა, უმეტეს წილად, მხოლოდ სახელმძღვანელოა.

	რჩევა: კურიკულუმში ასახონ მრავალფეროვანი რესურსები. მიეთითოს გამოყენებული ბმულების კონკრეტული დასახელება **2.1.2.(3) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	როგორც წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და ასევე ინტერვიუდან ირკვევა, სასწავლო პროცესი მეტ-წილად ეყრდნობა ინკლუზური და დიფერენცირებული სწავლების მიდგომებს. **რჩევა:** სასურველია, აქტივობები გაიწეროს იმგვარად, რომ მიმართული იყოს და უზრუნველყოს სწავლის შედეგების მიღწევა. ასევე სასურველია, შემაჯამებელი ან/და სადიაგნოსტიკო დავალებების პირობების შექმნისას, აგრეთვე შუალედური სასწავლო მიზნის ფორმატის - კომპლექსურ დავალების/კომპლექსური ბუნების დავალების, ან სასწავლო პროექტების შეთავაზების დროს, უფრო მკაფიოდ გამოიკვეთოს დიფერენცირებული ან ინკლუზიური მიდგომები. **2.1.2.(4) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე სასწავლო პროცესი დაგეგმილია ინკლუზიური განათლების პრინციპების გათვალისწინებით. კურიკულუმებში ასახული

	კომპლექსური დავალებები და აქტივობები იძლევა შესაძლებლობას, რომ სასწავლო პროცესში ჩაერთოს ყველა მოსწავლე, მათი ინდივიდუალური შესაძლებლობების მიუხედავად. სკოლა ცდილობს შექმნას მხარდამჭერი გარემო, სადაც საზოგადოებრივი მეცნიერებების სწავლება მიმართულია არა მხოლოდ აკადემიური ცოდნის, არამედ მოსწავლის სოციო-ემოციური უნარებისა და ღირებულებების განვითარებაზე. უნდა აღინიშნოს, რომ მიუხედავად იმისა, რომ სასწავლო პროცესი ზოგადად ინკლუზიურია, დიფერენცირებული სწავლების მიდგომები კურიკულუმის დონეზე უფრო მეტად ფორმალურ ხასიათს ატარებს. მასწავლებლებთან ინტერვიუებიდან იკვეთება, რომ ისინი პრაქტიკაში იყენებენ სხვადასხვა სტრატეგიას მოსწავლეთა ინტერესების გასათვალისწინებლად, თუმცა თავად კურიკულუმის დოკუმენტებში ნაკლებად არის დეტალიზებული, თუ როგორ ხდება დავალებებისა და რესურსების ადაპტირება განსხვავებული აკადემიური მზაობისა თუ საჭიროების მქონე მოსწავლეებისთვის. ინკლუზიურობის პრინციპი დაცულია, თუმცა დიფერენცირების მექანიზმები საჭიროებს უფრო მეტ სისტემურობას და დოკუმენტურ ასახვას. **რჩევები:** სასურველია, საზოგადოებრივი მეცნიერებების კურიკულუმებში (დაწყებითი, საბაზო და საშუალო საფეხური) უფრო მკაფიოდ გაიწეროს დიფერენცირებული სწავლების კონკრეტული სტრატეგიები (მაგ: დავალებების სირთულის მიხედვით დაყოფა, დამხმარე მინიშნებების გამოყენება), რაც მასწავლებელს დაეხმარება პროცესის უკეთ მართვაში. რეკომენდებულია კათედრის ფარგლებში მოხდეს საუკეთესო პრაქტიკის გაზიარება იმის შესახებ, თუ როგორ ხდება საზოგადოებრივი მეცნიერებების გაკვეთილებზე სსსმ და სხვადასხვა საჭიროების მქონე მოსწავლეთათვის გარემოსა და რესურსების ოპტიმალური მორგება. **2.1.2.(4) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**.
უცხოური ენები	სასწავლო პროცესში გათვალისწინებულია დიფერენცირებულ/ინკლუზიური მიდგომები, რაც უცხოური ენების კურიკულუმებში არ ჩანს, თუმცა წარმოდგენილია ინდივიდუალური გეგმა, ადაპტირებული კომპლექსური დავალება. სკოლის პედაგოგებს

	დაწყებით კლასებში უწევთ გაკვეთილების ჩატარება კლას-კომპლექტებში. ვიზიტის დროს კოლეგებმა მოიყვანეს დიფერენცირების არაერთი მაგალითი, რაც ადასტურებს იმას, რომ უცხოური ენების კათედრა კარგად იცნობს და ითვალისწინებს სწავლების დიფერენცირების პრინციპებს, ყოველდღიურ საქმიანობაში იყენებს განსხვავებულ მიდგომებს მოსწავლეთა ინტერესების, სწავლის სტილის და შესაძლებლობების გათვალისწინებით. თუმცა, დოკუმენტურად აღნიშნული მუშაობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია სკოლას არ წარმოუდგენია. **2.1.2.(4) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკის კათედრაზე სასწავლო პროცესი დგინდება ინკლუზიურობისა და დიფერენცირებული სწავლების პრინციპებით. მასწავლებლები ითვალისწინებენ მოსწავლეთა განსხვავებულ აკადემიურ დონეს, ინტერესებსა და შესაძლებლობებს და ამ მრავალფეროვნებაზე მორგებულად გეგმავენ სწავლებას. ინდივიდუალურად უდგებიან მოსწავლეებს, რომლებსაც სჭირდებათ დამატებითი მხარდაჭერა. ინტერვიუს პროცესში აღინიშნა, რომ ესთეტიკური კათედრის პედაგოგებს აქვთ სპეციალური საჭიროების მქონე მოსწავლეებთან მუშაობის გამოცდილება. მათ იციან ინდივიდუალური სასწავლო გეგმის შედგენა, საჭიროებებზე მორგებული აქტივობების გაწერა და შესაბამისი სასწავლო რესურსის მომზადება. მოსწავლეთა დიფერენციისთვის, მასწავლებლები იყენებენ მრავალფეროვან დავალებებს, მოქნილ განმავითარებელ და განმსაზღვრელ შეფასებებსა და ჯგუფური და ინდივიდუალური მუშაობის ფორმებს. **2.1.2.(4) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სკოლის მიერ მოწოდებული დოკუმენტაციიდან თვალნათლივ ჩანს, რომ მასწავლებლებს გააჩნიათ ინკლუზიური/დიფერენცირებული სწავლების გამოცდილება. გასაუბრებამაც ცხადყო, რომ მასწავლებლები, მოსწავლის საჭიროებიდან გამომდინარე, ახდენენ

	დავალების პირობისა და სასწავლო აქტივობის მოდიფიცირებას სწავლის სტილის გათვალისწინებით. წარმოდგენილია სსსმ მოსწავლის ინდ. გეგმები, მოკლევადიანი და გრძელვადიანი მიზნები, მოსწავლისათვის მომზადებული ადაპტირებული შემოქმედებითი ტიპის დავალებები. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა ასევე აღნიშნეს, რომ აკვირდებიან მოსწავლეთა პროგრესს. **2.1.2.(4) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	კათედრის წევრებმა გასაუბრებაზე აღნიშნეს, რომ აქვთ სსს მოსწავლესთან მუშაობის გამოცდილება. მათ დაადასტურეს, თუ რა უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ სწავლა-სწავლების პროცესში ინკლუზიურ/დიფერენცირებულ მიდგომების გამოყენებას. თუ როგორ ითვალისწინებენ მოსწავლეთა ინდივიდუალურ შესაძლებლობებს, მათ საჭიროებებსა და ინტერესებს და როგორ ახორციელებენ სასწავლო პროცესის დაგეგმვას. დავალებებსაც მათი შესაძლებლობის ფარგლებში მოდიფიცირებას უკეთებენ, მოსწავლეთა შესაძლებლობების მიხედვით გათვლილი დავალების პირობებიც. ახდენენ მოსწავლეთა შემოწმებას, შეფასებას, აწარმოებენ დაკვირვებას შესაბამის მოსწავლეებზე, შესაბამისად, აძლევენ მათ კონსტრუქციულ უკუკავშირს. აქტიურად თანამშრომლობენ სპეცმასწავლებელთან და ერთობლივად იმუშავებენ ინდ. გეგმას, შეფასების რუბრიკებს. კვლავაც ასეთი შემართებით გავაგრძელებთ მუშაობას, დიფერენცირებული მიდგომების გამოყენებით, - დაადასტურეს კათედრის წევრებმა, რათა სწავლა-სწავლების პროცესი სკოლაში იყოს დიფერენცირებული მიდგომების გათვალისწინებით ინკლუზიური. **2.1.2.(4) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	ფიზიკური აღზრდისა და სპორტის საგნობრივ კურიკულუმებზე დაყრდნობით, და ასევე გასაუბრების შედეგებიდან იკვეთება, რომ სასწავლო პროცესი არის ინკლუზიური და

	ითვალისწინებს დიფერენცირებულ მიდგომებს. კურიკულუმში წარმოდგენილია მრავალფეროვანი და მოსწავლეზე მორგებული სასწავლო მასალა (ფესტივალი, პროექტი, კედლის გაზეთი, ბუკლეტი), რაც საგაკვეთილო პროცესში მაქსიმალურ ჩართულობას და ცოდნის ეტაპობრივად კონსტრუირებას შეუწყობს ხელს. **2.1.2.(4) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	წარმოდგენილი საგნობრივი კურიკულუმის მიხედვით ჩანს, რომ წარმოდგენილია მოსწავლეზე მორგებული, მრავალფეროვანი სასწავლო მასალა და ელექტრონული რესურსები, რაც მოსწავლის საგაკვეთილო პროცესში მაქსიმალურ ჩართულობას უწყობს ხელს. მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების გათვალისწინებით ცვლილებები შეაქვთ დაგეგმილ აქტივობებში, სთავაზობენ დიფერენცირებულ მიდგომებსა და მათთვის საინტერესო, მოდიფიცირებულ და მრავალფეროვან რესურსებს. **2.1.2.(4) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სასწავლო პროცესი იგეგმება მოსწავლეზე ორიენტირებულად მისი ინტერესებისა და შესაძლებლობიდან გამომდინარე. მასწავლებელი მოსწავლეს მასზე მორგებულ რესურსებსა და სასწავლო მასალას სთავაზობს, რაც მოსწავლეს სასწავლო პროცესში პროდუქტიულ ჩართულობას განაპირობებს. ინტერვიუს დროს მასწავლებლებმა აღნიშნეს, რომ მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების მიხედვით ცვლიან აქტივობებს, სთავაზობენ დიფერენცირებულ მიდგომებსა და რესურსებს. **2.1.2.(4) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

5. **მოსწავლის შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლას წარმოდგენილი აქვს სხვადასხვა ტიპის დავალებების შეფასების ცხრილები, როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასებისთვის წარმოდგენილი ცხრილები არის ზოგადი. **რჩევა;:** • სასურველია, შეფასების სისტემის უფრო დახვეწა, კათედრამ შექმნას უფრო მრავალფეროვანი და კონკრეტულ დავალებებზე მეტად მორგებული შეფასების რუბრიკები. • შეფასების სისტემის გასაუმჯობესებლად აუცილებელია არამარტო განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკების აქტიურად გამოყენება, ასევე მოსწავლეთა თვითშეფასების და ურთიერთშეფასების რუბრიკებისაც. სამართლიანობისა და ობიექტურობის თვალსაზრისით მოსწავლეები შეაფასებენ ერთმანეთს და იმსჯელებენ ერთმანეთის გასაუმჯობესებელ შედეგებზე. მოსწავლეების ჩართულობა შეფასების რუბრიკების შემუშავების პროცესში გაზრდის სანდოობას და გამჭვირვალობის დასტური იქნება როცა მოსწავლეები და მათი მშობლები წინასწარ გაეცნობიან დავალების შეფასების რუბრიკებს. **2.1.2.(5) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია** .
საზოგადოებრივი მეცნიერებები	დაწესებულებაში საზოგადოებრივი მეცნიერებების მიმართულებით მოქმედი შეფასების სისტემა შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის ძირითად ორიენტირებს. კათედრა უზრუნველყოფს განმავითარებელი უკუკავშირის მიწოდებას, რაც დადებითად აისახება მოსწავლეთა მოტივაციაზე. შეფასების პროცესი გამჭვირვალეა და ორიენტირებულია სწავლის ხარისხის გაუმჯობესებაზე. მიუხედავად ამისა, არსებობს რესურსი, რომ შეფასების რუბრიკები გახდეს უფრო სპეციფიკური და სამიზნე ცნებების მკვიდრ წარმოდგენებზე

	ორიენტირებული, რაც მოსწავლეს მისცემს უფრო ზუსტ ინფორმაციას მისი აკადემიური წინსვლისა და დასახული მიზნების მიღწევის შესახებ. **რჩევა:** • მიზანშეწონილია შეფასების ინსტრუმენტების (რუბრიკების) შემდგომი დახვეწა, რათა მათში უფრო მკაფიოდ აისახოს მოსწავლის პროგრესი სამიზნე ცნებების გააზრების სხვადასხვა დონეზე. **2.1.2.(5) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**.
უცხოური ენები	სკოლა იყენებს როგორც განმავითარებელი, ასევე განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკებს. სკოლას შემუშავებული აქვს ნიმუშები მოსწავლეთა ცალკეული აქტივობების შესაფასებლად (განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები). საფეხურების მიხედვით დამატებით წარმოდგენილია მიმდინარე წლის კურიკულუმის მიხედვით განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები კომპლექსური დავალებებისა და ცალკეული აქტივობების მიხედვით. უცხოური ენების კათედრის პედაგოგებთან გასაუბრებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის საფუძველზე გამოიკვეთა, რომ მასწავლებლები სათანადოდ და რელევანტურად იყენებენ ვერბალურ და წერილობით განმავითარებელ უკუკავშირს როგორც საკლასო ოთახებში, ასევე ელექტრონული ჟურნალის მეშვეობით. **2.1.2.(5) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკური საგნების სწავლებისას, მოსწავლის შეფასების სისტემა ასახავს ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპებს — ის ორიენტირებულია მოსწავლის პროგრესზე, ჩართულობაზე და განვითარების მხარდაჭერაზე. ხელოვნების და მუსიკის მასწავლებლები,

	გარდა განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასებებისა, იყენებენ სხვა ეფექტურ შეფასების ფორმებსაც: კომენტარებს, თვითშეფასებას, თანატოლთა ურთიერთშეფასებასა და დაკვირვებას. ეს მეთოდები მოსწავლეებს აძლევს შესაძლებლობას, გააცნობიერონ საკუთარი პროგრესი, გაიგონ, რაში სჭირდებათ განვითარება და მიიღონ კონსტრუქციული უკუკავშირი. განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა შეფასების პროცესის გამჭვირვალობას — მოსწავლეები წინასწარ იცნობენ შეფასების კრიტერიუმებს, აქტიურად მონაწილეობენ მიზნების დასახვასა და შედეგების ანალიზში. ასევე, გათვალისწინებულია დიფერენცირებული მიდგომები: შეფასება მორგებულია თითოეული მოსწავლის შესაძლებლობებზე და ემსახურება არა შეფასებას "შეფასებისთვის", არამედ განვითარების პროცესის სწორი მიმართულებით წარმართვას. **2.1.2.(5) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
სახელმწიფო ენა	კათედრის მიერ შემუშავებული განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებულ გრძელვადიან მიზნებს, პრინციპებთან და მეთოდიკურ ორიენტირებს. ასევე შეფასების სისტემებში გათვალისწინებულია მოსწავლეთა მიღწევების დონე და საფეხურის შედეგების ინდიკატორები. მასწავლებლებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ განმსაზღვრელ შეფასებასთან ერთად აქტიურად იყენებენ განმავითარებელ შეფასებას, უმეტესწილად იყენებენ ზეპირ უკუკავშირებს განმავითარებელი შეფასების რუბრიკაზე დაყრდნობით. წარმოდგენილი განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკიდან ჩანს, რომ შეფასება ეფუძნება საგნის სტანდარტით განსაზღვრულ მიღწევის ინდიკატორებს სამიზნე ცნებების მიხედვით. განმავითარებელი შეფასების რუბრიკები შექმნილია სოლო ტაქსონომიის მიხედვით სამიზნე ცნებებთან მიმართებით. ასევე წარმოდგენილია ანალიტიკური და ჰოლისტური შეფასების რუბრიკები. **რჩევა:** შეფასების რუბრიკები, სასურველია, მორგებული იყოს კონკრეტულ დავალებებზე, რათა უფრო ნათლად გამოჩნდეს, რას აფასებენ, მოლოდინები მოსწავლის შეფასებასთან დაკავშირებით ჩამოაყალიბონ სამიზნე

	ცნებასთან მიმართებით მოსწავლის შედეგების მიღწევის ინდიკატორების მიხედვით. **2.1.2.(5) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სკოლამ წარმოადგინა შეფასების რუბრიკები, რომლებშიც ჩანს, რომ შეფასება ეყრდნობ მათემატიკის საგნობრივი სტანდარტის თემების ფარგლებში მიღწევის ინდიკატორებ და მიემართება გრძელვადიან მიზნებს. კათედრის წევრებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, თუ რ უდიდეს მნიშვნელობას ანიჭებენ მოსწავლეთა შეფასებას, რომ შეფასება არის სწავლ სწავლების განუყოფელი პროცესი. განმავითარებელი კომენტარით აღვწერთ, მოსწავლეთ განვითარების დინამიკას, ხოლო განმსაზღვრელი შეფასებით საგნობრივი სტანდარტი შედეგის მიღწევის დონეს. შეფასების პროცესში მოსწავლეებს ვაძლევთ კონსტრუქციუ უკუკავშირს, სწავლის პროცესის გასაუმჯობესებლად, - აღნიშნეს კათედრის წევრებმ გასაუბრებისას და გამოხატეს მზაობა, მომავალშიც შეფასების სისტემა დაეფუძნება ესგ-ი მოთხოვნებს და შემუშავდება მოსწავლის შეფასების პრინციპების, მიზნების და ამოცანებ გათვალისწინებით ესგ-ის შესაბამისად. **2.1.2.(5) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში სამივე საფეხურზე წარმოდგენილი განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკების ნიმუშები შესაბამისობაში არ არის ეროვნული სასწავლო გეგმასთან, გრძელვადიან მიზნებთან და მეთოდიკურ ორიენტირებთან. გასაუბრებისას მასწავლებლებმა ისაუბრეს სასწავლო პროცესში გამოყენებულ განმსაზღვრელ და განმავითარებელ შეფასების პრინციპებზე, თუმცა ამის დამადასტურებელი შესაბამისი დოკუმენტაციის მოწოდება შეხვედრის შემდეგ არ მოხდა. გადმოგზავნილი დოკუმენტაციის ანალიზის საფუძველზე კი გამოიკვეთა, რომ მასწავლებელს გააზრებული არ აქვთ შეფასების მნიშვნელობა მოსწავლეთა განვითარებისა და სწავლა-სწავლების პროცესის სრულყოფისთვის. კერძოდ, განმავითარებელი შეფასების

	რუბრიკების კრიტერიუმები უნდა იყოს უფრო კონკრეტული, სტანდარტთან შესაბამისი რათა მოსწავლემ შეძლოს საკუთარი პროგრესის შეფასება. ხოლო განმსაზღვრელი შეფასება ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში ესგ მიხედვით ხორციელდება **ჩათვლა / არ ჩათვლა** პრინციპით და არა ქულობრივი სისტემით. სკოლამ წარმოადგინა არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად შეფასების რუბრიკები **2.1.2.(5) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	წარმოდგენილია განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები რამდენიმე კლასისთვის, რომლებიც ეფუძნება გრძელვადიან სამიზნე ცნებებსა და მკვიდრ წარმოდგენებს. მისი კომპონენტები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ მიზნებსა და ამოცანებს. **რჩევა:** განმსაზღვრელი და განმავითარებელი შეფასების რუბრიკები გაწერილი იყოს კონკრეტული კომპლექსური დავალების პირობაზე, რომელიც დაეფუძნება ესგ-ის მოთხოვნებს და შემუშავდება მოსწავლის შეფასების პრინციპების, მიზნების და ამოცანების გათვალისწინებით ესგ-ის შესაბამისად. **2.1.2.(5) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	დაწყებითი კათედრის შეფასების სისტემა, ძირითადად, ითვალისწინებს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ პრინციპებს, მიზნებსა და ამოცანებს. თუმცა წარმოდგენილ შეფასების რუბრიკებში ხშირად ზოგადი კრიტერიუმებია. **რჩევა:** კათედრას მიეცა რჩევა, შეფასების რუბრიკების შექმნისას დაეყრდნონ მე-3 თაობის ესგ ინდიკატორებსა და იმ კონკრეტული დავალების შეფასების კრიტერიუმებს, რომლისთვისაც იქმნება რუბრიკა, ანუ შეფასების კრიტერიუმები იყოს მეტად მორგებული კონკრეტულ დავალებაზე და ადვილად აღსაქმელი მოსწავლისათვის. სჯობს, შეფასების კრიტერიუმები მიემართებოდეს გრძელვადიან შედეგებს, საფეხურის შედეგებს ან სამიზნე ცნებებს, რათა

	გაიზომოს ესგ მიღწევის შედეგები. არსეულ შეფასების სქემებში აისახოს კონკრეტული თემა და გრძელვადიანი მიზანი.**2.1.2.(5) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. დანართი N1 სასკოლო სასწავლო გეგმა;
2. დანართი N4 კურიკულუმის შემუშავების სამუშაო ჯგუფის შექმნის და დებულების შესახებ;
3. დანართი N63 დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები;
4. დანართი N76 საბაზო საფეხურის კურიკულუმები;
5. დანართი N82 საშუალო საფეხურის კურიკულუმები;
6. დანართი N66 - განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტები;
7. დანართი N55 - ინკლუზიური განათლების მასალები;
8. დანართი N56 - ინკლუზიური განათლების შიდა მონიტორინგი;
9. დანართი N2 - ინკლუზიური განათლების სამოქმედო გეგმა;
10. ადაპტირებული კომპლექსური დავალება 4 კლ;
11. ადაპტირებული მათემატიკა 2 კლასი შემოქმედებითი დავალება;
12. დანართი N85 ისგ ოქმები;

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)
- ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა
☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.2. კურიკულუმის განხორციელება

2.2.1. სასწავლო პროცესი ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული აქტივობები უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას, საგნობრივ კურიკულუმში გაწერილი აქტივობები ინკლუზიური და დიფერენცირებული მიდგომებით, უზრუნველყოს სწავლის შედეგების მიღწევას. მასწავლებლებთან ინტერვიუდან ირკვევა, რომ სასწავლო პროცესი მომდინარეობს დიფერენცირებული მიდგომებით. გათალისწინებულია თითოეული მოსწავლის ინტერესები და შესაძლებლობები. თუმცა სკოლას არ წარმოუდგენია განხორციელებული აქტივობების

	დამადასტურებელი დოკუმენტები/აქტივობები, რომლებიც თვალსაჩინოდ წარმოაჩენდა რამდენად შესაბამისობაშია სასწავლო პროცესი კურიკულუმთან. **რჩევა:** სასურველია, კურიკულუმები მეტად იყოს სკოლის საჭიროებებზე მორგებული რეალური და დაძლევადი, ყოველივე ეს გაითვალისწინონ მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შექმნის დროს. **2.2.1.(1) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	კურიკულუმის მოთხოვნების შესაბამისად, წარმოდგენილი თემები და კომპლექსური დავალებები ორიენტირებულია მოსწავლეთა წინარე ცოდნისა და გამოცდილების გააქტიურებაზე, რაც ხელს უწყობს პიროვნული განვითარების პროცესს. სასწავლო აქტივობები მიმართულია როგორც შემოქმედებითი უნარების გააქტიურებაზე, ისე სოციო-ემოციური სფეროს განვითარებაზე, რაც თანხვედრაშია ეროვნული სასწავლო გეგმის მეთოდურ ორიენტირებთან. **რჩევა:** რეკომენდებულია კურიკულუმის განხორციელების პროცესში მეტი ყურადღება დაეთმოს შუალედური მონიტორინგის შედეგების დოკუმენტირებასა და რეფლექსიას, რაც ხელს შეუწყობს სასწავლო პროცესის შემდგომ სრულყოფას მოსწავლეთა ინდივიდუალური საჭიროებების შესაბამისად.**2.2.1.(1) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	კურიკულუმების მოთხოვნები ეყრდნობა კათედრების/დამრიგებლების მიერ შემუშავებულ სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტს. სასწავლო პროცესი მიმდინარეობს სასკოლო საზოგადოების აქტიური ჩართულობით შემუშავებული კურიკულუმების შესაბამისად, საჭიროების შემთხვევაში კი ხდება ცვლილებების შეტანა მათში. **2.2.1.(1) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	სსიპ ნინიგორის საჯარო სკოლა წარმოადგენს იმ ტიპურ საჯარო საგანმანათლებლო დაწესებულებას, რომელიც თემის სოციალურ და კულტურულ ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს ასრულებს. სკოლაში ესთეტიკურ კათედრას ჰყავს ორი მუსიკის და ხელოვნების მასწავლებელი. მიუხედავად ადამიანური და მატერიალური რესურსების სიმწირისა, სკოლამ

	შეძლო შეექმნა ისეთი სასწავლო გარემო, სადაც სასკოლო კურიკულუმი მჭიდროდ უკავშირდება თემის რეალურ საჭიროებებსა და ღირებულებებს. 2025 წელს დაწყებული კურიკულუმის განახლების პროცესში, სკოლის დირექციამ და ესთეტიკის კათედრამ პრიორიტეტად დაისახეს თემის ინტერესების გათვალისწინება. განხილვებში მონაწილეობდნენ მასწავლებლები, მოსწავლეები, მშობლები. ერთობლივად შემუშავებული მიდგომის შედეგად გამოიკვეთა, რომ ნინიგორში ძალიან ძლიერია ადგილობრივი მუსიკალური ტრადიციების სიყვარული — ბევრი ოჯახი ფლობს ხალხურ სიმღერებსა და საკრავებს, ხოლო სასკოლო ღონისძიებები ხშირად აერთიანებს ფოლკლორს, ქორეოგრაფიასა და გამოყენებით ხელოვნებას. მუსიკის მასწავლებელმა გადაწყვიტა, კურიკულუმის ფარგლებში აქცენტი გაეკეთებინა ადგილობრივი ფოლკლორის შესწავლასა და შესრულებაზე. საკლასო პროცესში მოსწავლეებს საშუალება ჰქონდათ გაცნობოდნენ ხალხურ საკრავებს, ჭიანური, ფანდური, ჩონგური, დოლი, სალამური და შედეგად შეძლეს შეექმნათ ხალხური საკრავები მეორადი გამოყენების ნივთებით, საღებავებით, ქაღალდებით და ა.შ. შესაბამისად, სწავლება არა მხოლოდ ცოდნის გადაცემის, არამედ კულტურული თვითმყოფადობის გაღრმავების პროცესად იქცა. ხელოვნების მასწავლებელმა დაიწყო პროექტული ტიპის გაკვეთილების ჩატარება, რომელიც მიზნად ისახავდა სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების პოპულარიზაციას სასკოლო საზოგადოებაში. მოსწავლეებმა მოაწყვეს გამოფენა მრავალფეროვან თემატიკაზე. სასურველია, მოსწავლეებს შევთავაზოთ აქტივობები, სოფლის კულტურული მემკვიდრეობის გაცნობასა და პოპულარიზაციასთან დაკავშირებით. მაგ: ადგილობრივი ტაძრები და ღირსშესანიშნაობები, აღმოჩენილი უძველესი ნივთები და ა.შ. მოსწავლეებს დაევალათ შექმნან თემატური პოსტერები, დახატონ აკვარელით, მოამზადონ გრაფიკული კომპოზიციები ტრადიციული არქიტექტურის ელემენტებით. ზოგიერთი აქტივობა ინტეგრირდეს ადგილობრივ მეურნეობებთან — მოსწავლეები ესტუმრნონ ფერმერებს, გადაიღონ ფოტოები და შექმნან ვიზუალური ნამუშევრები. მიუხედავად იმისა, რომ სკოლას არ აქვს პროფესიონალური სახელოსნო ან მდიდარი მატერიალურ-ტექნიკური ბაზა, მასწავლებლებმა უნდა მოახერხონ კრეატიული გზების პოვნა: გამოიყენონ ხელმისაწვდომი მასალები, აქტივობებში ჩართონ მშობლები, რომელთაგან

	ზოგიერთს ხელსაქმეში დიდი გამოცდილება აქვს და თავიანთი ცოდნას ბავშვებსაც გაუზიარებენ. ეს ყველაფერი ნათლად აჩვენებს, როგორ შეიძლება სასკოლო კურიკულუმი ფორმირდეს კონკრეტული სკოლის სოციალურ-კულტურული კონტექსტიდან და როგორ შეიძლება იგი გადაიქცეს თემისა და სკოლის თანამშრომლობის ჭეშმარიტ არენად. სწორედ ეს მიდგომა ქმნის ისეთი განათლების საფუძველს, რომელიც მკაფიოდ აირეკლავს ადგილობრივ რეალობას და ამავდროულად უზრუნველყოფს ეროვნული სტანდარტების დაცვას. **რჩევები:** სასურველია, სკოლამ ჩართოს თემის სხვადასხვა წარმომადგენელი — მშობლები, ადგილობრივი ხელოვანები, კულტურული მემკვიდრეობის მატარებლები — სასკოლო კურიკულუმის შინაარსის განსაზღვრაში. ეს ხელს შეუწყობს თემის ღირებულებების, ინტერესებისა და საჭიროებების ინტეგრირებას საგანმანათლებლო პროცესში. სასურველია, ესთეტიკური კათედრის კურიკულუმი ასახავდეს ადგილობრივ კულტურულ მემკვიდრეობას — მუსიკალურ, სახვით თუ გამოყენებით ხელოვნებას. მაგალითად, ფოლკლორისა და ტრადიციული ორნამენტების შესწავლა ხელს შეუწყობს მოსწავლეთა კულტურული იდენტობის განმტკიცებას. სოფლის სკოლებში ხშირად შეინიშნება რესურსების ნაკლებობა. სასურველია, მასწავლებლებმა მოიპოვონ მასალის მოძიების ალტერნატიული გზები. (მაგ., ბუნებრივი საღებავები, გადამუშავებული მასალები, თემში არსებული რესურსები). სასურველია, ხელოვნებისა და მუსიკის გაკვეთილები ინტეგრირებული იყოს თემთან ან სოფლის სოციალურ-ეკონომიკურ კონტექსტთან. მაგალითად, ხელოვნების გაკვეთილები დაკავშირდეს მეწარმეობასთან, ადგილობრივ არქიტექტურასთან და სოფლის ბუნებრივ ლანდშაფტთან. სასურველია, სკოლამ დაგეგმოს საერთო ღონისძიებები, სადაც მოსწავლეები თემის მონაწილეობით წარმოადგენენ თავიანთ ნამუშევრებს — მაგალითად, ფოლკლორული კონცერტები, გამოფენები ან თემატური საღამოები. ეს აძლიერებს სკოლასა და თემს შორის კავშირს. სასურველია, მოსწავლეებს მიეცეთ შესაძლებლობა გამოხატონ თავიანთი ინტერესები და მონაწილეობა მიიღონ თემატიკის შერჩევასა და შემოქმედებით პროცესში. ეს ზრდის მათ მოტივაციასა და ჩართულობას. რა თქმა უნდა, ესთეტიკის კათედრა მუშაობს კურიკულუმის გამრავალფეროვნებაზე. მათ აღწერეს განხორციელებული ღონისძიებები, თუმცა, აღნიშნეს,

	რომ პირველად შეიმუშავეს კურიკულუმი და შესაბამისად, მომდევნო სასწავლო წლიდან დაიწყებენ აქტიურ მუშაობას. ასევე, კურიკულუმში წარმოდგენილი თემები და საკითხები სახელმძღვანელოზე დაყრდნობით გაწერეს. კურიკულუმში შემოქმედებითი პროდუქტების ნაკლებობაა. პედაგოგებმა, რჩევის გათვალისწინებით, კურიკულუმს გადახედეს, ჩაასწორეს და დასაწყისისთვის, წლის განმავლობაში შეასრულებენ ორ ან სამ კომპლექსურ დავალებას, გაწერილი აქტივობებით. გაცემული რჩევები მათ დაეხმარება პრიორიტეტების განსაზღვრაში და შეძლებენ გაითვალისწინონ, რამდენად რეალურად აისახება მასში სასკოლო საზოგადოების (თემის) ხედვა, შესაძლებლობები და პრიორიტეტები.**2.2.1.(1) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია**.
სახელმწიფო ენა	დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე სასწავლო პროცესი დაგეგმილია და ხორციელდება სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. მასწავლებლები საუბრისას აღნიშნავდნენ, რომ სასწავლო პროცესის დაგეგმვისას ითვალისწინებენ სწავლა-სწავლების კონსტრუქტივისტულ პრინციპებს. კურიკულუმში წარმოდგენილი კომპლექსური დავალებების მიხედვით მოსწავლეებს ეძლევათ შესაძლებლობა აქტიურად იყვნენ ჩართული საკუთარი ცოდნის კონსტრუირებაში ფიქრის, მსჯელობის, პრობლემის გადაჭრის, კრიტიკული აზროვნების, შემოქმედებითი უნარის, მიზნის მისაღწევი ქმედებების დაგეგმვის და განხორციელების გზით. კომპლექსურ დავალებაზე მუშაობისას მოსწავლეები ქმნიან შემოქმედებით პროდუქტს და მიღებულ ცოდნას უკავშირებენ რეალურ ცხოვრებისეულ კონტექსტებს. განხორციელებული აქვთ სასწავლო შემოქმედებითი პროექტი წიგნიერების მნიშვნელობაზე, პროექტი-,,დამარხულ არს ენაი ქართული“. პროექტების შესახებ მასწავლებლებმა ისაუბრეს ინტერვიუს დროს. **2.2.1.(1) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

მათემატიკა	სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში იკვეთება, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილ და ხორციელდება ეროვნული სასწავლო გეგმის საგნობრივ სტანდარტებზე დაფუძნებ გრძელვადიან მიზნობრივ ორიენტირით შემუშავებულ და დამტკიცებული მათემატიკ კურიკულუმების შესაბამისად. სასწავლო პროცესში მუშავდება სამიზნე ცნ და სტანდარტის შედეგები. შემოქმედებითი ტიპის დავალებების განხორციელებაც ამ მიზ ემსახურება. სასწავლო პროცესს ვახორციელებთ სამიზნე ცნებებისა და თემის ფარგლებ შედეგის მიღწევის ინდიკატორების გათვალისწინებით და კურიკულუმის შესაბამისა აღნიშნეს კათედრის წევრებმა საუბრისას და გამოხატეს მზაობა მომავალში სასწავ პროცესი კურიკულუმების შესამაბისად წარმართონ. **2.2.1.(1) ინდიკატორის მოთხოვ დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	წარმოდგენილი დოკუმენტაციიდან და ასევე მასწავლებლებთან გასაუბრებით დგინდება, რომ სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად და ემსახურება ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული მიზნების მიღწევას. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ კურიკულუმში გაწერილია ისეთი სპორტის სახეობებიც, რომელთა განხორციელებისთვის სკოლაში შესაბამისი სპორტული რესურსი ან ინვენტარი ხელმისაწვდომი არ არის. აღნიშნული გარემოება გარკვეულ სირთულეებს ქმნის ყველა აქტივობის სრულფასოვანი განხორციელების პროცესში, რის გამოც ზოგიერთ შემთხვევაში საჭირო ხდება აქტივობების ადაპტირება და არსებული რესურსების შესაბამისად დაგეგმვა. **რჩევა:** სასურველია, კურიკულუმის შემუშავებისას გათვალისწინებული იყოს სკოლაში არსებული სპორტული რესურსი, რათა სასწავლო პროცესი განხორციელდეს დაგეგმილი კურიკულუმის შესაბამისად. **2.2.1.(1) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ტექნოლოგიები	წარმოდგენილ საგნობრივ კურიკულუმში გათვალისწინებული სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. **2.2.1.(1) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კათედრის მიერ წარმოდგენილ კურიკულუმებზე, გაკვეთილის გეგმებსა და სხვა დოკუმენტაციაზე დაყრდნობით, ასევე, მასწავლებლებთან ჩატარებული ინტერვიუს საფუძველზე შეიძლება დავასკვნათ, მთელი სასწავლო პროცესი დაგეგმილია სასკოლო კურიკულუმის შესაბამისად. საგნობრივ კურიკულუმებში ჩანს, რომ დაგეგმვა ითვალისწინებს სასწავლო წლის სტრუქტურას, თემატურ ერთეულებსა და საგნობრივი სტანდარტების მოთხოვნებს. აქტივობები მიზანმიმართულია კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევაზე და თანხვედრაშია სკოლის საერთო საგანმანათლებლო ხედვასთან. **2.2.1.(1) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა მოქნილად რეაგირებს შემხვედრ საჭიროებებზე

სსიპ - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ნინიგორის საჯარო სკოლა სასწავლო პროცესის ხარისხიანად და ეფექტიანად წარმართვის მიზნით მუდამ მზად არის სასკოლო საზოგადოებასთან დიალოგისთვის. პროცესების თანმიმდევრულად მიყოლა და მონიტორინგი იძლევა საშუალებას, დროულად იქნას იდენტიფიცირებული სხვადასხვა საჭიროება მასწავლებლის, აღმზრდელის, მოსწავლის, თვითმართველობის, თუ ნებისმიერი სასკოლო პერსონალის მხრიდან.

- ✓ ინტერვიუირების შედეგად გამოიკვეთა, რომ საჭიროების წარმოშობის შემთხვევაში სკოლის თითოეულ რგოლს აქვს მზაობა საჭიროების მიზეზის დადგენისა და მის აღმოფხვრაზე ზრუნვის.
- ✓ სკოლისთვის ინფორმაციის წყარო შეიძლება იყოს როგორც წერილობითი, ასევე ელექტრონული თუ ზეპირსიტყვიერი შეტყობინება/ანგარიში.

- ✓ მოქნილად რეაგირებისთვის დირექცია დელეგირებას ახდენს შესაბამისი რგოლის ხელმძღვანელზე და მონიტორინგს უწევს მის მიერ გადადგმულ ნაბიჯებს.

2.2.1.(2) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური, სამართლიანი

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	შეფასების სისტემა სამივე საფეხურზე **შეესაბამება** ინდიკატორის მოთხოვნებს. **რჩევა**: კარგი იქნება, თუ შეფასების სისტემის ვალიდურობის პრინციპის უზრუნველყოფის მიზნით შეიმუშავებენ უფრო კონკრეტულ, გრძელვადიან მიზნებზე ორიენტირებულ შეფასების რუბრიკებს. ასევე სასურველია შემუშავდეს შეფასების რუბრიკების მოსწავლეებისა და მათი მშობლებისათვის გაცნობის მექანიზმი. მოსწავლეებს წინასწარ მიაწოდონ დავალების პირობა, მიზანი და შეფასების კრიტერიუმები. კათედრის წევრებმა მოლოდინების შესაბამისად გააანალიზონ მოსწავლეთა ნამუშევრები შუალედურ მიზნებთან მიმართებით და მიაწოდონ უკუკავშირი კათედრაზე შეთანხმებული ფორმითა და ფორმატით**2.2.1.(3) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე მოქმედი შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი. იგი ზოგადად ეფუძნება ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპებს და მიზნად ისახავს მოსწავლის ჰოლისტურ განვითარებას. კურიკულუმების ანალიზით დასტურდება, რომ შეფასება ორიენტირებულია როგორც ცოდნის შეძენაზე, ისე სამიზნე ცნებებთან დაკავშირებული უნარების გამოვლენაზე. მასწავლებლების მიერ გამოყენებული კონსტრუქციული უკუკავშირი ხელს უწყობს სწავლის პროცესის გამჭვირვალობასა და მოსწავლეთა აკადემიური წინსვლის სამართლიან შეფასებას,

	თუმცა კათედრას აქვს რესურსი შემდგომი დახვეწისთვის, რათა შეფასების პრაქტიკა ყველა საფეხურზე უფრო ერთგვაროვანი გახდეს. **რჩევა:** მიზანშეწონილია საზოგადოებრივი მეცნიერებების შეფასების რუბრიკების შემდგომი დახვეწა და მათი მეტი კონკრეტიზაცია სამიზნე ცნებების მკვიდრ წარმოდგენებთან მიმართებით, რათა შეფასების სისტემის ვალიდურობა და ობიექტურობა ყველა საფეხურზე თანაბრად იყოს დოკუმენტირებული და დადასტურებული. **2.2.1.(3) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების გასაუმჯობესებლად სკოლა იყენებს განმსაზღვრელ (V კლასის II სემესტრი და VI კლასი) და განმავითარებელ შეფასებებს. შეფასება ხორციელდება ათქულიანი სისტემით. უცხოური ენების მასწავლებლები სასწავლო პროცესის განმავლობაში პერიოდულად აანალიზებენ შემაჯამებელ დავალებებს და მოსწავლეთა აკადემიურ მოსწრებას კონკრეტული რეკომენდაციების შესამუშავებლად. კათედრა იყენებს შეფასების სქემებს ამა თუ იმ აქტივობებისთვის. შეფასებისას მასწავლებელი ეყრდნობა კრიტერიუმებს, რომლებიც უზრუნველყოფენ ცნებასთან/ცნებებთან დაკავშირებული მკვიდრი წარმოდგენების დაუფლების დონის განსაზღვრას. სადიაგნოსტიკო შეფასების ინსტრუმენტით კონტროლდება მოსწავლეთა შეფასების ობიექტურობის ხარისხიც. მოსწავლეთა შეფასების კრიტერიუმები გამჭვირვალეა და ცნობილია სასკოლო საზოგადოებისათვის; განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების რუბრიკები ითვალისწინებს გრძელვადიან მიზნებს. განმავითარებელი შეფასება აღწერს მოსწავლის განვითარების დინამიკას, ცოდნის კონსტრუირების პროცესს, წინარე ცოდნაზე ახლის დაშენებას. შეფასების ფორმები, დონეები და რუბრიკები მოცემულია სასკოლო სასწავლო გეგმაში, რომელიც არის საჯარო და ყველასთვის ხელმისაწვდომი. პედაგოგები მოსწავლეებს ინტენსიურად აცნობენ შეფასების სისტემას, ხოლო კონკრეტული დავალებების შემთხვევაში - კონკრეტულ რუბრიკას, რომელიც უკავშირდება დავალების მიზანს. შემოქმედებითი დავალების პირობას შესაბამისი შეფასების კრიტერიუმებით სასწავლო წლის დასაწყისში მასწავლებლები აცნობენ მოსწავლეებს და მათ მშობლებს, რაც განაპირობებს მის

	გამჭვირვალობას. **რჩევა:** სასურველია უცხოური ენების კათედრამ შეიმუშავოს კონკრეტულ თემებზე/საკითხებზე მორგებული შეფასების სქემები/რუბრიკები, რათა უზრუნველყოფილი იყოს შეფასების სისტემის ვალიდურობა, სანდოობა და ობიექტურობა. (ეხება სამივე საფეხურს).**2.2.1.(3) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	მუსიკისა და ხელოვნების საგნების მიმართულებით შეფასების სისტემა ეფუძნება ეროვნულ სასწავლო გეგმით განსაზღვრულ ძირითად პრინციპებს და მოსწავლეზე ორიენტირებულ მიდგომებს. სასწავლო პროცესში საგნობრივი შეფასება არ წარმოადგენს მხოლოდ მოსწავლის აკადემიური ცოდნის რაოდენობრივ აღრიცხვას – იგი გადამწყვეტ როლს თამაშობს პიროვნული და შემოქმედებითი განვითარების წახალისებაში. შეფასება მჭიდროდ უკავშირდება სასწავლო პროცესის შინაარსს. მასწავლებლები იყენებენ იმ დავალებებს, რომლებიც საშუალებას აძლევს მოსწავლეს გამოხატოს საკუთარი შემოქმედებითი იდეა და რეალურად წარმოაჩინოს კომპეტენცია: იქნება ეს მუსიკალური კომპოზიციის შესრულება, ინსცენირება, მხატვრული ჩანახატის შექმნა თუ პრეზენტაცია ხელოვნების საკითხების შესახებ. თითოეული დავალება წინასწარ შეთანხმებული კრიტერიუმებით ფასდება, რაც უზრუნველყოფს შედეგების ობიექტურობასა და სტაბილურობას. მოსწავლეებს ყოველთვის აქვთ ინფორმაცია, როგორ და რა საკითხსა თუ თემაზე აფასებენ მათ. ხშირად გამოყენებულია სიტყვიერი, განმავითარებელი უკუკავშირი, რაც ეხმარება მათ პროგრესის გაგებაში. მასწავლებლები უთითებენ როგორც ძლიერ მხარეებს, ისე იმ ასპექტებს, რომლებზეც მუშაობაა საჭირო, რაც ასევე ზრდის მოსწავლეთა მოტივაციას. კათედრაზე აღნიშნეს, რომ ჰყავთ ინდივიდუალური საჭიროების მქონე მოსწავლე, ამიტომაც განსაკუთრებული მიდგომების გამოყენების გამოცდილებაც აქვთ ამ მიმართულებით. პრაქტიკაში გამოიყენება სხვადასხვა ტიპის დავალება – ჯგუფური პროექტები, დამოუკიდებელი შემოქმედებითი ნამუშევრები, თვითშეფასება, ურთიერთშეფასება, ჩანაწერთა დღიური. ეს ავითარებს თანამშრომლობის, კრიტიკული აზროვნებისა და ანალიზის უნარებს. **სასურველია,** შეფასების პროცესში უფრო აქტიურად ინტეგრირდეს ციფრული ინსტრუმენტები – მაგალითად, მოსწავლეთა ნამუშევრების ვიდეოფიქსაცია,

	ციფრული პორტფოლიოები, ონლაინ პლატფორმებით შეფასება. ეს გაზრდის პროცესის დოკუმენტურ გამჭვირვალობას და გააუმჯობესებს უკუკავშირის ხარისხს. **სასურველია,** შეფასების პროცესში მოსწავლეთა როლი გაფართოვდეს არა მხოლოდ თვითშეფასებით, არამედ შეფასების კრიტერიუმების ერთობლივი შედგენით, რაც მათ ჩართულობას და პასუხისმგებლობას გაზრდის. **სასურველია,** მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მხარდაჭერა შეფასების ინოვაციური მეთოდების შესახებ პროფესიული ტრენინგების გზით, რაც ხელს შეუწყობს შეფასების პრაქტიკის გაღრმავებას და გააუმჯობესებს არსებული ინსტრუმენტების გამოყენების უნარებს. მუსიკისა და ხელოვნების შეფასების სისტემა ნინიგორის საჯარო სკოლაში განვითარებაზე ორიენტირებული და მრავალფეროვანია. შეფასების სისტემამ უკვე აჩვენა პოზიტიური შედეგები, თუმცა მისი განვითარების პოტენციალი კვლავ არსებობს – განსაკუთრებით ტექნოლოგიების, მოსწავლეთა ჩართულობისა და მეთოდოლოგიური გამრავალფეროვნების მიმართულებით. **რჩევები:** სასურველია, შეფასების პროცესში უფრო აქტიურად ინტეგრირდეს ციფრული ინსტრუმენტები – მაგალითად, მოსწავლეთა ნამუშევრების ვიდეოფიქსაცია, ციფრული პორტფოლიოები, ონლაინ პლატფორმებით შეფასება. სასურველია, შეფასების პროცესში მოსწავლეთა როლი გაფართოვდეს არა მხოლოდ თვითშეფასებით, არამედ შეფასების კრიტერიუმების ერთობლივი შედგენით, რაც მათ ჩართულობას და პასუხისმგებლობას გაზრდის. სასურველია, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების მხარდაჭერა შეფასების ინოვაციური მეთოდების შესახებ პროფესიული ტრენინგების გზით, რაც ხელს შეუწყობს შეფასების პრაქტიკის გაღრმავებას და გააუმჯობესებს არსებული ინსტრუმენტების გამოყენების უნარებს. **2.2.1.(3) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**.
სახელმწიფო ენა	კათედრის მიერ შემუშავებული განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასებები, ანალიტიკური და ჰოლისტური შეფასების ინსტრუმენტები უზრუნველყოფს ვალიდურ, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტურ და სამართლიან შეფასებას. წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები შეესაბამება ეროვნული სასწავლო გეგმის მიზნებს და ზომავს საგნის სტანდარტის შედეგებს. პედაგოგებმა აღნიშნეს, რომ ცდილობენ ყოველთვის ობიექტური

	უკუკავშირი მიაწოდონ მოსწავლეებს. სასწავლო პროცესში ხშირად მიმართავენ მოსწავლეთა თვითშეფასებასაც. წარმოდგენილი შეფასებების რუბრიკები ასახავს აქტივობის შინაარსს, მიზნებს, კრიტერიუმებს ქულებთან ერთად, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა ნამუშევრების ობიექტურ შეფასებას. მასწავლებლებმა საუბრისას გამოთქვეს მზაობა, რომ საკუთარი გამოცდილების გაანალიზების შედეგად კიდევ უფრო გააუმჯობესებენ შეფასების სისტემას, შემუშავებული ექნებათ შეფასების კრიტერიუმების შესაბამისი შეფასების რუბრიკები. **2.2.1.(3) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სკოლამ წარმოადგინა შეფასების რუბრიკები. ეს რუბრიკები შეესაბამება მათემატიკის საგნობრივ სტანდარტებში მიღწევის ინდიკატორებს, რაც ადასტურებს მის ვალიდურობას. სანდოა, რადგან გასაზომი კრიტერიუმებია წარმოდგენილი, სამართლიანია, რადგან შეფასება დამოკიდებულია ობიექტურ შეფასების სისტემაზე. გამჭირვალეა, რადგან მოსწავლეებისათვის წინასწარ ცნობილია კრიტერიუმები, რაც აღნიშნეს და დაადასტურეს კათედრის წევრებმა გასაუბრების დროს. იგივეს ადასტურებს წარმოდგენილი რუბრიკებიც. **2.2.1.(3) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	ფიზიკურ აღზრდასა და სპორტში სამივე საფეხურზე წარმოდგენილი რუბრიკები ნაწილობრივ შეესაბამება საგნობრივ სტანდარტებში მიღწევის ინდიკატორებს, შეფასების კრიტერიუმები, საჭიროებს დახვეწას, რათა სრულად შეესაბამებოდეს შეფასების სისტემის ძირითად პრინციპებს. ხარვეზი: რეკომენდებულია კრიტერიუმებისა დაზუსტება, შეფასების დონეების მკაფიო დიფერენცირება და მათი შესაბამისობა და პირდაპირი დაკავშირება სასწავლო მიზნებსა და მოსწავლეთა მისაღწევ შედეგებთან. აღნიშნული ცვლილებები ხელს შეუწყობს შეფასების პროცესის უფრო ობიექტურ, გამჭვირვალე და სანდო განხორციელებას. სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და შესაბამისი რუბრიკები **2.2.1.(3) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

ტექნოლოგიები	წარმოდგენილი შეფასების რუბრიკები შემუშავებულია კურიკულუმში არსებული შინაარსისა და მისაღწევი შედეგების მიხედვით, საგნობრივი სტანდარტით გათვალისწინებული მოთხოვნების შესაბამისად. შეფასების სისტემა არის ვალიდური, გამჭვირვალე, სანდო, ობიექტური და სამართლიანი.სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და შესაბამისი რუბრიკები . **2.2.1.(3) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	შეფასების სისტემა პასუხობს ვალიდურობის, გამჭვირვალობის, სანდოობის, ობიექტურობისა და სამართლიანობის პრინციპებს. შეფასების კრიტერიუმები წინასწარ არის განსაზღვრული და მოსწავლეებისთვის ხელმისაწვდომია, რაც უზრუნველყოფს პროცესის სიცხადეს და ნდობას. მოსწავლეების შეფასება ხდება სასწავლო პროცესზე დაკვირვებით, სხვადასხვა ეტაპზე და სხვადასხვა აქტივობების შეფასებით. **2.2.1.(3) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლაში ფუნქციონირების შეფასების სისტემის ვერიფიკაციის მექანიზმი

სსიპ - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ნინიგორის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილია ვერიფიკაციის მექანიზმი და მოსწავლის მიღწევების შეფასების წესი. სკოლა ვერიფიკაციას ახორციელებს სამი მიმართულებით - შეფასებისას გამოყენებული ინსტრუმენტის ვერიფიკაცია, პროცესის ვერიფიკაცია და მტკიცებულებების ვერიფიკაცია. ამავე დოკუმენტში აღნიშნულია, რომ შეფასების ინსტრუმენტის ვერიფიკაცია ეფუძნება შემდეგ პრინციპებს:

- ვალიდურობას;
- სანდოობას;
- გამჭვირვალობა;
- სამართლიანობა;

- ობიექტურობა.

დოკუმენტით ასევე გათვალისწინებულია, რომ ვერიფიკაციის პროცესებს ახორციელებს ვერიფიკაციის ჯგუფი - დირექტორის მოადგილე, კათედრის ხელმძღვანელი.

ინტერვიუირების დროს ვერიფიკაციის პროცესი მოკლედ ამგვარად დაახასიათეს: სამუშაო გეგმის შექმნა, რისკების განსაზღვრა, ვერიფიკაციის განხორციელება, შედეგების ანალიზი (ნათლად უნდა იკვეთებოდეს, თუ რამდენად იყო/არ იყო მოსწავლეების შეფასება სანდო, ვალიდური, გამჭვირვალე, სამართლიანი და ობიექტური) და უკუკავშირი (პრობლემების აღმოფხვრის გზების შემუშავება).

ინტერვიუირების შედეგად ასევე გამოიკვეთა, რომ მასწავლებლებს, ვერიფიკაციის ჯგუფის წევრებს სწორად ესმით ვერიფიკაციის არსი - მიღებული შედეგების გამოყენება სკოლაში სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით.

სკოლის წარმომადგენლები მაქსიმალურად ცდილობენ კათედრებზე ურთიერთთანამშრომლობითი მუშაობის შედეგად თავმოყრილი შეფასების ინსტრუმენტები იყოს რელევანტური და სწავლის შედეგების შეფასების საშუალებას იძლეოდეს ყველა კრიტერიუმის მიხედვით (მაგ.: კომპლექსური დავალებები). ასევე ცდილობენ, შეფასების პროცესი გამჭვირვალედ და სამართლიანად მიმდინარეობდეს (შეფასების რუბრიკებს წინასწარ აცნობენ, შეფასებისას ყველას ერთნაირ პირობებში აყენებენ და ა.შ.).

2.2.1.(4) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

5. **სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით**

სსიპ - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ნინიგორის საჯარო სკოლის კათედრებთან ინტერვიუირებით გადამოწმდა, რომ სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების სათანადო აღრიცხვასა და დაცვას კანონით განსაზღვრული წესის შესაბამისად.

შესაბამისად „სკოლა უზრუნველყოფს შეფასებასთან დაკავშირებული მონაცემების/ინფორმაციის/მტკიცებულებების სათანადო აღრიცხვასა და შენახვას არანაკლებ 3 წლის ვადით“.

2.2.1.(5) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
1. დანართი N67 - ვერიფიკაციის მექანიზმები;
2. დანართი N66 - განმავითარებელი და განმსაზღვრელი შეფასების ინსტრუმენტები;
3. დანართი N1 სასკოლო სასწავლო გეგმა;
4. დანართი N4 კურიკულუმის შემუშავების სამუშაო ჯგუფის შექმნის და დებულების შესახებ;
5. დანართი N63 დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები;
6. დანართი N76 საბაზო საფეხურის კურიკულუმები;
7. დანართი N82 საშუალო საფეხურის კურიკულუმები;

2.2.2. სასწავლო პროცესი უზრუნველყოფილია შესაბამისი რესურსით

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში**

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	რაც შეეხება სწავლის პროცესში გამოყენებულ ძირითად და დამხმარე სასწავლო რესურსს საგნობრივი კურიკულუმიდან გამომდინარე მიზნობრივად ჰქონდათ წარმოდგენილი. საგანში (ბუნებისმეტყველება, ქიმია, ბიოლოგია, ფიზიკა) კურიკულუმები შემუშავებულია გრიფირებული სახელმძღვანელოების მიხედვით.

	აგრეთვე კათედრა მრავლად იყენებს სხვადასხვა ტიპის ელექტრონულ რესურსებს (ბმულები მოცემულია კურიკულუმებში). პედაგოგებთან გასაუბრებისას გაირკვა, რომ მიუხედავად ლაბორატორიის არარსებობისა, მწირი რესურსებით მაინც ხორციელდება აუცილებელი ექსპერიმენტები.**2.2.2.(1) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე სასწავლო პროცესი ეყრდნობა კურიკულუმით განსაზღვრულ ძირითად რესურსებს. მასწავლებლები ცდილობენ გამოიყენონ დამხმარე მასალებიც, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა წინარე ცოდნისა და გამოცდილების გააქტიურებას, თუმცა რესურსების გამოყენება ხშირად შემოიფარგლება სტანდარტული სასწავლო მასალებით. შერჩეული რესურსები ზოგადად ორიენტირებულია მოსწავლის პიროვნულ ზრდასა და სოციო-ემოციური სფეროს განვითარებაზე, მაგრამ სასწავლო პროცესში ნაკლებად იკვეთება რესურსების მრავალფეროვნება, რაც აუცილებელია დიფერენცირებული სწავლების სრულფასოვანი რეალიზებისთვის. რესურსების მართვისა და გამოყენების პროცესი საჭიროებს მეტ სისტემურობას კათედრაზე. **რჩევა:** მიზანშეწონილია კათედრამ იმუშაოს რესურსების ბაზის გამდიდრებაზე, განსაკუთრებით ციფრული და თვალსაჩინო მასალების მიმართულებით. სასურველია, მასწავლებლებმა მოახდინონ გამოყენებული რესურსების ეფექტიანობის პერიოდული ანალიზი, რათა უკეთ განისაზღვროს, თუ რომელი დამხმარე მასალა უწყობს ხელს მოსწავლეთა ფუნქციური უნარების განვითარებას ყველაზე უკეთ. **2.2.2.(1) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	სკოლის საგნობრივ კურიკულუმებში მითითებულია ძირითადი და დამხმარე რესურსები. საფეხურის საგნობრივი კურიკულუმების ძირითადი რესურსია გრიფმინიჭებული სასკოლო სახელმძღვანელოები.

	საგნობრივი კურიკულუმებით განსაზღვრულია აგრეთვე ელექტრონული რესურსების გამოყენება. **2.2.2.(1) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	ესთეტიკის კათედრის მასწავლებლებთან ინტერვიუს პროცესში გამოიკვეთა, რომ მათი სასწავლო რესურსი სასკოლო სახელმძღვანელოა. მხოლოდ სახელმძღვანელოს გამოყენებით ვერ მოხდება საჭირო სასწავლო თემატიკის შემუშავება. მასწავლებლები საკუთარ გამოცდილებას უშურველად უზიარებენ მოსწავლეებს და გეგმავენ მრავალფეროვან აქტივობებს კურიკულუმის განვითარებისთვის, რომელშიც მეტად გაითვალისწინებენ საზოგადოების ინტერესებს. სასკოლო საზოგადოების ინტერესების იდენტიფიცირება უნდა მოხდეს კურიკულუმის დაგეგმვამდე. **სასურველია,** ესთეტიკურმა კათედრამ გაიაროს კონსულტაციები, მოახდინოს გამოკითხვა სკოლის დირექტორთან, მასწავლებლებთან, მშობლებთან და თემის წარმომადგენლებთან, რათა გამოავლინოს, რას მიიჩნევს სკოლა და საზოგადოება პრიორიტეტულად. **სასურველია,** ინტეგრირებული თემატიკის არჩევა სკოლის სპეციფიკის მიხედვით. **სასურველია,** კურიკულუმში აისახოს სკოლის გეოგრაფიული მდებარეობის, ისტორიის, კულტურული მემკვიდრეობისა და თემის პროფილის (მაგ., სოფლის მეურნეობა, ხელოვნება, მეღვინეობა) შესაბამისი თემები. **სასურველია,** დირექციამ მისცეს პედაგოგებს თავისუფლება და მხარდაჭერა, რათა მათ შეძლონ თემისთვის რელევანტური აქტივობების შემუშავება საგნობრივი სტანდარტების ფარგლებში. ადგილობრივი ინტერესების ასახვის ერთ-ერთი პრაქტიკული გზა თემთან თანამშრომლობითი პროექტებია: ერთობლივი გამოფენები, ხალხური სიმღერის კონცერტები, თემატური დღეები, ექსპედიციები და ა.შ. **რჩევები:**

	სასურველია, ესთეტიკურმა კათედრამ გაიაროს კონსულტაციები, მოახდინოს გამოკითხვა სკოლის დირექტორთან, მასწავლებლებთან, მშობლებთან და თემის წარმომადგენლებთან, რათა გამოავლინოს, რას მიიჩნევს სკოლა და საზოგადოება პრიორიტეტულად. **სასურველია,** ინტეგრირებული თემატიკის არჩევა სკოლის სპეციფიკის მიხედვით. **სასურველია,** კურიკულუმში აისახოს სკოლის გეოგრაფიული მდებარეობის, ისტორიის, კულტურული მემკვიდრეობისა და თემის პროფილის (მაგ., სოფლის მეურნეობა, ხელოვნება, მეღვინეობა) შესაბამისი თემები. **სასურველია,** დირექციამ მისცეს პედაგოგებს თავისუფლება და მხარდაჭერა, რათა მათ შეძლონ თემისთვის რელევანტური აქტივობების შემუშავება საგნობრივი სტანდარტების ფარგლებში. **2.2.2.(1) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	დაწყებით, საბაზო და საშუალო საფეხურზე სასკოლო კურიკულუმებში წარმოდგენილია ძირითადი და დამხმარე რესურსები საკითხების შესაბამისად, რიგ შემთხვევაში არ არის მითითებული სახელმძღვანელოების ავტორები, გვერდები და ელექტრონული რესურსების ბმულები. რესურსის შერჩევა ხდება კათედრის სხდომასა და პედაგოგიურ საბჭოზე განხილვის გზით. **რჩევა:** სასურველია ყველა კლასში კურიკულუმებში წარმოდგენილი საკითხის შესაბამისად უზრუნველყონ ელექტრონული თუ მატერიალური რესურსების მრავალფეროვნება. **2.2.2.(1) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	მათემატიკის საგნობრივ კურიკულუმებში მოცემულია სწავლის და სწავლების მიზნის შესაბამისი საგანმანათლებლო რესურსები, ძირითადად გრიფმინიჭებული სახელმძღვანელო, იყენებენ სხვადასხვა პლატფორმებსაც, რაც დაადასტურა კიდეც კათედრის ზოგიერთმა წევრმა გასაუბრების დროს.

	რჩევა: • **სასურველია სასწავლო პროცესში გამოყენებულ იქნას მრავალფეროვანი სასწავლო რესურსი.** **2.2.2.(1) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	კურიკულუმებში წარმოდგენილია როგორც გრიფირებული, ასევე არაგრიფირებული, თუმცა თემატურად შესაბამისი და სასწავლო მიზნებთან თანხვედრილი რესურსები. გრიფირებული სახელმძღვანელოები გამოიყენება როგორც ძირითადი სასწავლო რესურსი და უზრუნველყოფს კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო საკითხებისა და შედეგების სისტემურ წარმოდგენას. ამასთანავე სასწავლო პროცესში გამოყენებული დამატებითი, არაგრიფირებული წიგნები, რომლებიც თემის უკეთ გააზრებასა და საკითხის მრავალმხრივ განხილვას უწყობს ხელს. **რჩევა:** სასურველია წარმოდგენილ კურიკულუმებში სასწავლო რესურის შერჩევისას გათვალისწინებული იყოს მოსწავლეთა ასაკობრივი თავისებურებები, საფეხურეობრივად მიეთითოს შესაბამისი კლასის გრიფმინიჭებული წიგნები, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას, ცოდნის გაღრმავებას და კურიკულუმით განსაზღვრული სასწავლო შედეგების მიღწევას. **2.2.2.(1) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი და დამხმარე სასწავლო რესურსი გამოიყენება სასწავლო პროცესში. სკოლას აქვს სასკოლო-სასწავლო გეგმით დასახული მიზნების განხორციელებისთვის აუცილებელი საინფორმაციო საკომუნიკაციო ტექნოლოგები. სკოლაში მოქმედი 37 ლეპტოპი, 7 პროექტორი, 7 პრინტერი და 3 პერსონალური კომპიუტერი. სკოლის მთელი ტერიტორია დაფარულია ინტერნეტით. წარმოდგენილი ელექტრონული რესურსები ხელს უწყობს მოსწავლის მიერ

	კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. **2.2.2.(1) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმებში ასახულია, ასევე გასაუბრებისას გამოიკვეთა, რომ დაწყებით საფეხურზე, მასწავლებლები იყენებენ მრავალფეროვან რესურსებს, როგორც ელექტრონულს, ასევე მატერიალურს, რაც უზრუნველყოფს მოსწავლეთა მოტივაციის და ჩართულობის გაზრდას, საკითხის სიღრმისეულ გააზრებას. **რჩევა:** კურიკულუმებში აისახოს ის რესურსები, რომლებსაც იყენებენ ამა თუ იმ საკითხის შესაბამისად. **2.2.2.(1) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

2. სკოლა უზრუნველყოფს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციას

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სამივე საფეხურზე ხდება სასწავლო პროცესში კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი რესურსების (სახელმძღვანელო, სამუშაო რვეულები) და დამხმარე რესურსების გამოყენება. სკოლას არ აქვს ლაბორატორია, ამიტომ ბუნებისმეტყველების გაკვეთილებზე გამოიყენება უსაფრთხო სადემონსტრაციო ექსპერიმენტები და ვიდეორესურსები. **2.2.2.(2) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კათედრაზე სასწავლო პროცესი ძირითადად ეყრდნობა კურიკულუმით განსაზღვრულ რესურსებს, რაც ხელს უწყობს მოსწავლეთა წინარე ცოდნისა და გამოცდილების გააქტიურებას. სკოლაში არსებობს დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაციის პრაქტიკა, რაც გულისხმობს მასწავლებლების მიერ შერჩეული მასალების ზოგად განხილვას მათი მიზნობრიობის დასადგენად. თუმცა, აღნიშნული პროცესი ხშირად

	ფრაგმენტულია და ყოველთვის არ აისახება რესურსების რეალურ მრავალფეროვნებაზე. მიუხედავად იმისა, რომ გამოყენებული მასალები ორიენტირებულია მოსწავლის პიროვნულ ზრდაზე, ვალიდაციის მექანიზმს მეტი სისტემურობა ესაჭიროება, რათა მან რეალური გავლენა მოახდინოს სწავლა-სწავლების ხარისხზე. **რჩევა:** სასურველია, რესურსების ვალიდაციის პროცესი გახდეს უფრო შინაარსობრივი და სისტემური. მიზანშეწონილია კათედრამ რესურსების შერჩევისას მეტი ყურადღება დაუთმოს მათ გამრავალფეროვნებასა და ბაზის გამდიდრებას. **2.2.2.(2) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	სკოლა ახორციელებს დამხმარე რესურსების ვალიდაციას. რესურსების ჩამონათვალი შესაბამისი დასაბუთებით განიხილება და მტკიცდება საგნობრივ კათედრებზე სასწავლო წლის დაწყებამდე საგნობრივი კურიკულუმების შემუშავება/რევიზიის პროცესის ფარგლებში და იგი სასკოლო სასწავლო გეგმის (საგნობრივი კურიკულუმების) შემადგენელი ნაწილია. სასწავლო წლის განმავლობაში პედაგოგები თანამშრომლობენ ერთმანეთთან და შეხვედრებზე განიხილავენ კურიკულუმის დანერგვის მიმდინარეობის საკითხებს, მათ შორის შერჩეული დამხმარე რესურსის ვალიდურობასა და ეფექტიანობას, რაც აადვილებს რესურსის შეფასების საქმეს. **რჩევა:** მიზანშეწონილია გადაიხედოს რესურსების ვალიდაციის პროცესი, დაიხვეწოს მისი განხორციელების მექანიზმები. **2.2.2.(2) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	მუსიკისა და ხელოვნების (ესთეტიკის) კათედრა, განსაკუთრებულ მნიშვნელობას ანიჭებს სასწავლო რესურსების შერჩევისა და გამოყენების პროცესის მიზნობრიობასა და სანდოობას. სასწავლო რესურსის ვალიდაცია განიხილება, როგორც სწავლის ხარისხის ერთ-ერთი

	განმსაზღვრელი კომპონენტი. დამხმარე რესურსების გამოყენება ხდება წინასწარ დაგეგმილი თემატიკისა და სასწავლო მიზნების მიხედვით. რესურსის შერჩევისას პედაგოგები ითვალისწინებენ ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრულ სტანდარტებსა და უნარებს. გამოყენებული მასალები თანხვედრაშია ასაკობრივ მოთხოვნებთან და თემის შინაარსთან. სკოლაში აქტიურად გამოიყენება როგორც ბეჭდური, ისე ელექტრონული და ვიზუალური მასალები: – მუსიკალური ჩანაწერები და ვიდეოფრაგმენტები, – ხელოვნების ნიმუშების ფოტოარქივები, – სამუშაო ფურცლები და პრეზენტაციები, – სხვადასხვა დარგობრივი ელექტრონული რესურსები. მასწავლებლები ხშირად ახდენენ მასალების ადაპტაციას მოსწავლეთა დონესა და საჭიროებებზე მორგებულად, რაც დადებითად აისახება მათ ჩართულობასა და აქტივობაზე. რესურსების შერჩევისას კათედრის წევრებს შორის მიმდინარეობს კონსულტაციები, რაც ხელს უწყობს მასალების შინაარსობრივ შესაბამისობას და რესურსების სანდოობის გაზრდას. ასევე ხდება რესურსების გაზიარება ერთმანეთში – რაც ერთგვარად ქმნის შიდა კოლექტიურ ბიბლიოთეკას. **რჩევები:** მიუხედავად იმისა, რომ რესურსების შერჩევა ხორციელდება გააზრებულად, **სასურველია** მისი ფორმალიზება: მაგალითად, რესურსების გამოყენების წინასწარი დამტკიცება კათედრის სხდომაზე, ან შესაბამისი ჩანაწერის გაკეთება თემატურ-საათობრივ გეგმაში. ეს ხელს შეუწყობს პროცესის გამჭვირვალობას და ანგარიშვალდებულებას. **სასურველია,** სკოლაში გამოიყენებოდეს მხოლოდ სანდო, ავტორიტეტული წყაროებიდან მოწოდებული ელექტრონული მასალა. აუცილებელია რესურსების შინაარსობრივი გადამოწმება, რათა არ მოხდეს არარელევანტური ან არასანდო მასალის გამოყენება. **სასურველია,** შეიქმნას მუსიკისა და ხელოვნების რესურსების ელექტრონული ბაზა, რომელსაც გამოიყენებენ კათედრის მასწავლებლები. რესურსბანკში შესაძლებელია შეინახოს:

	სასწავლო ვიდეოები, ნოტები, ნახატების ნიმუშები, შეფასების რუბრიკები და პრეზენტაციები. დამხმარე რესურსად შესაძლოა გამოყენებულ იქნას მოსწავლეთა ნამუშევრები, წინა წლების პროექტები და პრეზენტაციები. ეს ხელს უწყობს მოსწავლეთა მოტივაციას და ასახავს შემოქმედებითი პროცესის უწყვეტობას. კათედრაზე, დამხმარე სასწავლო რესურსის ვალიდაცია პრაქტიკაში ხორციელდება გააზრებულად და მიზანმიმართულად. ის უზრუნველყოფს სწავლების ხარისხს, მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას და საგნობრივი მიზნების მიღწევას. მიუხედავად დადებითი პრაქტიკისა, მნიშვნელოვანია პროცესი გახდეს უფრო ფორმალიზებული და დოკუმენტურად მოწესრიგებული, რაც კიდევ უფრო გაამყარებს რესურსის სანდოობასა და ეფექტურობას. **2.2.2.(2) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სახელმწიფო ენა	სამივე საფეხურზე ხდება სასწავლო პროცესში კურიკულუმით განსაზღვრული ძირითადი რესურსების (სახელმძღვანელო, სამუშაო რვეულები) და დამხმარე რესურსების გამოყენება. მასწავლებლებმა საუბრისას აღნიშნეს, რომ სწავლა-სწავლების პროცესში აქტივობებს ისე გეგმავენ, რომ შესაძლებელი იყოს მრავალფეროვანი რესურსების გამოყენება შესაძლებლობის ფარგლებში. სწავლა სწავლების პროცესში იყენებენ ვიზუალურ მასალას, პოსტერებს, აუდიო და ციფრულ მასალებს, შერჩეული რესურსები შესაბამისია გაკვეთილის მიზნის, რაც ხელს უწყობს მოსწავლეებში მოტივაციის ამაღლებას, თემის უკეთ შესწავლას, გააზრებას და კურიკულუმით გათვალისწინებული შედეგების მიღწევას. რესურსებს იყენებენ როგორც საგაკვეთილო პროცესში, ასევე პროექტების განხორციელების დროსაც. **2.2.2.(2) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	კათედრის წევრებმა გასაუბრებისას აღნიშნეს, რომ ძირითადად სარგებლობენ გრიფმინიჭებული სახელმძღვანელოებით, მაგრამ სასწავლო პროცესში აქტიურად გამოიყენებენ სხვადასხვა დამხმარე რესურსებს, რომლის ვალიდაციას განახორციელებენ კათედრაზე. ეს თუ ის რესურსი შეესაბამება თუ არა ესგ-ით მათემატიკის საგნობრივი

	სტანდარტით განსაზღრულ მოთხოვნებს, დაეხმარება თუ არა მოსწავლეს სტანდარტში წარმოდგენილი მიზნების მიღწევაში და დააკმაყოფილებს თუ არა მოთხოვნებს. **2.2.2.(2) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	სკოლაში არსებული და გამოყენებული დამხმარე რესურსები სპორტული ინვენტარის, ვალიდაცია ხდება კათედრასთან თანამშრომლობით. **2.2.2.(2) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	საგნობრივ კათედრაზე შერჩეულ დამხმარე სასწავლო რესურსების ვალიდაციას სკოლა თავად უზრუნველყოფს. **2.2.2.(2) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	კურიკულუმში ასახული რესურსები გრიფმინიჭებული და/ან აღიარებულია განათლების სამინისტროს მიერ, რესურსები შეირჩევა გააზრებულად, გათვალისწინებულია მათი ღირებულება, აკადემიური სიზუსტე და გამოყენების ეფექტიანობა სასწავლო პროცესში. რესურსები წინასწარაა შერჩეული კათედრის მიერ. **2.2.2.(2) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

3. კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით

საბუნებისმეტყველო მეცნიერებები	სკოლა უზრუნველყოფს საგნობრივი კურიკულუმით განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევისათვის საკმარისი რაოდენობის მატერიალურ რესურსს მოსწავლეთა რაოდენობის გათვალისწინებით. სკოლას არ აქვს საბუნებისმეტყველო ლაბორატორია და სარგებლობს ძალზედ მწირი მატერიალური რესურსებით. საბუნებისმეტყველო საგნების სრულფასოვანი სწავლებისთვის

	და ექსპერიმენტების უსაფრთხოდ ჩატარებისთვის ძალზედ მნიშვნელოვანია სველი წერტილი და გამწოვი კარადა. ხარვეზი: სკოლამ მოკლევადიან და გრძელვადიან პერსპექტივაში უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო კაბინეტის მოწყობა და საჭირო რეაქტივებით და ინვენტარით აღჭურვა,რათა მოსწავლეებს ჰქონდეთ შესაძლებლობა პრაქტიკული და კვლევითი უნარების სრულყოფილი განვითარებისათვის. სკოლამ არგუმენტირებულ პოზიციასთან ერთად წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა , სადაც გაწერილია აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის ვადები. **2.2.2.(3) ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.** **რეკომენდაცია**: სკოლამ უზრუნველყოს საბუნებისმეტყველო კაბინეტი და საჭირო რეაქტივები და ინვენტარი, პრაქტიკული და კვლევითი უნარების სრულყოფილი განვითარებისთვის შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გაწერილი ვადების შესაბამისად - 2027 წლის 15 სექტემბრამდე.
საზოგადოებრივი მეცნიერებები	საზოგადოებრივი მეცნიერებების კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით. სკოლის ინფრასტრუქტურა და მატერიალური აღჭურვილობა სრულად პასუხობს საგნობრივი სტანდარტების მოთხოვნებს. სასწავლო გარემო მოწყობილია მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით, რაც უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლისთვის ინდივიდუალურ სამუშაო სივრცესა და კომფორტულ გარემოს. არსებული რესურსები ხელს უწყობს მოსწავლის პიროვნულ ზრდასა და სოციო-ემოციური სფეროს

	განვითარებას, რადგან გარემო ორიენტირებულია მოსწავლეზე და იძლევა ჯგუფური თუ ინდივიდუალური აქტივობების შეუფერხებლად განხორციელების შესაძლებლობას. **2.2.2.(3) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
უცხოური ენები	უცხოურ ენებში კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას უზრუნველყოფს სკოლის მატერიალურ-ტექნიკური ბაზა (კომპიუტერები, პროექტორი), ასევე პედაგოგების და მოსწავლეების მიერ შექმნილი რესურსები (მ.შ. ხელნაკეთი). **2.2.2.(3) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ესთეტიკური აღზრდა	ნინიგორის საჯარო სკოლაში, ხელოვნებისა და მუსიკის სწავლებისას განსაკუთრებული ყურადღება ექცევა იმ გარემო პირობებს, რომლებიც უზრუნველყოფს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული სწავლის შედეგების ეფექტურ მიღწევას. სწავლების ხარისხის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი პირობაა შესაბამისი მატერიალურ-ტექნიკური რესურსების და მოსწავლეთა რაოდენობრივი დატვირთვის დაბალანსებული თანხვედრა. მუსიკისა და ხელოვნების საგნებისთვის სკოლაში არ არის გამოყოფილი სპეციალური საკლასო სივრცეები (მაგ: მუსიკის საკლასო ოთახი რომ იყოს აღჭურვილი ინსტრუმენტებით: ფორტეპიანო, რიტმული აქტივობისთვის საჭირო ინსტრუმენტები: მარაკასები, შეიკერები, დოლი და ა.შ., ხოლო ხელოვნების საკლასო სივრცე უზრუნველყოფილი იყოს მოლბერტებით, სახატავი მასალებით და საჭირო ინვენტარით.). თუმცა, შესაძლებელია როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული სამუშაოების განხორციელება. მასწავლებლები იყენებენ ისეთ რესურსებს, რომლებიც უშუალოდ უკავშირდება კურიკულუმში განსაზღვრულ უნარებსა და მიზნებს. მაგალითად, მხატვრულ საქმიანობაში მოსწავლეებს ეძლევათ საშუალება გამოიყენონ სხვადასხვა ტექნიკა და მასალა – რაც აძლიერებს მათ შემოქმედებით შესაძლებლობებს. მუსიკის გაკვეთილზე მოსწავლეები მუშაობენ როგორც სმენით, ისე საშემსრულებლო, თეორიულ, შინაარსზე ორიენტირებულ აქტივობებზე, რაც ეხმიანება კურიკულუმში ჩამოყალიბებულ შედეგებს (მუსიკალური ნიმუშების აღქმა, გააზრება და ა.შ. შინაარსთან შესაბამისობაში; მუსიკალური მახასიათებლების გამოყენებით მოსმენილი ფრაგმენტების აღწერა, ასოციაციური კავშირების გაბმა და სხვ.). მასწავლებლის მიერ დაგეგმილი

	აქტივობები ადაპტირებულია მოსწავლეთა რაოდენობის მიხედვით. საგნების სპეციფიკიდან გამომდინარე, აქტიური შემოქმედებითი აქტივობები წარიმართება მცირე ჯგუფებად, რაც ზრდის ჩართულობასა და ხარისხიან უკუკავშირს თითოეული მოსწავლისთვის. სასწავლო პროცესის დაგეგმვისას გათვალისწინებულია კლასი/კაბინეტის დატვირთვის ზღვრული რაოდენობა, რაც ხელს უწყობს უსაფრთხო და ეფექტურ სამუშაო გარემოს. **რჩევები:** **სასურველია**, ესთეტიკის კათედრისთვის საჭირო ინვენტარის განახლება. მიუხედავად არსებული საბაზისო რესურსისა, მიზანშეწონილია რეგულარული შევსება და განახლება სახარჯი მასალებისა (საღებავები, ფუნჯები, ქაღალდი, მუსიკალური ინსტრუმენტები), რაც მნიშვნელოვნად იმოქმედებს პრაქტიკული საქმიანობის ხარისხზე. **სასურველია,** გაძლიერებული ყურადღება დიფერენცირებულ მიდგომებზე. მოსწავლეთა რაოდენობრივი დატვირთვის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია მასწავლებლის მიერ სხვადასხვა სირთულის დავალებების შეთავაზება, რაც უზრუნველყოფს ყველა მოსწავლის აქტიურ მონაწილეობას და ინდივიდუალურ პროგრესს. **სასურველია,** ციფრული ტექნოლოგიების ინტეგრირება – იქნება ეს მხატვრული ნამუშევრების ციფრული არქივის შექმნა, მუსიკის ციფრული პროგრამების გამოყენება თუ დისტანციური რესურსების გამოყენება მრავალფეროვანი დავალებებისთვის. სკოლაში ხელოვნებისა და მუსიკის საგნობრივი სწავლებისას კურიკულუმში გათვალისწინებული შედეგების მიღწევა მთლიანობაში უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსითა და მოსწავლეთა ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. არსებული პრაქტიკა ქმნის პირობებს მიზნობრივი, პრაქტიკული და მოტივირებულ სწავლისთვის, თუმცა განვითარებისთვის კვლავ მნიშვნელოვანია რესურსების რეგულარული განახლება და ტექნოლოგიების ინტეგრაცია.

	2.2.2.(3) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.
სახელმწიფო ენა	მასწავლებლებთან საუბრისას გამოიკვეთა, რომ სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსებით. მოსწავლეებს შეუძლიათ საკუთარი ინტერესების შესაბამისად გამოიყენონ რესურსები. **2.2.2.(3) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
მათემატიკა	სკოლა აქვს მატერიალური რესურსი, მოსწავლეთა ადგილების ზღრული რაოდენობის გათვალისწინებით და უზრუნველყოფს თითოეული მოსწავლის საჭირო რესურსებზე წდომას. სკოლას აქვს შემუშავებული მატერიალური რესურსების სარგებლობის წესი. სკოლაში არის საკმარისი რაოდენობის მაგიდები, სკამები, დაფები, კომპიუტერები, თვალსაჩინოებები, ტაბულები და ა.შ., რომელთა გამოყენებითაც უზრუნველყოფილია კურიკულუმით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა, რაც წარმოდგენილია სკოლის მიერ შესაბამისი დოკუმენტებით და დასტურდება კათედრის წევრებმა გასაუბრების დროსაც. **2.2.2.(3) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
სპორტი	სკოლაში არსებული სპორტული ინფრასტრუქტურა, სპორტული ინვენტარი, საკმარისია მოსწავლეების რაოდენობის გათვალისწინებით სწავლის შედეგების მისაღწევად. **2.2.2.(3) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ტექნოლოგიები	სკოლა კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას უზრუნველყოფს მოწავლეთა საჭიროებებზე მორგებული და შესაბამისი მატერიალური რესურსით - კომპიუტერული ლაბორატორია, რომელიც აკმაყოფილებს კურიკულუმში

	გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას, უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით, მოსწავლეთა ადგილების ზღვრული რაოდენობის გათვალისწინებით. **2.2.2.(3) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**
ზოგადი განათლების დაწყებითი საფეხური	სკოლის მიერ წარმოდგენილი დოკუმენტების მიხედვით კურიკულუმში გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევა უზრუნველყოფილია შესაბამისი მატერიალური რესურსით. **2.2.2.(3) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.**

4. სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი, კურიკულუმის განხორციელებისთვის საჭირო ადამიანური რესურსი

სსიპ - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ნინიგორის საჯარო სკოლას ჰყავს კანონმდებლობის მოთხოვნებთან შესაბამისი ადამიანური რესურსი, რომელიც უზრუნველყოფს კურიკულუმის ხარისხიანად განხორციელებას:

- სულ 25 მასწავლებელი
- 18 უფროსი
- 4 წამყვანი
- 3 უსტატუსო

აღნიშნული დასტურდება პირადი საქმეებით, შესაბამისი სერტიფიკატებითა და დიპლომებით. ასევე თითოეულ თანამშრომელთან გაფორმებულია კანონმდებლობის მოთხოვნების შესაბამისი ხელშეკრულება (წამყვანის ფუნქციები შეიტანეს?).

3 უსტატუსო მასწავლებელი სკოლას დასაქმებული ჰყავს ხელოვნებისა (2 სთ. და 4 სთ.) და მოქალაქეობის (4 სთ.) მასწავლებლებად. დირექტორის განმარტებით, სამივე უსტატუსო მასწავლებელი დამრიგებლის ფუნქციასაც ასრულებს და ამ მიზეზით შეუთავსა ზემოთ აღნიშნული საგნები. თუმცა უნდა აღინიშნოს, რომ ხელოვნების საათის ჩატარება უწევს არა სათანადო განათლებისა და

დიპლომის მქონე მასწავლებელს. აღსანიშნავია, რომ ვიზიტის დროს სკოლამ გამოაცხადა ვაკანსია ზემოთ მითითებული საგნებისთვის.

სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა, სადაც გაწერილია აღნიშნული ხარვეზის აღმოფხვრის ვადები.

რეკომენდაცია: სკოლამ უზრუნველყოს შესაბამისი კვალიფიკაციის კადრების მოძიება და ხელშეკრულების დადება, ვაკანსიების სისტემატიური განახლება შესაბამის პორტალზე შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმაში გაწერილი ვადების შესაბამისად - 2026 წლის 15 სექტემბრამდე.

2.2.2.(4) ინდიკატორის მოთხოვნა მეტწილად დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

1. დანართი N68 მატერიალური რესურსები;
2. დანართი N1 სასკოლო სასწავლო გეგმა;
3. დანართი N63 დაწყებითი საფეხურის კურიკულუმები;
4. დანართი N76 საბაზო საფეხურის კურიკულუმები;
5. დანართი N82 საშუალო საფეხურის კურიკულუმები;
6. დანართი N6 შვიდ წლიანი სამოქმედო გეგმა;
7. დანართი N7 ერთწლიანი სამოქმედო გეგმა;
8. პედაგოგთა პირადი საქმეები
9. თანამშრომლებთან დადებული ხელშეკრულებები

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)
- ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა
☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	☐ შეესაბამება ■ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.3. კურიკულუმის მონიტორინგი და შეფასება

2.3.1. მიმდინარე პროცესების მონიტორინგი და შეფასება წარმოადგენს სასწავლო პროცესის თანმდევ განუყოფელ ნაწილს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **მონიტორინგი და შეფასება ხორციელდება კურიკულუმით განსაზღვრული მეთოდოლოგიის შესაბამისად**
   სსიპ - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ნინიგორის საჯარო სკოლის მხრიდან მოწოდებულ დოკუმენტაციაში დანართი N4 კურიკულუმის მეთოდოლოგიის ნაცვლად შეიცავს სტრატეგიული დაგეგმვის მეთოდოლოგიას.
   ადგილზე ვიზიტის დროს კათედრის ხელმძღვანელებთან და პედაგოგებთან ინტერვიუირებით გაირკვა, რომ ისინი მთელი წლის მანძილზე აანალიზებენ მიღებულ შედეგებს (კომპლექსური დავალებები,, შემაჯამებელი დავალებები და ა.შ.) და საჭიროების შემთხვევაში (კლასის/მოსწავლის ინტერესებისა თუ შესაძლებლობების გათვალისწინებით) ცვლილება შეაქვთ დოკუმენტში. ამ ეტაპზე არ აქვთ სადიაგნოსტიკო წერები, თუმცა მომავალი წლისთვის ფიქრობენ სასწავლო წლის დაწყებას სადიაგნოსტიკო წერით, რომ მოსწავლეთა არსებული დონე განისაზღვროს და ამის გათვალისწინებით დაიგეგმოს მთელი წლის საქმიანობა.

გადასინჯვა და რევიზია პრაქტიკულად მომდევნო სასწავლო წლის კურიკულუმის შემუშავების პროცესს ემთხვევა.

სკოლამ ვერ წარმოადგინა კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია.

არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების დროს სკოლამ წარმოადგინა შესაბამისობის უზრუნველყოფის გეგმა და კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია.

2.3.1.(1) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **მონიტორინგი და შეფასება განსაზღვრავს პრობლემის გადაჭრის გზას/საშუალებას**

სსიპ - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ნინიგორის საჯარო სკოლა მოსწავლეების შედეგების დიაგნოსტირებას ახდენს ეროვნული სასწავლო გეგმასთან მიმართებით სწავლის პროცესის ხარვეზების გამოსავლენად და გამოვლენილი პრობლემების გადასაჭრელად (კომპლექსური დავალებები, შემაჯამებელი დავალებები და ა.შ.).

ასევე სკოლა პედაგოგთა საჭიროებების იდენტიფიცირებას ახდენს და ზრუნავს მასწავლებელთა პროფესიული განვითარებაზე.

სასკოლო საზოგადოებისთვის მონიტორინგი და შეფასება პრობლემის გადაჭრის გზა არის, რასაც ადასტურებს სკოლაში არსებული კეთილგანწყობილი ატმოსფერო. მათთვის ურთიერთდასწრებების სისტემა პრობლემის მოგვარების ერთ-ერთი საშუალებაა - კათედრის წევრებმა ისაუბრეს, რომ ურთიერთდასწრებით ერთმანეთისგან პრობლემური სიტუაციების მართვას სწავლობენ, ასევე სიახლეების დანერგვის გზაზე ერთმანეთს ეხმარებიან, რომ წინასწარშემუშავებული კრიტერიუმების მიხედვით ერთმანეთს დააკვირდნენ, ობიექტურად შეაფასონ და ხელი შეუწყონ ერთმანეთის პროფესიულ ზრდას.

2.3.1.(2) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **მონიტორინგი და შეფასება ემსახურება სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და დახმარებას**

სსიპ - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ნინიგორის საჯარო სკოლას ხარისხის განვითარებისა და პროფესიული მხარდაჭერის ჯგუფი ჰყავს, რომელიც მონიტორინგითა და კრიტიკული/ობიექტური უკუკავშირებით მთელი სასწავლო წლის მანძილზე ზრუნავს სასკოლო საზოგადოების განვითარებაზე. სკოლის მიერ წარმოდგენილ დოკუმენტაციაში (ურთიერთდასწრებები, გაკვეთილზე დასწრების რეფლექსიები,

საგნობრივი კათედრების ოქმები) ნათლად ჩანს, რომ სკოლაში უწყვეტ რეჟიმში მიმდინარეობს სასწავლო პროცესის მონიტორინგი და შეფასება, რომელიც ორიენტირებულია სასკოლო საზოგადოების წევრების მხარდაჭერასა და წახალისებაზე.

2.3.1.(3) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):
კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- ურთიერთდასწრების ანგარიში

2.3.2. სასწავლო პროცესის შეფასება ატარებს ჰოლისტურ ხასიათს

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **შეფასება ეყრდნობა მრავალფეროვან წყაროებს**

სსიპ - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ნინიგორის საჯარო სკოლის სასწავლო პროცესის შეფასებაში ჩართულია სასკოლო საზოგადოების ყველა წევრი - მასწავლებელი, მოსწავლე, მშობელი, კათედრა, დირექცია. ამასთან, სხვადასხვა ინსტრუმენტის გამოყენებით (კითხვარი, კომპლექსური დავალება და ა.შ.) შეგროვებული ინფორმაციის საფუძველზე წარიმართება სასწავლო პროცესის ძლიერი და სუსტი მხარეების ანალიზი.
ახალი კურიკულუმის შემაუშავება ხდება მიმდინარე წლის კურიკულუმის მონიტორინგისა და შეფასება/რევიზიის საფუძველზე.

2.3.2.(1) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **შეფასება ხორციელდება მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით**

სსიპ - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ნინიგორის საჯარო სკოლა წარმოდგენილი კომპლექსური დავალებებითა და არაფორმალური აქტივობებით განსაზღვრავს, რა ფაქტორები ეხმარება ან აფერხებს საგაკვეთილო პროცესში მოსწავლეთა აქტიურ ჩართულობას და შემდგომში გეგმავს შესაბამის ინტერვენციებს. შედეგად, შეგვიძლია ვთქვათ, რომ სკოლა შეფასებას ახდენს მრავალი კონტექსტის გათვალისწინებით. მაგალითად, მოსწავლეზე დაკვირვება წარიმართება

სხვადასხვა კონტექსტების გათვალისწინებით - მოსწავლის ფსიქო - სოციალური მდგომარეობა, გარემო კლიმატი, თანატოლებთან ურთიერთობა, პროგრესი, სტაგნაცია, რეგრესი.

2.3.2.(2) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

3. **შეფასებისას გამოყენებულია მონაცემთა შეგროვების მრავალფეროვანი მეთოდები**

სსიპ - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ნინიგორის საჯარო სკოლა, მოსწავლეთა ცოდნის დონის განსაზღვრის მიზნით, იყენებს განმავითარებელი შეფასების რუბრიკებს.

შედეგად, სკოლა ადგენს მოსწავლეთა ინდივიდუალურ საჭიროებებს.

მასწავლებლებმა საუბარში აღნიშნეს, რომ მონაცემთა შეგროვების მიზნით, სისტემატიურად ხდება საგაკვეთილო პროცესზე დაკვირვება, ურთიერთდასწრება და კრიტიკული-ობიექტური უკუკავშირის მიცემა. ასევე მიმდინარეობს მოსწავლეთა, მშობელთა უკუკავშირის განხილვა, პედაგოგთა სამუშაო შეხვედრებზე განხორციელებული აქტივობებისა და მოსწავლეთა ნამუშევრების (შემაჯამებელი წერების, კომპლექსური დავალებების და სხვა.) ანალიზი.

2.3.1.(3) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

4. **შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით**

სსიპ - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ნინიგორის საჯარო სკოლის მიერ წარმოდგენილ სასკოლო სასწავლო გეგმა ეფუძნება ახალი თაობის ეროვნული სასწავლო გეგმის პრინციპებს. შესაბამისად, სკოლა შეფასებას ახორციელებს სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით, კერძოდ,

- რამდენად ემყარება სწავლა-სწავლების პროცესი კონსტრუქტივისტულ საგანმანათლებლო პრინციპებს,
- რამდენად მკაფიოა და ცხადი კომპლექსური დავალების პირობა,
- რამდენად ადაპტირებულია სასწავლო რესურსები,
- რამდენად მონაწილეობენ მასწავლებელები კურიკულუმის განვითარებაში კომპლექსურ დავალებებზე მუშაობითა და შედეგების ანალიზით,

საგნობრივი ექსპერტების მხრიდან წარმართულმა გასაუბრებებმა ცხადყო, რომ სსიპ - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ნინიგორის საჯარო სკოლაში **„შეფასება ხორციელდება სხვადასხვა ფაქტორის გათვალისწინებით“:** სწავლა-სწავლების პროცესი ემყარება კონსტრუქტივისტულ

პრინციპებს, სკოლასა და საკლასო ოთახში პოზიტიური გარემოა და სკოლის დირექცია ხელს უწყობს კურიკულუმის განხორციელებას, ხარვეზების დადგენასა და მათ აღმოფხვრას.

2.3.1.(4) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- 2024-2025 სასწავლო წლის სასკოლო სასწავლო გეგმა
- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- საგნობრივი კურიკულუმები
- შეფასების რუბრიკები
- განმავითარებელი უკუკავშირი

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)
- ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა
■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

2.4. კურიკულუმის გადასინჯვა და რევიზია

2.4.1. წლიური მუშაობის შედეგად იქმნება კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია

ინდიკატორის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი:

1. **იქმნება კურიკულუმის განვითარებისა და მხარდაჭერის სარეკომენდაციო საჭიროებათა პაკეტი**

სსიპ - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ნინიგორის საჯარო სკოლის პედაგოგები სასწავლო პროცესის მიმდინარეობისას ყურადღებას ამახვილებენ კურიკულუმის ყველა საკვანძო ელემენტზე, გზადაგზა აფასებენ, საჭიროების შემთხვევაში შეაქვთ ცვლილება დოკუმენტში და შედეგად, წინა გამოცდილებაზე დაყრდნობით, იქმნება ახალი კურიკულუმი.

მნიშვნელოვანია, რომ ახალი კურიკულუმის შექმნაში საკუთარი უკუკავშირებითა და რეკომენდაციებით მონაწილეობენ ადმინისტრაციის წარმომადგენლები, მასწავლებლები, მოსწავლეები და მშობლები.

მთელი სასწავლო წლის პროცესში კათედრების მიხედვით დაგეგმილი ურთიერთდასწრებები და გაცემული უკუკავშირები ფაქტიურად სარეკომენდაციო პაკეტს წარმოადგენს, რომელსაც პედაგოგები იყენებენ სასწავლო პროცესის გაუმჯობესებისთვის.

2.4.1.(1) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

2. **კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია ეფუძნება წინარე გამოცდილებას და ითვალისწინებს მონიტორინგისა და შეფასების შედეგებს**

სსიპ - ლაგოდეხის მუნიციპალიტეტის სოფელ ნინიგორის საჯარო სკოლის პედაგოგებთან ინტერვიუირების დროს გამოიკვეთა, რომ კურიკულუმის შემუშავებისას გაითვალისწინეს წინარე გამოცდილება, ხოლო მომდევნო სასწავლო წლისთვის კურიკულუმის შედგენისას საგნობრივი კათედრები გეგმავენ მიღებულ გამოცდილებაზე დაყრდნობით, მონიტორინგის შედეგებისა და შეფასების შედეგების გათვალისწინებით შექმნან კურიკულუმის გადამუშავებული ვერსია.

ახალი კურიკულუმის შედგენისას კი გათვალისწინებული იქნება ის პრობლემები, რომლებიც მოქმედი კურიკულუმის დანერგვისას წარმოიქმნა.

2.4.1.(2) ინდიკატორის მოთხოვნა დაკმაყოფილებულია.

დასტურდება (მტკიცებულებები):

კომპონენტის/კრიტერიუმის/ინდიკატორების მტკიცებულებები.

- კურიკულუმის განვითარების მეთოდოლოგია
- საგნობრივი კურიკულუმები

შეფასება:

- გთხოვთ, ასახოთ შეფასება თითოეული ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამისთვის ცალ-ცალკე (მათ შორის უცხო ენაზე და სხვა მუნიციპალიტეტში განხორციელებული პროგრამისთვის, საფეხურების მიხედვით)
- ერთ სვეტში შესაძლებელია მხოლოდ ერთი შეფასების მონიშვნა.

დაწყებითი საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საბაზო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა	საშუალო საფეხურის ზოგადსაგანმანათლებლო პროგრამა
■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება	■ შეესაბამება ☐ მეტწილად შეესაბამება ☐ ნაწილობრივ შეესაბამება ☐ არ შეესაბამება

ნაწილი V. თანდართული დოკუმენტაცია

.....

თარიღი : 17/04//2026

ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის ხელმოწერა:
ავტორიზაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრების ხელმოწერები: